ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

სამშაბათი, 29 დეკემბერი, 2009 №333 (5074) ფასი: 30 თეთრი

**3090**

**sms განცხადებები „ახალ თაობაში“**

თუ გსურთ ბინის, ავტომანქანის ან სხვა რამის ყიდვა ან გაყიდვა, აკრიფეთ თქვენს მობილურ ტელეფონში შესაბამისი ტექსტი და გააგზავნეთ sms ნომერზე 3090 მაგთიდან და ჯეოსელიდან.

თქვენი განცხადება გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი თაობის“ უახლოეს ნომერში.

განცხადებები, რომლებშიც საკუთარი ტელეფონის ნომერი არ იქნება, არ დაიბეჭდება!

1 sms-ის ფასია 50 თეთრი

# ჩვენი მიზანი სააკაშვილის გადაყენებაა

## ბურჯანა ის პარტია თვითმმართველობის არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს

გვ.4



ჩვენი პარტიის მთავარი მიზანი არის სააკაშვილის რეჟიმისგან და იმ ადამიანებისგან გაათავისუფლოს საქართველო, რომლებსაც არ უყვართ საკუთარი ქვეყანა და აბუჩად იგდებენ საკუთარ ხალხს!



გვ.5

## რა იყო ოპოზიციის მთავარი შეცდომა

„სააკაშვილი სრულიად დისკრედიტებულია მსოფლიოში, მაშინ, როცა ოპოზიციის მიმართ არის სიმპათიები, რომ ოპოზიციამ არ დაუშვა სისხლისღვრა და დაპირისპირება“.

## საქართველოს მე გავამთლიანებ!

გვ.2

გვ.2

## დავითაიამ აფხაზეთში ნავთობის მოპოვების კრიმინალური სქემა ამოაჩინა





გვ.6

## ნატომ რუსეთს საქართველოში შეჭრა მოუწონა

გვ.3



## თბილისში საარჩევნო სიები გაბერილია?

დროებითი პირადობის მოწმობა არსებულ პირადობის მოწმობას უთანაბრდება

გვ.2



## ადგილობრივ არჩევნებს ბოიკოტს ვუცხადებთ

გვ.3

## შაშკინი პედაგოგებს ტვინს გამოურეცხავს



## სააკაშვილი რომ პრეზიდენტია, ეს პუტინის დამსახურებაა

გვ.5



2 „სამართლიანი საქართველოსთვის“ პენსიის გაზრდას რეგიონებისთვისაც ითხოვს

4 ხელახალი რეგისტრაცია ყველა ორგანიზაციას არ შეეხება

3 ახალ წელს პატარებს თოვლის ბაბუა და სანტა კლაუსი მიულოცავენ

8 2009 წელმა ხელისუფლება უფრო კორექტული გახადა

# საქართველოს მე გავამთლიანებ!

ნათია ხურცილავა

## ნოღაიდელი მედვედევთან აპირებს შეხვედრას

**მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ ლიდერი ზურაბ ნოღაიდელი ზვიად ძიძიგურთან და კობა დავითაშვილთან ერთად ოპოზიციაში პრაიმერის ჩატარების იდეით გამოდის. ის მზად არის ოპოზიციის დანარჩენ ლიდერებს შეხვდეს და პრაიმერზე დაიყოლიოს.**

თუმცა, მანამდე ყოფილი პრემიერი პუტინთან გამართული შეხვედრით აღშფოთებულებს პასუხობს. ნოღაიდელის განცხადებით, მან დაასწრო სხვებს. დაასწრო პრეზიდენტ სააკაშვილს, რაც მისი თქმით, „ავლაბარში პანიკის საფუძველი გახდა“. ამ საკითხზე ზურაბ ნოღაიდელი „ახალ თაობასთან“ საუბრობს.

***— ბატონო ზურაბ, რატომ მიიღეთ გადაწყვეტილება, რომ ზვიად ძიძიგურთან და კობა დავითაშვილთან ერთად ოპოზიციაში პრაიმერის ჩატარების მოთხოვნით გამოსულიყავით?***

— საორგანიზაციო კომიტეტი, რომელიც ჩვენ შევქმენით, სწორედ ამ საკითხზე იმუშავებს და მჭიდროდ ითანამშრომლებს სხვა პარტიებთანაც. კომიტეტში, სამი პარტიის გარდა, სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებიც არიან. მთავარი მაინც არის ჩვენი ქვეყნის წინაშე მდგარი ამოცანები. საქართველო ან გაერთიანდება და განვითარდება, მაგრამ ეს ვერ მოხდება მემორიალების და ძეგლების ნგრევით, არც კონფრონტაციით არც მეზობლებთან და არც ქვეყნის შიგნით საზოგადოებასთან დაპირისპირებით. ამ სცენარში არ არის სააკაშვილის ადგილი. სააკაშვილი თუ გააგრძელებს შიდა პოლიტიკურ კონფრონტაციას, მეზობლებთან დაპირისპირებას, ძეგლების ნგრევას, მაშინ ამ სცენარში საქართველოს გაძლიერება და განვითარება ვერ ჯდება. დღეს ორი არჩევანი გვაქვს: ან საქართველო, ან სააკაშვილი. ეს არის ის არჩევანი, რომლის წინაშეც ვდგავართ. დარწმუნებული ვარ, რომ 2010 წელი საქართველოს გამარჯვების დაწყების წელი იქნება, ამიტომაც მივიღე ეს გადაწყვეტილება, რაზეც მკითხეთ. ჩვენ უნდა დავიწყოთ მშვიდობიანად, არჩევნების გზით, როგორც ეს ჩვენ გვაქვს დაგეგმილი. მომავალ მთავრობას საზოგადოების სერიოზული მანდატი სჭირდება იმ რეფორმების ჩასატარებლად, რომელიც ჩვენი ქვეყნის დღის წესრიგში დგას. ქვეყნის განვითარება და გაერთიანება არის ჩვენი მთავარი ამოცანა. ჩემი აზრით, ამისთვის აუცილებელია ფართო ოპოზიციური გაერთიანება. ცენტრალური არჩევნებისგან განსხვავებით, ადგილობრივ არჩევნებში ნაკლებია იდეოლოგიური წინააღმდეგობა, ამიტომ ვფიქრობ, რომ ყველას, ვისაც უნდა საზოგადოებრივი მხარდაჭერის მიღება და ქვეყნის გადარჩენა ოპოზიციურ პრაიმერში უნდა მიიღოს მონაწილეობა და შემდეგ არჩევნებში. ჩვენ, სამი პარტია, რეალურად ვიწყებთ მოქმედებას, იანვრის ბოლომდე ჩამოვივლით ყველა პარტიას საქართველოში, შევხვდებით ყველას და გავიგებთ მათ პოზიციებს. ბევრი მათგანი ალბათ მიიღებს პრაიმერში მონაწილეობას. ზოგი არც იღებს არჩევნებში მონაწილეობას და, შესაბამისად, ალბათ არც პრაიმერში, მაგრამ ძალიან მნიშვნელოვანია, რომ 2010 წელი საქართველოს გამარჯვების წელი გახდეს, ამისთვის კი ძალიან დიდი ძალისხმევაა საჭირო.

***— შეიძლება თქვენ იყოთ ერთ-ერთი კანდიდატი პრაიმერში?***

— არა, მე თვითონ არ ვიქნები. ვიმეორებ, ჩვენ გავუგებთ იმ ოპოზიციურ პარტიებს, რომლებიც არჩევნებში საერთოდ არ იღებენ მონაწილეობას, მაგრამ ნამდვილად გაგვიჭირდება იმ პარტიების გაგება, რომლებიც აპირებენ არჩევნებში მონაწილეობას, მაგრამ არ აპირებენ ფართო ოპოზიციურ გაერთიანებაში მონაწილეობას.

***— როგორ მოხდება პრაიმერის ჩატარების დაფინანსება, ამ საკითხით ბევრი არის დაინტერესებული, მათ შორის ოპოზიციური პარტიებიც?***

— ჯერჯერობით ბიუჯეტი ამ პროექტისათვის შედგენილი არ არის. საორგანიზაციო კომიტეტი იმიტომაც შეიქმნა, რომ მათ შორის დადგინდეს ბიუჯეტი. ჩვენ ჯერ ზუსტად არ ვიცით, რამდენ ადგილას დაგვჭირდება პრაიმერის ჩატარება. სულ არ არის გამორიცხული, რომ ზოგიერთ ადგილზე ისეთი კანდიდატები იყვნენ შერჩეულნი ცალკეული პარტიების მიერ, რომ სხვა პარტიებმაც მხარი დაუჭირონ. ბიუჯეტის საკითხი ალბათ, იანვრის ბოლომდე დაკონკრეტებული არ იქნება, რადგან არ გვეცოდინება, რამდენი იქნება საჭირო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ყველა მონაწილე პარტია მიიღებს მონაწილეობას ამ პროცესის დაფინანსებაში.



***— ბატონო ზურაბ, თქვენს მოსკოვში ვიზიტზე რომ ვისაუბროთ, ძალიან დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია ამ ვიზიტმა, რას იტყვით?***

— კიდე ერთი ან ორი ვიზიტი გვექნება მოსკოვში „ედინაია რასიასთან“ აუცილებლად მოვაწერთ ხელს შეთანხმებას, რომელიც პარტიებს შორის თანამშრომლობას ითვალისწინებს.

***— პუტინის შემდეგ შეიძლება მედვედევს შეხვდეთ?***

— ამ ვიზიტის ფარგლებში იქნება თუ არა მედვედევთან შეხვედრა, არ ვიცი. არც ის ვიცოდი, რომ იმ ვიზიტის დროს პუტინთან იქნებოდა შეხვედრა. ეს ფაქტი ჩემთვის წინასწარ არ იყო ცნობილი. ამაზე იყო საუბარი, მაგრამ წინასწარ ამის შესახებ ინფორმაცია ნამდვილად არ მქონდა.

***— რა საკითხებზე ისაუბრეთ პუტინთან?***

— საუბარი გვქონდა ქუთაისის მემორიალის დანგრევაზე და, შესაბამისად, ახალი მემორიალის აღდგენაზე რუსეთში. ამ ინიციატივას მივესალმები. ეს იქნება ძეგლი ომში დაღუპული ქართველებისთვის მიძღვნილი.

***— მხოლოდ მემორიალზე ისაუბრეთ?***

— ამჯერად მხოლოდ მემორიალზე.

***— ცოტა დაუჯერებელია...***

— რატომ?

***— ბატონო ზურაბ, როდესაც პუტინს ხვდებოდით, ფიქრობდით თუ არა, რომ თქვენი ეს ნაბიჯი უარყოფითად შეფასდებოდა და პოლიტიკურ შეცდომად შეირაცხებოდა?***

— არა, ეს იყო ჩემი პოლიტიკური გამარჯვება და ეს ყველამ კარგად იცის. საქართველოს ხელისუფლება გადარეული არის. არ იცის, რა გააკეთოს. უცებ გააქტიურდნენ. მოსკოვში მე უკვე მეოთხედ ვიყავი. შევხვდი კარასინს, პრიმაკოვს, სხვებს. წინა ვიზიტის დროს შეხვედრა მქონდა გრიზლოვთან, ახლა პუტინთან. თავისი რანგით მნიშვნელოვანი და მასშტაბური შეხვედრები მაქვს. ამ შეხვედრებზე ძალიან მნიშვნელოვან საკითხებს ვიხილავთ. პუტინთან შეხვედრაზე ძალიან ცოტა იყო დრო და ამიტომ საუბარი მემორიალზე გვქონდა. თუმცა, მე ვხედავ, რომ ის ყველაფრის საქმის კურსშია, რაზეც ჩვენ „ედინნაია რასიასთან“ ვსაუბრობთ, ეს ჩანს გადაწყვეტილებების მიღებისას, ეს ჩანს ცხინვალიდან ბავშვების გამოშვებაში, სხვა გადაწყვეტილებებშიც. ვიმეორებ, მე ეს გადაწყვეტილება მივიღე შეგნებულად. მე ვაპირებ ურთიერთობები აღვადგინო რუსეთთან და ამ ნაბიჯებს აუცილებლად გადავდგამ. ჩვენ აღვადგენთ რუსეთთან ურთიერთობებს და შევინარჩუნებთ საქართველოს გაერთიანების და გამთლიანების შანსს. ეს არის ჩვენი მთავარი ამოცანა.

***— როგორ უნდა მოხდეს რუსეთთან ურთიერთობის აღდგენა, როგორ აპირებთ ამას?***

— კონსტრუქციული მოლაპარაკებებით.

***— პუტინთან შეხვედრაზე სააკაშვილზე თუ იყო საუბარი?***

— არა. სხვათა შორის, მან აღნიშნა, როდესაც ჟურნალისტები გავიდნენ, სპეციალურად არ ვთქვი არაფერიო. ჩვენ არ ვაპირებთ, არც მომავალში სააკაშვილზე საუბარს. ჩვენი საშინაო პრობლემები, ჩვენი შიდა მოსაგვარებელია. ჩვენ რუსეთთან ვსაუბრობთ საქართველო-რუსეთთან ურთიერთობების პერსპექტივებსა და აღდგენაზე. ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს. საქართველოს პრობლემებზე მე ქვეყნის შიგნით ვსაუბრობ, თქვენ გესაუბრებით, საზოგადოების სხვა წარმომადგენლებს, ხალხს ვესაუბრები, მაგრამ სხვებს არ ვესაუბრები, რადგან ჩვენი პრობლემები ჩვენ უნდა მოვაგვაროთ. რაც შეეხება ქართულ-რუსულ ურთიერთობებს, მე ვაპირებ ამ ურთიერთობების მოგვარებას და დალაგებას. ეს გზა მე ავირჩიე. მე დავასწარი სხვებს. სხვები ნერვიულობენ, რატომ დაგვასწროო, სააკაშვილი ამას ნერვიულობს. მე პუტინთან შეხვედრა რომ მქონდა, იმ დილით „ეხო მასკვის“ მისცა ინტერვიუ სააკაშვილმა და თქვა: რუსეთთან დიალოგი უნდა აღდგესო, მაგრამ ჩემთან არ უნდათ დიალოგიო. იმავე საღამოდან დაიწყო ისტერია. დღეს ავლაბარში ისტერიკაა. მე 20 წელია ქართულ პოლიტიკაში ვარ და ყოველთვის შედეგზე ვიყავი ორიენტირებული. მე არ ვაპირებ, ერთი საღამოს გულისთვის ქართველ მოსახლეობას თავი მოვაწონო. ეს ადვილია. ჩემი საქმე საქართველოს გაერთიანებაა და მე ამ საქმეს ბოლომდე მივიყვან. მე არ ვარ სააკაშვილი, რომ მხოლოდ ერთ საღამოს მოგაწონოთ თავი. ამის გაკეთება ძალიან მარტივია. თქვენ ფიქრობთ, ეს მხოლოდ სააკაშვილმა იცის?! ეს არ უნდა გააკეთო, მთავარია, მომავალზე იფიქრო. დღეს ხელისუფლებას ეშინია და მართალია, სწორედ ეშინია. ჩვენ მოვდივართ ხელისუფლებაში, აუცილებლად გავიმარჯვებთ.

# დავითაიამ აფხაზეთში ნავთობის მოპოვების კრიმინალური სქემა აღმოაჩინა

ნანა მიშელაშვილი

**პარლამენტის ვიცე-სპიკერმა პაატა დავითაიამ ის დანაშაულებრივი სქემა გაშიფრა, რომელიც აფხაზეთში ნავთობის მოპოვების კუთხით არსებობს. გუშინ პაატა დავითაიამ პარლამენტში ბრიფინგი გამართა და აღნიშნა, რომ აფხაზეთის სეპარატისტულმა მთავრობამ ხელშეკრულება გააფორმა რუსულ ნავთობკომპანია „როსნეფტთან" აფხაზეთის ტერიტორიიდან წიაღისეულის გატანასთან დაკავშირებით.**

როგორ მოხდება აფხაზეთიდან ნავთობის გატანა? ამ სქემის შესახებ დავითიამ დეტალურად ისაუბრა. კერძოდ, აფხაზეთში დაფუძნდა სააქციო საზოგადოება „შელფ აფხაზიი“, რომლის სათავეში დგას ეროვნებით რუსი ვადიმ ივანცოვი. იგი მანამდე იყო „როსნეფტის“ თანამშრომელი. ანუ რეალურად „როსნეფტი“ ყიდულობს აქციებს „შელფ აფხაზიისგან“, ამით რეალური მფლობელი „როსნეფტი“ ხდება.

დავითაიას თქმით, ეს ეწინააღმდეგება ყველა საერთაშორისო ნორმას, რომელიც არსებობს ნავთობის მოპოვებასთან დაკავშირებით. დეპუტატის ინფორმაციით, „როსნეფტი“ ვარაუდობს 1 მილიარდ რუსულ რუბლამდე ჩადოს ინვესტირება 2 წლის განმავლობაში.

ვიცე-სპიკერის განცხადებით, ამ სქემიდან რეალურად ჩანს, რომ საქართველოს კანონმდებლობის გვერდის ავლით ხდება ამ ნავთობის გატანა.

— მოვითხოვ საქართველოს გენერალურ პროკურატურაში აღიძრას სისხლის სამართლის საქმე საქართველოს წიაღისეულის, ბუნებრივი რესურსების გატანასა და გაყიდვასთან დაკავშირებით. დაიწყოს გამოძიება ამ ფაქტთან დაკავშირებით, რათა ყველა საერთაშორისო ორგანიზაციას ეცნობოს, რომ კრიმინალური გზით ნავთობის გატანა ხდება, — აღნიშნა პაატა დავითაიამ.

კიდევ ერთი უწყება, რომელსაც დავითაიამ მიმართა ეს არის გარემოს დაცვის სამინისტრო. დავითაია ამ საქართველოს გარემოს დაცვის სამინისტროსგან მოითხოვს, რომ წერილები გააგზავნოს ყველა საერთაშორისო ორგანიზაციაში და დააყენოს საკითხი, რომ საფრთხის ქვეშ არის აფხაზეთში საკურორტო ზოლი.

ნავთობის მოპოვება პირველ რიგში პრობლემას უქმნის საკურორტო ზონას. დავითაიას თქმით, სადაც კი კურორტებია, ვერსად ვერ ნახავთ, რომ ნავთობის მოპოვების ჭაბურღილები იყოს.

რაც შეეხება უშუალოდ ჭაბურღილებს, დავითაიას ინფორმაციით, ორი ჭაბურღილის გათხრა ხდება, ერთია — გუთაუთის რაიონის ტერიტორიაზე, მეორე — ოჩამჩირეში.

— 2 ჭაბურღილის დამუშავება ჯდება დაახლოებით 1 მილიარდი რუსული რუბლი, შემდეგ, როცა ჭაბურღილი დაიწყებს მუშაობას „როსნეფტს“, ნავარაუდები აქვს 15 მილიარდი რუსული რუბლის ჩადება. „შელფ



აფხაზიის“ ხელმძღვანელი აფხაზიც კი არ არის, ეს არის შვილობილი კომპანია, რეალურად მფლობელი ხდება თავად „როსნეფტი“ — აღნიშნა დავითაიამ.

რაც შეეხება მარაგს, რომელიც აფხაზეთში არსებობს, პარლამენტის ვიცე-სპიკერი განმარტავს, მარაგი ძალიან დიდია. მონაცემები, რომელიც კონფლიქტამდე არსებობდა, ადასტურებდა, რომ ნავთობის რაოდენობა ამ ტერიტორიაზე დიდი იყო. დავითაიას თქმით, 2 წელია „როსნეფტი“ გარკვეულ სადაზვერვო სამუშაოებს ატარებს და ამიტომ დებს ამდენ მილიარდებს.

დავითაიამ ისიც გაიხსენა, რომ თავის დროზე, როდესაც „როსნეფტი“ აფხაზეთში ჩავიდა და საუბარი დაიწყო ხელშეკრულების გაფორმებაზე, ამას სერგეი ბაღაფშის მკვეთრი რეაქცია მოჰყვა და მან თქვა, რომ ეს კონტრაქტი არ გაფორმდება. ამის შემდეგ ბაღაფშმა მკაცრი გაფრთხილება მიიღო რუსეთიდან, ხელშეკრულება ფორმდება „შელფ აფხაზეთთან“, რომელიც ამ ნავთობის მესაკუთრე ხდება.

# „სამართლიანი საქართველოსთვის“ პენსიის გაზრდას რეგიონებისთვისაც ითხოვს

მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსთვის“ პენსიის გაზრდას რეგიონის მაცხოვრებლებისთვისაც ითხოვს. როგორც „პირველს“ რადიო „ჰერეთიდან“ აცნობეს, ნოღაიდელის პარტიის კახეთის კოორდინატორმა ლევან ხაზიურმა დედაქალაქის მერის გადაწყვეტილება დღეს გამართულ პრესკონფერენციაზე გააპროტესტა.

— ხელისუფლება რეგიონში მცხოვრებ პენსიონერებსა და პედაგოგებს თბილისელებთან შედარებით არათანაბარ პირობებში აყენებს. ყველაზე მეტად პენსიონერებს და პედაგოგებს რეგიონებში უჭირთ. მოვითხოვთ, პენსია საქართველოში ყველა პენსიონერს გაეზარდოს, წინააღმდეგ შემთხვევაში ეს აღიქმება როგორც უგულავას წინასაარჩევნო კამპანია, — განაცხადა ლევან ხაზიურმა.

შეგახსენებთ, რომ თბილისის 2010 წლის ბიუჯეტის თანახმად, რომელიც საკრებულომ დღეს დაამტკიცა, დედაქალაქში მაცხოვრებელთა პენსია 10 ლარით გაიზრდება.

პირველი

ახალი თაობა

გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 84-92-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი, №89/24,
თბილქალაქპროექტის მაღლივი კორპუსი, მე-11 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 95-25-89
E-mail: axtaoba@mail.ru

რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება.
რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია.
სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი.
საავტორო უფლებები დაცულია.

# თბილისში საარჩევნო სიები გაბერილია?

## დროებითი პირადობის მოწმობა არსებულ პირადობის მოწმობას უთანაბრდება

**„ნაციონალური მოძრაობას" დედაქალაქში მერის არჩევნების არ ეშინია და იმედი აქვს, რომ არჩევნებს მოიგებს. ამის შესახებ უმრავლესობის წევრებმა და პარლამენტის თავმჯდომარემ გუშინ ღიად განაცხადეს.**

**ნანა მიშელაშვილი**

გუშინ ოპოზიცია და ხელისუფლების წარმომადგენლები საარჩევნო კოდექსთან დაკავშირებით დაობდნენ.

ბოლო პერიოდში, არასაპარლამენტო და საპარლამენტო ოპოზიცია იმის შესახებ საუბრობს, რომ რაიონებიდან თბილისში მოსახლეობის ჩაწერა ხდება. ოპოზიციის მტკიცებით, „ნაციონალურ მოძრაობას" ეს იმისთვის სჭირდება, რომ თბილისში საკუთარი მხარდაჭერები გაზარდოს და სასურველ შედეგს მიაღწიოს.

ოპოზიციის ამ ბრალდებას გუშინ უმრავლესობამ უპასუხა. პოლიტიკური პარტიების ლიდერებმა არასამთავრობო ორგანიზაციებისა და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლებთან შეხვედრის შემდეგ, კამათი პარლამენტში გააგრძელეს.



იურიდიულ საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარის, პავლე კუბლაშვილის განცხადებით, თუ ვინმე დააკვირდება რაიმე კვლევას, რომელიც ბოლო პერიოდის განმავლობაში ჩატარდა, ყველაზე მაღალი რეიტინგი „ნაციონალურ მოძრაობას" აქვს.

ნაციონალური მოძრაობის წევრებმა ოპოზიციის მისამართით „კონტრშეტევაც" განახორციელეს.

— ჩვენი ოპონენტები უბრალოდ ემზადებიან იმისათვის, როგორ უნდა გაამართლონ თავიანთი დამარცხება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებში. ეს არის მათი კამპანიის ნაწილი, — ასეთია კუბლაშვილის პოზიცია.

იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარის თქმით, იმისთვის, რომ ყველა ეჭვი გამოირიცხოს, 1 ივნისამდე პირადობის მოწმობების გაცემა აღარ მოხდება.

— ჩვენ მზად ვართ, რომ პარტიებს მივცეთ საშუალება, თავად გადაამოწმონ რეგისტრაციის მონაცემები, რათა თავად დარწმუნდნენ, რა მონაცემებთან აქვთ საქმე, — აღნიშნა პავლე კუბლაშვილმა.

კომიტეტის თავმჯდომარემ დეპუტატებს შესთავაზა, რომ 2010 წლის 15 იანვრიდან 2010 წლის 1 ივნისამდე საცხოვრებელი ადგილის შეცვლის გამო რეგისტრაციისას საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობის ნაცვლად გაიცეს მოქალაქის დროებითი მოწმობა. მისი იურიდიული ძალა პირადობის მოწმობის იდენტური იქნება, გარდა საარჩევნო მიზნებისა. ეს დროებითი მოწმობები სახელმწიფო ბიუჯეტის ხარჯზე იქნება გაცემული.

— თუ ვინმე დღეს საუბრობს ამომრჩევლების სიების მანიპულაციაზე, ის უბრალოდ დარწმუნებულია თავის მარცხში თვითმმართველობის არჩევნებში, დარწმუნებულია ნაციონალური მოძრაობის გამარჯვებაში და აქედან გამომდინარე, სვამს ამ საკითხებს, იმისათვის, რომ სამომავლო მარცხის გამო თავი იმართლოს, — ასეთია პავლე კუბლაშვილის პოზიცია.

დროებითი მოწმობის გაცემასთან დაკავშირებით კომენტარი დავით ბაქრაძემაც გააკეთა. მისი თქმით, ამჯერად ექსტრემალური ნაბიჯის გადადგმა უხდებათ, რაც იმით არის გამართლებული, რომ გამჭვირვალე არჩევნები ჩატარდეს.

— სასურველია ჩვენმა პოლიტიკურმა ოპონენტებმა ოდნავ მეტი თავშეკავებით ისაუბრონ და არ შეეცადონ თავიანთი სუსტი პოზიციების გამართლებას იმით, რომ ბრალდებები ხელისუფლების მხარეს გადმოიტანონ, — აღნიშნა ბაქრაძემ. მანვე ტყუილი უწოდა იმას, რომ ხელისუფლების მიერ დედაქალაქში რეგიონებიდან მოსახლეობის ჩამოყვანა და რეგისტრაცია ხდება. ბაქრაძის თქმით, ყველა გამოკითხვების თანახმად, „ნაციონალურ მოძრაობას" ძალიან მყარი პოზიციები აქვს.

დავით ბაქრაძის თქმით, ამ საკითხთან დაკავშირებით საჯარო რეესტრის ხელმძღვანელთან საუბარი ჰქონდა და ეს შეხვედრები კიდევ გაგრძელდება.

პარლამენტის თავმჯდომარემ ოპოზიციას ინტერფრაქციული ჯგუფის შექმნაც შესთავაზა.

უმრავლესობას ოპოზიციონერმა დეპუტატებმა საკუთარი არგუმენტაციით უპასუხეს. „ქართული დასის" ლიდერმა ჯონდი ბაღათურიამ უმრავლესობას უთხრა, რომ ამომრჩეველთა სიებში პრობლემებია, რომელიც ძველი და ახალი პრობლემებია.

ძველი პრობლემებიდან ბაღათურიამ გამოყო სიებში მკვდარი სულების არსებობა და 500 ათასამდე საზღვარგარეთ გასული ამომრჩეველი, რომელიც არალეგალურად არის გასული.

— მონიტორინგის ჯგუფი უნდა შედგეს ოპოზიციური პარტიებისგან, რომლებმაც უნდა გადაამოწმონ არსებული სიები. ხოლო სამოქალაქო რეესტრმა და ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ დაუყონებლივ უნ

# ახალ წელს პატარებს თოვლის ბაბუა და სანტა კლაუსი მიულოცავენ

ახალ წელს პატარებს თოვლის ბაბუა და ლაპლანდიიდან ჩამოსული სანტა კლაუსი მიულოცავენ.

როგორც „ინტერპრესნიუსს" თბილისის მერიის სოციალური მომსახურეობისა და კულტურის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელის მოადგილემ ნეკა სებისკვერაძემ განუცხადა, მთაწმინდის პარკს ხვალ მარხილით თოვლის ბაბუა ესტუმრება და მისთვის განკუთვნილ სახლში იცხოვრებს. ხვალვე მთაწმინდის პარკში დაგეგმილია კონცერტი, რომელშიც 15 ქართველი მომღერალი მიიღებს მონაწილეობას.

ახალი წლისთვის თბილისში ლაპლანდიიდან სანტა კლაუსი ჩამოვა. იგი პირველად 31 დეკემბერს, თავისუფლების მოედანზე, გალა კონცერტზე, სცენაზე გამოჩნდება და ყველას ახალი წლის დადგომას მიულოცავს. შემდეგ 1-დან 7 იანვრის ჩათვლით სანტა კლაუსი და თოვლის ბაბუა მთაწმინდის პარკში მათთვის განკუთვნილ სახლში ერთად იცხოვრებენ და პატარებს საჩუქრებს გადასცემენ.

ნეკა სებისკვერაძის თქმით, პერიოდულად სანტა კლაუსი მთაწმინდის პარკს დატოვებს და დევნილ, მიუსაფარ ბავშვთა სახლების აღსაზრდელებს ესტუმრება და საჩუქრებს მიუტანს.

**ინტერპრესნიუსი**

# ადგილობრივ არჩევნებს ბოიკოტს ვუცხადებთ




საქართველოს ლეიბორისტული პარტია ინტერპარტიული ჯგუფის ინიციატივას თვითმმართველობის წინასწარი არჩევნების - პრაიმერის გამართვის შესახებ, არ ეთანხმება და აცხადებს, რომ პრაიმერში მონაწილეობის აზრს ვერ ხედავს. ამის შესახებ პარტიის ოფისში ოპოზიციური პარტიების შეხვედრის შემდეგ ლეიბორისტების ლიდერმა, შალვა ნათელაშვილმა განაცხადა.

— ჩვენ კვლავ ვადასტურებთ გადაწყვეტილებას - ბოიკოტი გამოვუცხადოთ ადგილობრივ არჩევნებს და არ მივიღოთ მასში მონაწილეობა, თუმცა ჩვენს მეგობრებს ოპოზიციიდან პრაიმერის ჩატარების სახით აქვთ ძალიან კარგი სტრატეგია. ჩვენ არ ვმონაწილეობთ ადგილობრივ არჩევნებში და შესაბამისად, პრაიმერში მონაწილეობას აზრი არ აქვს, — განაცხადა შალვა ნათელაშვილმა.

ინტერპარტიულ ჯგუფშიც შედის მოძრაობა „სამართლიანი საქართველოსათვის," კონსერვატორები და ხალხის პარტია,

**მედიანიუსი**

# შაშკინი პედაგოგებს ტვინს გამოურეცხავს

## მასწავლებლებზე მხოლოდ ნიკა გვარამია ზრუნავდა

**შორენა კოწოწაშვილი**

აქტიური წინასაარჩევნო კამპანიის ფონზე ხელისუფლება ცდილობს ქვეყნის ერთადერთ სერიოზულ პოლიტიკურ ძალად წარმოჩნდეს და ამ მიზნით არა მხოლოდ ლიბერალური საგადასახადო და სისხლის სამართლის კანონმდებლობაში აპელირებს.

ქალთა პარტიის ლიდერი გუგული მაღრაძე მიიჩნევს, რომ ხელისუფლება აქტიურობს არა ქვეყნის, არამედ პირადი კეთილდღეობისთვის, პირადი სარგებლობისთვის. ზღვარგადასული პიარი კი საზოგადოებაში გაღიზიანებას უფრო იწვევს, ვიდრე ხელისუფლებისადმი სიმპათიას.

— ხელისუფლებას იმედი აქვს, რომ ამ პიარს არჩევნების წინ საზოგადოების გარკვეული ნაწილი წამოეგება და ამ გზით სასურველი ხმების 30%-ს მოიპოვებს, — აცხადებს გუგული მაღრაძე, რომელიც დარწმუნებულია, რომ ხელისუფლებას არჩევნების გაყალბება აღარ შერჩება.

გთავაზობთ ინტერვიუს **გუგული მაღრაძესთან:**

***— ქალბატონო გუგული, რა მდგომარეობაშია დღეს ოპოზიცია და არის თუ არა აუცილებელი ოპოზიციონერი ძალების გაერთიანება?***

— ოპოზიციას მძიმე პერიოდი უდგას. ოპოზიციამ შინაგანად იცის, რომ გაერთიანება საჭიროა, მაგრამ, ჩემი აზრით, გაერთიანება ვერ მოხდება, თუკი ოპოზიციამ ძალიან მაღალი ზნეობრივი პრინციპებით არ დაიწყო გაერთიანებისთვის ზრუნვა. იგივე ტიპის გარიგებებზე თუ იქნება გაერთიანება, რა გარიგებებიც ხელისუფლებას უფრო ეხერხება, ასეთ შემთხვევაში ოპოზიცია თავის მიზანს ვერ მიაღწევს. მე ამას ვამბობ იმისათვის, რომ სულ სხვა თამაშის წესები უნდა ჰქონდეს ოპოზიციას ერთმანეთთან. ოპოზიციური პარტიის ნაწილმა უნდა დაძლიოს ნარცისიზმი თავის თავში. არ უნდა წარმოიდგინონ, რომ ყველაფერი უკვე კარგად არის და ასე ვთქვათ, უკვე იმაზეა ლაპარაკი, ვინ სად მოხვდება და რას იზამს. უნდა დააფასონ თითოეული ოპოზიციური ძალა და ოპოზიციურად მოაზროვნე ადამიანი, რომ რეალური ერთობა შეიკრას იმისთვის, რომ მთელმა ოპოზიციამ გააცნობიეროს მარტო ვერავინ მიაღწევს იმ ძირითად მიზანს, რაც ოპოზიციას აქვს. ეს არის ხელისუფლების ჩანაცვლება, შეცვლა. თუმცა, ოპოზიციაში ვიღაცებს აქვთ საკუთარი ცხოვრების მოწყობის მიზანი. ეს შეიძლება მოახერხო, მაგრამ ესეც ძნელია.

***— რატომ არის ძნელი?***

— იმიტომ, რომ ეს ხელისუფლება არ არის ისეთი, რომელსაც მსგავს რამეს ვინმეს დაუთმობს. მართალია, ზოგი ოპოზიციონერი ამბობს, რომ ყველა შემთხვევაში შეიძლება ამ არჩევნებში გამარჯვება და სხვა, მაგრამ გამარჯვებაზე ლაპარკია რაღაც 5-6%-ზე, რომელიც შეიძლება ძალიან ინტენსიური მუშაობით, დიდი ფულადი სახსრებით და ენერგიით, რომელიღაც ოპოზიციურმა ძალამ გადალახოს. მაგრამ ეს არის თვითონ იმ ოპოზიციური ძალისთვის დამკვიდრება პოლიტიკურ სპექტრში. მაგრამ ეს არ არის მთავარი. ზეამოცანა და უმთავრესი მიზანი. ამიტომ ვამბობ, ერთიანობა ოპოზიციაში უნდა იყოს ძალიან მაღალზნეობრივ პრინციპებზე დაფუძნებული. ამ ერთიანობისთვის ყველა ოპოზიციურად განწყობილი პოლიტიკოსი უნდა იყოს განწყობილი იმისათვის, რომ ეს ზეამოცანა იყოს შესრულებული. ამიტომ, ჩემი აზრით, უნდა მოხდეს ერთმანეთთან მორიგება და არა გარიგება.

***— წინა ოპოზიციური გაერთიანებები გარიგებებთან იყო დაკავშირებული?***

— 9 აპრილის აქციების დროს გაერთიანება, ცხადია, გარიგებაზე არ იყო დაფუძნებული. იქ მართლა იყო მაღალი ემოციური ტალღა და მუხტი. მაგრამ 9 აპრილის კომიტეტში იყო გარკვეული პრობლემები. მე არ მიყვარს ოპოზიციის კრიტიკა, მაგრამ უნდა იყოს ურთიერთის აზრის პატივისცემა; გამჭვირვალობა; გადაწყვეტილებების პრინციპულად და არა ორაზროვნად მიღება. მაშინ ეს პრინციპები დაცული არ იყო. სად ხდებოდა გადაწყვეტილებების მიღება. ხან ორი კაცი იყო ჩართული, ხან ფაქტის წინაშე იყო დაყენება. ახლა უკვე შეიძლება ამაზე ლაპარაკი. მე სულ მქონდა იმის განცდა, რომ ოპოზიციის პირველი პირები შევიკრიბებოდით და ვიტყოდით, რაში იყო შეცდომები და რა უნდა გავაკეთოთ. მე ასეთი ინიციატივა ჯერჯერობით ჩემს თავზე არ ამიღია, მაგრამ სამწუხაროდ, ვერც სხვებში ვნახე ეს ინიციატივა. უნდა დავმჯდარიყავით და ყველაფერი ღიად გვეთქვა. შემდეგ ჩვენს პარტიებში დავბრუნებულიყავით შეფასებებით და სამომავლო პერსპექტივებით. ჯერჯერობით ეს ვერ მოხერხდა. იმედი მაქვს, ოპოზიცია გააცნობიერებს, რომ ცალ-ცალკე ვერავინ ვერაფერს მიაღწევს და ერთობლივი ძალისხმევაა საჭირო. გაერთიანების დროს კი დაცული უნდა იყოს მრგვალი მაგიდის პრინციპი, რომ ყველა ვართ თანასწორი გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილეობით და ყველა ვასრულებთ იმ საქმეს, რაც ჩვენ უფრო მეტად შეგვეძლება და რაშიც ეფექტურები ვართ. ეს მოითხოვს ახალ სტრუქტურულ ორგანიზაციას. ეს მოითხოვს სერიოზულ მუშაობას. სხვათა შორის, მე ამაზე ვსაუბრობდი იგივე მაისში, 9 აპრილის კომიტეტის შეხვედრების დროს. მაშინ, სამწუხაროდ, არგუმენტირებული პასუხი, რატომ ეს არ გავაკეთეთ, ვერ მოვისმინე. იყო ლაპარაკი იმაზე, რომ ახლა მაგის დრო არ არის. ვფიქრობ, ამის დრო მაშინაც იყო. იმიტომ, რომ განხილვისა და პერსპექტიული მუშაობის გარეშე, მხოლოდ ამ წუთიერი გადაგორებებით დიდი საქმე არ კეთდება. ეს კი ძალიან დიდი საქმეა, როცა ოპოზიციას სჭირდება ხელისუფლების შეცვლა. ჩვენთან ოპოზიციის ამოცანაა, ხელისუფლების მაგივრად მოვიდეს, ანუ მშვიდობიანი არჩევნების გზით უნდა დაამარცხოს ეს ძალა. ამას კი სჭირდება სულ სხვა ტიპის მუშაობა. ორგანიზაციულად გათვლილი და ერთიანი მუშაობა.



***— ახლაც ხდება ოპოზიციის მხრიდან გარიგებებზე წასვლა ხელისუფლებასთან?***

— ჯერჯერობით, როგორც ვხედავ, ვიღაც-ვიღაცასთან რაღაც გარიგებებს და დალაპარაკებებს აწარმოებს. მაგრამ ეს, მე მგონი, შემცირდა. ზუსტად არ ვიცი, მე არა ვარ ამ მოლაპარაკებებში და გარიგებებში ჩართული. შეიძლება ეს ერთი ეტაპი იყოს და მერე უფრო, ასე ვთქვათ, გამჭვირვალედ მიდიოდეს პროცესი. კიდევ ერთხელ ვიმეორებ: იგივენაირ პრინციპებზე აგებული ურთიერთობები ერთმანეთთან ოპოზიციური ბლოკის შიგნით, რაზეც ხელისუფლება აგებს თავის ურთიერთობას, არ გამოგვადგება. იმიტომ, რომ ხელისუფლებას გარიგებებში ვერასოდეს ვაჯობებთ. ხელისუფლება არც მაღალი ზნეობრივი პრინციპებით არ გამოირჩევა, რომ არ წავიდეს რაღაცებზე იმისათვის, რომ დაშალოს ოპოზიციური ერთობა. ამიტომ ოპოზიციური ერთობა უნდა იყოს ძალიან მაღალ ზნეობრივ პრინციპებზე, ურთიერთნდობაზე, გამჭვირვალობაზე და არა ორაზროვნებაზე დაფუძნებული. თუ ჩვენ ამას მოვახერხებთ, ეს იქნება ძალიან დიდი ნაბიჯი იმისათვის, რომ ხალხმაც დაიჯეროს, რომ ჩვენ რამე შეგვიძლია და მოგვყვეს.

გაგრძელება მე-4 გვერდზე

გააგზავნეთ სმს „ჯეოსელიდან", „მაგთიდან", „ბილაინიდან" ნომერზე 30–30 და 1 ლარით ყოველთვიურად დაეხმარებით მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს.
ერთჯერადი დახმარებისათვის დარეკეთ ნომერზე 30–30 და ფონდ „იავნანას" ანგარიშზე ავტომატურად ჩაირიცხება 1 ლარი.
შემოგვიერთდით, ერთად დავუბრუნოთ ბავშვები თავიანთ ოჯახებს!
ფონდი „იავნანა", გაზეთი „ახალი თაობა"

# ჩვენი მიზანი სააკაშვილის გადაყენებაა

## ბურჯანა ის პარტია თვითმმართველობის არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს

**ოპოზიცია დღემდე ცხარე ცრემლებით დასტირის სააკაშვილის მიერ გაყალბებულ არჩევნებს. მათი მტკიცებით, რაც ნაციონალები ხელისუფლებაში მოვიდნენ, წესიერად არც ერთი არჩევნები არ ჩატარებულა. და რაც მთავარია, გაყალბების ხარისხი ასეთი მაღალი არასდროს ყოფილა.**



თეა მარხვაი ე

მათივე მტკიცებით, ხელისუფლება ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებს დაუნდობლად გააყალბებს. თვითმმართველობის არჩევნების ჩატარება მაისის ბოლოს იგეგმება. საარჩევნო ციებ-ცხელება უკვე დაწყებულია. ოპოზიციამ რამდენიმე სქემა გამოაქვეყნა, რომლის მიხედვითაც, მათი აზრით, არჩევნები უნდა გაყალბდეს.

არჩევნებამდე რამდენიმე თვით ადრე ოპოზიციას უკვე გამოტირებული აქვს გაყალბებები. ამის მიუხედავად, ისინი ერთმანეთს ასწრებენ მერის პოსტზე კანდიდატურების დასახელებას.

არადა, თავიდან ამბობდნენ, სააკაშვილის არჩევნებს ბოიკოტი უნდა გამოვუცხადოთო. ახლა კი თავად ემზადებიან თავპირისმტვრევით არჩევნებისთვის, ვერც გაამტყუნებ, ვაი და იქნებ მათთვისაც გაისროლოს ავრორამ.

ჯერჯერობით ყველაფერი ხელისუფლების წისქვილზე ასხამს წყალს. ოპოზიცია ერთმანეთს კონკურენციას გაუწევს და ხმებს წაართმევს. მერე კი არჩევნებში განცდილ მარცხს გაყალბებას დააბრალებს.

რამდენიმე პარტია არჩევნებისთვის ბოიკოტის გამოცხადებას აპირებს. არჩევნებს „ნივიჟუს" ე.წ. რადიკალები დაარტყამენ. რადიკალური ოპოზიციის ერთ-ერთ ლიდერად ნინო ბურჯანაძეა მიჩნეული.

2003 წლის არჩევნებისთვის ბურჯანაძემ და ჟვანიას „სასტავმა" ბლოკი „ბურჯანაძე დემოკრატები" შექმნეს. არ არის გამორიცხული, ასეთი ბლოკი ახლაც შეიქმნას და მას სახელად „ბურჯანაძე რადიკალები" ეწოდოს.

გაერთიანდება თუ არა მის გარშემო ოპოზიციის რადიკალური ნაწილი, მომავალი გვიჩვენებს. ამ ეტაპისთვის კი ბურჯანაძის პარტია არჩევნებს ბოიკოტს უცხადებს. დანარჩენი ოპოზიციური პარტიები კი საარჩევნო ორომტრიალში არიან ჩართულები. მათ მიერ გაკეთებული განცხადებებიდან თუ ვიმსჯელებთ, საეჭვოა, ისინი პარლამენტის ყოფილი თავმჯდომარის გარშემო გაერთიანდნენ.

— ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა ჩვენ, საქართველოს პოლიტიკური სპექტრი, საბოლოოდ მიგვიყვანა იმ გზის გასაყარზე, სადაც ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში ჩართულმა თითოეულმა ადამიანმა ყოველი შემდგომი ნაბიჯისა და ქმედების შედეგებზე პასუხისმგებლობა საკუთარ თავზე უნდა აიღოს. პოლიტიკური სპექტრის თითოეულმა წარმომადგენელმა მკაფიოდ უნდა დააფიქსიროს პოზიცია საქართველოს ხელისუფლების მიერ ინიცირებულ ადგილობრივ არჩევნებთან დაკავშირებით და სწორედ საკუთარი პოზიციით არჩევნების მართლზომიერებასა და შედეგებზე ხელისუფლებასთან ერთად სრული პასუხისმგებლობა აიღოს, — ნათქვამია „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველოსთვის" მიერ გუშინ გავრცელებულ საგანგებო განცხადებაში.

არჩევნებში მონაწილეობაზე უარი ბურჯანაძეს ხელისუფლების მიერ გადადგმულმა ნაბიჯებმა ათქმევინა.

— ეს მოწოდება განაპირობა იმან, რომ საქართველოს ხელისუფლებამ უკანასკნელ პერიოდში განხორციელებული საკანონმდებლო ცვლილებების და გადადგმული ნაბიჯების შედეგად კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ მას დემოკრატიული საარჩევნო გარემოს შექმნის არანაირი სურვილი არ გააჩნია. მიუხედავად ამისა, რამდენიმე ოპოზიციურ პარტიას მაინც სჯერა ხელისუფლების და რატომღაც ცდილობს, წინასწარ წაგებულ თამაშში ჩართვას. იმ თამაშში, სადაც მთავარი მსაჯი საქართველოს პრეზიდენტი და შინაგან საქმეთა მინისტრია. შედეგად ვიღებთ საქართველოს მოსახლეობისთვის ხელისუფლებისა და ოპოზიციის წარმომადგენლების მხრიდან მცდარი მოლოდინებისა და ილუზიების შექმნას.ჩვენ, „დემოკრატიული მოძრაობა", არ მოვუწოდებთ ოპოზიციურ პარტიებს უარი განაცხადონ არჩევნებში მონაწილეობის მიღებაზე. ჩვენ მოვუწოდებთ მათ — ხელისუფლებასთან ერთად აიღონ პასუხისმგებლობა ქართველი საზოგადოების წინაშე ყველა იმ საფრთხეზე, რომელიც ელის ამ ქვეყანას უპასუხისმგებლო, არაადეკვატური და არადემოკრატიული ხელისუფლების მმართველობის ყოველი შემდგომი დღის განმავლობაში. ჩვენი პრინციპული პოზიცია ხელისუფლების უსწრაფესად შეცვლის აუცილებლობასთან დაკავშირებით, უპირველეს ყოვლისა, განპირობებულია იმის ღრმა რწმენით, რომ დღევანდელ ხელისუფლებას არ შესწევს უნარი, დაიცვას საქართველოს ინტერესები არც მტერთან და არც მოყვარესთან. დღევანდელი ხელისუფლება ქვეყნისათვის საფრთხის მატარებელია. ეს პასუხისმგებლობა ყველას უნდა ჰქონდეს გაცნობიერებული, ვინც ნებსით თუ უნებლიეთ ხელს უწყობს არსებული რეალობის შენარჩუნებას. სწორედ ამიტომ, ჩვენ, „დემოკრატიული მოძრაობა — ერთიანი საქართველო" პრინციპულად მიუღებლად ვთვლით ადგილობრივ არჩევნებში მონაწილეობას, ვინაიდან მიგვაჩნია, რომ არსებულ გარემოში ჩატარებული არჩევნები არის „საარჩევნო ფარსი", რომელიც მოემსახურება ხელისუფლების მიერ არადემოკრატიული გზით მოპოვებული ძალაუფლების დაკანონებას და სააკაშვილის ხელისუფლებაში ყოფნის გახანგრძლივებას, — ვკითხულობთ განცხადებაში.

არჩევნების უარმყოფელ პარტიას სულ სხვა მიზნები აქვს. მათი მთავარი მიზანი საქართველოს სააკაშვილისაგან გათავისუფლება ყოფილა.

— ჩვენი პარტიის მთავარი მიზანი არის სააკაშვილის რეჟიმისგან და იმ ადამიანებისგან გაათავისუფლოს საქართველო, რომლებსაც არ უყვართ საკუთარი ქვეყანა და აბუჩად იგდებენ საკუთარ ხალხს! რომლებმაც საქართველოს ხელისუფლებაში ყოფნისას ქვეყნისა და ხალხის წინაშე დანაშაული ჩაიდინეს; ადამიანებს, რომლებიც ყოველდღიურად თელავენ საქართველოს კულტურულ და სულიერ ფასეულობებს, ხოცავენ და ასახიჩრებენ საკუთარ მოქალაქეებს, მიზანმიმართულად ებრძვიან საყოველთაოდ აღიარებულ დემოკრატიულ ფასეულობებს, იწყებენ ომს საკუთარი ხალხის წინააღმდეგ, ანადგურებენ ქართულ ბიზნესს და ეკონომიკას, საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნების მიზნით ქვეყანას რამდენიმე მილიარდიანი საგარეო ვალი დააკისრეს. დიახ, ზუსტად ქართველმა ხალხმა უნდა დაანახოს საერთაშორისო საზოგადოებას, რომ ტოტალიტარიზმი საქართველოში ფეხს ვერ მოიკიდებს. მას არ მოაქვს სტაბილურობა და მშვიდობა, პირიქით, იგი ომისა და დესტაბილიზაციის საფუძველია. დღეს ოპოზიციის უმთავრესი ამოცანა უნდა იყოს საარჩევნო გარემოს შეცვლა. დიახ, არჩევნების გზა სწორედაც რომ მისაღები და სწორი გზაა და ჩვენც არჩევნებს ვითხოვთ! მხოლოდ საპრეზიდენტო არჩევნებს, რომელიც რეალურად გახდება წინაპირობა ყველა სხვა ტიპის არჩევნების ჩასატარებლად. ვინაიდან ქალაქის მერს და ადგილობრივ თვითმმართველობას არ აქვს ის რესურსი და უფლებამოსილება, რომ ქვეყანაში დღეს არსებული პრობლემები და საფრთხეები აღკვეთოს. დღეს ქვეყანას რეალური და არა ფასადური ცვლილებები სასიცოცხლოდ სჭირდება. ჩვენმა პარტიამ ერთი წლის არსებობის მანძილზე თანმიმდევრული და შეუპოვარი ბრძოლით, მტკიცე და პრინციპული პოზიციით დაამტკიცა, რომ ჩვენი რწმენის და იდეალების, ჩვენი დაპირებების და ხალხის ერთგულნი ვართ! „დემოკრატიული მოძრაობა" საქართველოს მოსახლეობას ვპირდებით, რომ მათ იმედებს არასოდეს გავუმტყუნებთ! ყოველთვის პრინციპულად ვიბრძოლებთ და დავრჩებით ერთგული იმ მოთხოვნებისა, რომლებიც ა.წ. 9 აპრილს საქართველოს საზოგადოებასთან ერთად წამოვაყენეთ, — აცხადებენ პარტიაში.

„ბურჯანაძე რადიკალების" განცხადებამ ნაციონალები ძალიან გააღიზიანა. მათი თქმით, ოპოზიცია პარლამენტის ექს-სპიკერის მოწოდებას არ უნდა აჰყვეს. ოპოზიციას სპიკერყოფილის განცხადებასთან დაკავშირებით უარყოფითი პოზიცია ჯერ არ დაფიქსირებია. და სავარაუდოდ, არც დააფიქსირებენ. რადგანაც რადიკალური პოზიცია ხვალ შესაძლოა ისევ მოდური გახდეს.

# ხელახალი რეგისტრაცია ყველა ორგანიზაციას არ შეეხება

2010 წლის 1 იანვრიდან მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრს, ფინანსთა სამინისტროს საგადასახადო ინსპექციის ნაცვლად, იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო განახორციელებს. როგორც „მედიანიუსს" საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში განუცხადეს, ეს სიახლე საჯარო რეესტრისა და მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონებში, სამოქალაქო კოდექსსა და მომიჯნავე საკანონმდებლო აქტებში შესული ცვლილებების საფუძველზე დაინერგა.

საკანონმდებლო ცვლილება ორ ეტაპად განხორციელდება. პირველ ეტაპზე მიმდინარეობს შპს-ებში წილებსა და პარტნიორებთან დაკავშირებული ინფორმაციის არქივისა და ელექტრონული მონაცემთა ბაზის გადაცემა დამოუკიდებელი რეგისტრატორებისა და საწარმოთა დირექტორების მიერ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის. მეორე ეტაპზე, ანუ 2010 წლის 1 იანვრიდან კი, მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრის წარმოებას საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო დაიწყებს.

ამავე ცნობით, მცდარია გავრცელებული ინფორმაცია, თითქოსდა ხელახალი რეგისტრაცია ყველა ორგანიზაციამ უნდა გაიაროს, წინააღმდეგ შემთხვევაში მას 500-ლარიანი ჯარიმა დაეკისრება. „კანონმდებლობა საჯარიმო სანქციებს არ ითვალისწინებს, ხელახალი რეგისტრაცია სავალდებულო არ არის", — აცხადებენ საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში.

როგორც „მედიანიუსს" ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ცხელ ხაზზე განუმარტეს, ლაპარაკია არა ორგანიზაციების ხელახალ რეგისტრაციაზე, არამედ იმაზე, რომ ორგანიზაციამ 2008 წლის 10 მაისის შემდეგ, წილობრივი მონაწილეობის შესახებ წესდებაში ცვლილებების შეტანის შემთხვევაში, სათანადო ცვლილებასთან დაკავშირებული ინფორმაცია საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოს უნდა მიეწოდოს. ამის მიზეზი ის არის, რომ 2008 წლის 10 მაისის შემდეგ სათანადო ინფორმაცია საგადასახადო ინსპექციაში აღარ რეგისტრირდება. იმას, რომ სათანადო ინფორმაციის დაურეგისტრირებულობის შემთხვევაში ორგანიზაციას 500-ლარიანი ჯარიმა დაუწესდება, შემოსავლების სამსახურში უარყოფენ.

მედიანიუსი

# შაშკინი პედაგოგებს ტვინს გამოურეცხავს

დასაწყისი მე-3 გვერდზე

იმიტომ, რომ მე არა მგონია, ხალხი კმაყოფილი იყოს იმით, რაც დღეს ხდება.

***— ფაქტია, საზოგადოებაში არის გულგატეხილობა და ოპოზიციის მიმართაც გაჩნდა ეჭვები...***

— ეს გარიგებაა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ხელისუფლებას უკვე მაღალი რეიტინგი აქვს. ის, რაც ქუთაისში მოხდა, ჩემთვის ძალიან უცნაური იყო, რომ თვითონ ქუთაისელები არ გამოვიდნენ და არ თქვეს, ვის გაქვთ უფლება, ჩვენს ქალაქში ისე ააფეთქოთ, რომ არავის არაფერი გვკითხოთ, ან საკრებულოს მაინც ჰკითხეთ, თუნდაც ფორმალურად. ამას ხელისუფალი ვერც ერთ ქვეყანაში ვერ გაბედავდა, რაც ქუთაისში სააკაშვილმა გააკეთა. ავტოკრატ მმართველებსაც კი ვიღაც ჯგუფები ჰყავთ, რომელსაც ეთათბირებიან. როცა ქვეყანაში ერთი პირის ნებაზეა დამოკიდებული და აბსოლუტურად მოუმზადებლად ხდება ყველაფრის გაკეთება და ვერავინ ბედავს, ვერც სპეციალისტი და ვერც ქალაქის თავი რომ შეეპასუხოს და უთხრას, ამის გაკეთება არ შეიძლება. ამიტომ არის, რომ ქვეყანა ასეთ დღეშია. ხალხი შეიძლება დღეს გახევებულია და რაღაც აპატიის მდგომარეობაშია, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მას ეს ხელისუფლება მოსწონს. უბრალოდ, ხალხი ელოდება იმ მომენტს, როცა საპროტესტო მუხტი გაიღვიძებს. ასეთ შემთხვევაში მართლა არის ერთიანი ლიდერის მოთხოვნა. ერთიანი ლიდერის მოთხოვნა მარტო იმას კი არ ნიშნავს, რომ ერთ კაცზეა ლაპარაკი. აქ არის ერთობლივად და ორგანიზებულად კარგად დაგეგმილი და გათვლილი ნაბიჯები. საზოგადოება ოპოზიციისგან სწორედ ამას ითხოვს.

***— ხელისუფლება ისე წარმოაჩენს, რომ ოპოზიციის ნაწილი აქედანვე ემზადება არჩევნების შედეგების გაყალბებულად გამოცხადებისა და საპროტესტო გამოსვლებისთვის. ასე ვთქვათ, აჯანყებისთვის...***

— თუ ოპოზიცია ამისთვის ემზადება, მაშინ ხელისუფლებამ ყველაფერი ისე გააკეთოს, რომ ამის არანაირი სამართლებრივი საფუძველი არ არსებობდეს. არანაირი ეჭვის შეტანა არ შეიძლებოდეს არჩევნების შედეგებში. მაშინ ხალხი არ გაჰყვება იმ აჯანყებულ ოპოზიციას. თუ ხალხის პროტესტი არ გინდა, ნორმალური საარჩევნო გარემო შექმენი, გახსენი მედია. ყველას ჰქონდეს საშუალება, რომ ვისაც არჩევნებში მონაწილეობა უნდა, ამომრჩევლებს თავის სათქმელი უთხრას. ნუ შეუქმნი გადაადგილების პრობლემას და ნუ დაახვედრებ წინასწარ ფულით მოსყიდულ ადამიანებს. მე მაგალითად, ძალიან შემეცოდა ის ქუთაისელი ქალბატონი, რომელიც ოპოზიციის განცხადებებს პროტესტით შეხვდა. საწყალს კბილები ვერ ჩაუსვამს და ამბობს, ძალიან კარგად ვცხოვრობ და ასე მინდა ცხოვრებაო. ხელისუფლებას არაფრად ენაღვლება თავისი მოსახლეობის სიცოცხლე და ინტერესები. მილიონებს ხარჯავს კონცერტებში და გართობაში, ამ დროს კი ტელევიზიით გამოდის ოჯახი, რომლის შვილსაც 25 000 დოლარად ღირებული ოპერაცია შვილს გადაურჩენს. 10-15 მლნ. რაც ამ კონცერტებზე იხარჯება, რამდენ ადამიანს შეუნარჩუნდება სიცოცხლე?! ხალხმა და ოპოზიციამ ყველაფერი უნდა გააკეთონ იმისათვის, რომ ხელისუფლება სამართლიანი გზით შეცვალოს. თუ კანონიერად არ ჩატარდება ეს არჩევნები, ალბათ, გარკვეული პოლიტიკური ძალები მოუწოდებენ ამომრჩევლებს, დაიცვან თავიანთი ხმები. თავის დროზეც ნაციონალურმა მოძრაობამ იგივე გააკეთა. მე მესმის ოპოზიციის ერთი ნაწილისაც და მეორე ნაწილისაც. მაგრამ მაინც ვიმეორებ, კიდეც რომ იყოს პრინციპული განსხვავება არჩევნებში მონაწილეობა-არმონაწილეობის შესახებ, ოპოზიციამ მაინც უნდა მოახერხოს ერთი კანდიდატურის გარშემო გაერთიანება. ალასანია-სუბარის დუეტი არის ისეთი, რომლის ირგვლივაც ოპოზიციას სრულიად თავისუფლად შეუძლია გაერთიანება. იმიტომ, რომ ეს პოლიტიკური ძალები საკმაოდ სერიოზულად მუშაობენ. თუ ამ კანდიდატების გარშემო ვერ მოხდება გაერთიანება, შეიძლება არაპოლიტიკური ფიგურის გარშემო მოხდეს გაერთიანება. ხელისუფლება, ფაქტობრივად სეირობს ოპოზიციის შეცდომებზე თუ არაგონივრულ ქმედებებზე. ოპოზიციის ერთი ნაწილი კიდეც რომ არ მონაწილეობდეს არჩევნებში, ვფიქრობ, ხელს უნდა უწყობდეს მეორე ნაწილს გამარჯვებაში. თუ გვინდა, რომ საერთო საქმემ გაიმარჯოს.

***— ხელისუფლება არჩევნების დროს მნიშვნელოვან წილად მასწავლებლების ხმების იმედად არის. ეს პროცესები მიდის ამ ეტაპზე საგანმანათლებლო სფეროში?***

— მიმაჩნია, რომ მასწავლებლები ძალიან ნაკლებად აფასებენ თავიანთ თავს. 20-25 ლარის მომატება მასწავლებლებისთვის არაფერია. მასწავლებელი ყველაზე დაფასებული უნდა იყოს, ვიდრე ნებისმიერი საჯარო მოხელე, პოლიციელი. როცა საჯარო მოხელეებს 800-900 ლარი აქვთ ხელფასი, არ შეიძლება მასწავლებელს 200-ლარიან ხელფასზე 20 ლარის მომატებით დილიდან საღამომდე მადლობა ახდევინო. მასწავლებელმა ხელისუფლებს სერიოზულად უნდა მოსთხოვონ მათი შრომის დაფასება. მაგრამ ხელისუფლებას არ აწყობს მაღალხარისხოვანი მასწავლებელი. ეს ნიშნავს დამოუკიდებლად მოაზროვნე და დამოუკიდებლად მოქმედ მასწავლებელს. ხელისუფლებისთვის კი მასწავლებელი მნიშვნელოვანია საარჩევნო პროცესში, მით უმეტეს, რაიონებში. განათლების მინისტრად შაშკინის გადაყვანა სწორედ ადგილობრივი არჩევნებიდან გამომდინარეა. ხელისუფალი ძალიან ბევრს მუშაობს, მაგრამ მე მაინც მაქვს იმედი, რომ ქართველ საზოგადოებას გონიერება და შეფასების უნარი ჯერ კიდევ არ დაუკარგავს. მაგრამ ამას ოპოზიციამ უნდა მიახმაროს ინტენსიური მუშაობა მოსახლეობასთან. სტრატეგია უნდა იყოს ერთი, მაგრამ დიფერენცირებულად უნდა მუშაობდეს მოსახლეობის სხვადასხვა ნაწილთან. ოპოზიციიდან უფრო მეტად ის ადამიანები უნდა მუშაობდნენ მოსახლეობასთან, ვისაც მეტი ავტორიტეტი აქვს. ასეთი ტიპის მუშაობას სხვა ტიპის დაგეგმვა უნდა. თუ ოპოზიცია ვერ ისწავლის მუშაობას ამ მიმართულებით, გამიჭირდება თქმა იმისა, თუ როგორი შეიძლება იყოს შედეგი. იმედს ვიტოვებ, ოპოზიციაში ჯანსაღი აზრი გაიმარჯვებს.

***— გვარამიას მინისტრის პოსტიდან წასვლა მის სწავლის წყურვილს უკავშირდება თუ ის ჩააჩოჩეს?***

— როგორც ვიცი, გვარამია ყველაზე უფრო მეტად უსმენდა პედაგოგებს. ეს ხელისუფლება კი მხოლოდ პიარზეა გადასული. დიმიტრი შაშკინი კი პიარის სპეციალისტია. ამ საარჩევნო პროცესებისთვის, მანიპულაციებისთვის და ტვინის გამორეცხვისთვის სჭირდებოდათ ისეთი ადამიანი, როგორიც არის შაშკინი. ნახავთ, შაშკინი განათლების სამინისტროში პიარის როგორ ქარიშხალს დააყენებს. ეს კი იმას არ ნიშნავს, რომ განათლების სფეროში ყველაფერი კარგად არის. რაც შეეხება გვარამიას შევიწროებას უგულავის ფრთის მხრიდან, ამის თაობაზე, არაფერი ვიცი. სახელისუფლო კულუარებში ჩართული კარგად არ ვარ. ალბათ, შიდასახელისუფლო ბრძოლა არსებობს, მაგრამ ქვეყანას მხოლოდ ერთი პირი მართავს. სააკაშვილს აქვს მონურ მორჩილებაზე აგებული სახელისუფლო ვერტიკალი. ამაზე მიუთითებს ის ფაქტიც, რაც ქუთაისში მოხდა. ვერავინ გაბედა ეთქვა, მემორიალის აფეთქება 21 დეკემბერს იყო დაგეგმილი და 19-ში ვერ გავაკეთებთ. შედეგი კი ასეთი ტრაგიკული დადგა.

# რა იყო ოპოზიციის მთავარი შეცდომა

**გასული წელი ოპოზიციისთვის მომგებიანი იყო, ასე აფასებს კონფლიქტოლოგი პაატა ზაქარეიშვილი წლის შედეგებს. ზაქარეიშვილი თვლის, რომ ოპოზიციამ ხელისუფლებასთან ბრძოლაში ბევრ წარმატებას მიაღწია, თუმცა იყო შეცდომებიც, რომელიც ოპოზიციამ აღარ უნდა გაიმეოროს.**

შორენა გონგლაძე

***— ბატონო პაატა, როგორ შეაფასებთ 2009 წელს, პოლიტიკურად რამდენად წარმატებული იყო როგორც ოპოზიციისთვის, ისე ხელისუფლებისთვის?***

— გასული წელი ძალიან აქტიური და მე მგონი, მომგებიანი იყო ოპოზიციისთვის, ვიდრე ხელისუფლებისთვის. იქმნება შთაბეჭდილება, რომ ოპოზიციამ რაღაცეები წააგო და ხელისუფლებამ წააგო, მაგრამ ეს ასე არ არის. მათ, ვინც დაგეგმეს 9 აპრილს თუ 26 მაისს სააკაშვილის გაშვება, ეს შეიძლება იყოს წაგება, მაგრამ პროცესები იყო სააკაშვილის საწინააღმდეგოდ. ჯერ ერთი, კარგად გამოიკვეთა ოპოზიციის კეთილგანწყობა და კონსტიტუციის ფარგლებში მოქცევა, დემოკრატიულობა და რომ ოპოზიცია არ აპირებს რევოლუციას მიზნის მისაღწევად და, რომ ყველაფერი უნდა იყოს კონსტიტუციის ფარგლებში, ეს იყო ოპოზიციის დიდი წარმატება. სამი თვე ისე მიმდინარეობდა აქციები, რომ ოპოზიციას ერთი ბუჩქიც კი არ გაუფუჭებია, ამ ფონზე ხელისუფლების ქცევა იყო სამარცხვინო. ხალხი ოპოზიციის გამო არ გამოსულა ქუჩაში, ხალხს ჰქონდა ძალიან ბევრი პრობლემა, მათ ცვლილებები უნდოდათ, მათ უნდოდათ მათ ცხოვრებაში, მათ სამზარეულოში, მათ ეზოში, მათ მაცივარში რაღაცა შეცვლილიყო, მაგრამ ხელისუფლებამ აბსოლუტურად გაუცრუა იმედები, არც ერთი ცვლილება არ შესთავაზა. ამ ფონზე, ბუნებრივია, ხელისუფლება არის დამარცხებული იმიტომ, რომ ერთადერთი, რაც მოიგონა, გაამკაცრა კანონი მიტინგების შესახებ, სხვა არაფერი არ გაუკეთებია. ბუნებრივია, ჩვენ გვინდა ერთ დღეში გადავწყვიტოთ ყველაფერი და ამ ფონზე შეიძლება ვიღაცამ თქვას, რომ წარუმატებლობას აქვს ადგილი, მაგრამ ვინც ასე არ ფიქრობს და პროცესი ჰგონია მთავარი, აქ გამოჩნდა, რომ ხელისუფლება არის სრულებით დისკრედიტირებული, მას არავინ არ ენდობა. სააკაშვილს 2008 წლის იანვრიდან მოყოლებული არავინ არ ხვდება, მას არც ერთი სახელმწიფო ვიზიტი არ ჰქონია საზღვარგარეთ სომხეთისა და აზერბაიჯანის გარდა. ის რომ დადის საზღვარგარეთ, ეს არ ნიშნავს, რომ ეს სახელმწიფო ვიზიტებია, ის დადის კონფერენციებზე, სხვადასხვა საერთაშორისო შეხვედრებზე, მაგრამ სახელმწიფო ვიზიტი, როგორც საქართველოს პრეზიდენტი მიიღონ, ასეთი არ ყოფილა. ის ჩადის გაეროს კონფერენციებზე, მაგრამ იქ ჩადის ნებისმიერი სხვა ადამიანი და არა პრეზიდენტი, შეიძლება იქ ჩავიდეს პრემიერ-მინისტრი და ა. შ. ანუ სააკაშვილი სრულიად დისკრედიტირებულია მსოფლიოში, მაშინ როცა ოპოზიციის მიმართ არის სიმპათიები, რომ ოპოზიციამ არ დაუშვა სისხლისღვრა და დაპირისპირება. ქვეყანას მართავს ავტოკრატიული მმართველობის სისტემა, ეს არის ძალიან დიდი პრობლემა და ამას სჭირდება ნორმალური ცივილიზებული მოქმედება კონსტიტუციის ფარგლებში.



***— ბუნებრივია, ოპოზიციასაც ჰქონდა გარკვეული შეცდომები, რა შეცდომებია ის, რაც ოპოზიციამ შემდგომში აღარ უნდა გაიმეოროს?***

— ამას უფრო ფუნდამენტალური ხასიათი აქვს. მე მგონი, ოპოზიციის მთავარი შეცდომა იყო ის, რომ ის მუშაობდა კონკრეტულ შედეგზე და არა პროცესზე. პროცესი უნდა იყოს მთავარი, გაისტუმრო რაღაც არა მიტინგით, არამედ პროცესით, მუდმივად მოქმედი პროცესი უნდა არსებობდეს. პრობლემა იყო ის, რომ ყოველთვის ესწრაფვოდნენ ერთობისაკენ, რაც აბსურდულია, ერთობა კი არ არის მთავარი, მთავარი არის ერთიანი სტრატეგია, ანუ ყველა მოთამაშეს ჰქონდეს თავისი როლი, თავისი ადგილი და ემსახურებოდეს ერთ საქმეს. თუ მე არ ვგავარ ვიღაცას და ვიღაც არ მგავს მე, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ ერთნი არ ვართ, თუ შენ მარცხნიდან უტევ და მე მარჯვნიდან, ეს არ ნიშნავს, რომ ჩვენ არ ვუტევთ, საჭიროა ფრონტი გაიშალოს და ყველა თავის საქმეს აკეთებდეს ერთიანი მიზნის მისაღწევად. როგორც კი ვიღაც გამოეყოფა და ჩნდება შანსი, რომ შეიძლება მან წარმატებას მიაღწიოს, სხვები ამას უყურებენ ეჭვით და ამის მიმართ აქვთ გალიზიანება და საზოგადოებაში ქმნიან ოპოზიციის დაშლის განწყობას. თუ საზოგადოებაში შეიქმნება განწყობა, რომ ოპოზიცია ერთიანი არ არის, ეს არის თვით ოპოზიციის დამსახურება, არასდროს ხელისუფლებას ეს არ გაუკეთებია, ხელისუფლება კი ცდილობდა ეწუწავა, რომ აბა, სად არის ოპოზიცია, მაგრამ ამას მხოლოდ იმისთვის აკეთებდა, რომ თვითონ ოპოზიცია ლაპარაკობდა ამას. ამიტომ უნდა შევიგნოთ, რომ სტრატეგია უნდა იყოს ერთიანი და არა ყველა მიდიოდეს ერთი და იგივე მარშით.

***— თქვენ ერთიანი სტრატეგია ახსენეთ, რომელიც ძალიან მნიშვნელოვანი იქნება არჩევნების დროს, როგორ იკვეთება, ექნება ოპოზიციას ერთიანი სტრატეგია?***

— მე მიმაჩნია, რომ ოპოზიციამ ძალიან სერიოზული პერიოდი გაიარა. ეს იყო წარმატებული პერიოდი. ერთ-ერთი მთავარი მომენტი იყო ის, ოპოზიციური პარტიები უნდა მიხვდნენ, რომ საჭიროა გადაჯგუფებები. ამ შედეგმა მოგვიტანა ისეთი სერიოზული გაერთიანება, როგორიც არის ალიანსი. მე მგონი, რომ ალიანსში გაერთიანებული პოლიტიკური ძალები შეძლებენ ერთიანი სტრატეგიული ხედვის ჩამოყალიბებას, დანარჩენზე ვერაფერს ვერ გეტყვით.

***— რამდენად მნიშვნელოვანი იქნება არჩევნების დროს ერთიან კანდიდატზე ჩამოყალიბება და თუ ეს არ მოხდა, მაშინ რა პერსპექტივა აქვს ოპოზიციას?***

— ოპოზიციას ძალიან დიდი პერსპექტივები აქვს, თუ ხალხი გაითავისებს ამ მოვლენის მნიშვნელობას. ერთიან კანდიდატზე ვერ ჩამოყალიბდებიან, ეს გამორიცხულია, იმიტომ, რომ ყველამ კარგად ვიცით, ლეიბორისტული პარტია არავისთან არ ერთიანდება და ყოველთვის გადის ცალკე. ძალიან კარგია, რომ ჩვენ გვაქვს ქვეყანაში ისეთი პარტია, რომელიც ასე მოქმედებს. გარდა ამისა, როგორც კი აღმოჩნდება, რომ ოპოზიცია ეძებს ერთიან კანდიდატს, სააკაშვილი მაშინვე გამოჩეკავს უამრავ ლიდერს, რომლებიც შექმნიან ოპოზიციის შთაბეჭდილებას და მათ მისცემს ტელევიზიას, სხვადასხვა პროპაგანდის საშუალებებს. ამიტომ აბსურდულია გყავდეს ასეთი ხელისუფლება სააკაშვილის სახით და იმედი გქონდეს ერთიანი კანდიდატის. ოპოზიცია უნდა შეეცადოს შექმნას ეს ინსტიტუტი, მაგრამ თუ არ გამოდის, თავზე ნაცარი არ უნდა დაიყაროს, მთავარია ხალხი გაერთიანდეს, ხაოლხი მიხვდეს, სად არის სიყალბე და სად არის სიმართლე. ხალხმა მისცეს ხმა ერთ კანდიდატს, ეს არის უფრო მნიშვნელოვანი. ოპოზიციას აქვს ორი უნიკალური შანსი: პირველი, არ მისცეს ხელისუფლების კანდიდატს საშუალება, მოაგროვოს 30 პროცენტი. ეს არის მშვენიერი საშუალება, რათა დაინიშნოს მეორე ტური, ეს შესაძლებელია, ამაში შეუძლებელი არაფერი არ არის. თუ არავინ არ აძლევს ხმას სახელისუფლებო კანდიდატს და ყველა მიდის არჩევნებზე, გაყალბების ნაწილი ძალიან ცოტა რჩება. მთავარი პირობაა, ყველა წავიდეს არჩევნებზე და მეორე პირობა, არავითარ შემთხვევაში ხმა არ მისცეს სააკაშვილის კანდიდატს. ამ შემთხვევაში პრაქტიკულად სააკაშვილის კანდიდატი ვერ იღებს 30 პროცენტს. ეს ერთი ამოცანა, მეორე მნიშვნელოვანი და შესრულებადი ამოცანაა, რამდენი პროცენტიც არ უნდა მიიღოს სააკაშვილის კანდიდატმა, ოპოზიციის კანდიდატმა უნდა აიღოს უფრო მეტი. აიღო 30 პროცენტი უგულავამ, ჩვენ უნდა ავიღოთ 35, აიღო 40 პროცენტი უგულავამ, ჩვენ უნდა ავიღოთ უფრო მეტი, ნუთუ ამ ორი ამოცანიდან ვერც ერთს ვერ შეასრულებს ოპოზიცია და ხალხი? თბილისი ყველაზე მობილიზებული ქალაქია საქართველოში, თუ თბილისში ვერ მოხდა ამ პოზიციის გათავისება, რომ ყველა მივიდეთ არჩევნებზე და ხმა არ მივცეთ სააკაშვილს, თუ თბილისში ეს არ მოგვარდა, მაშინ სხვაგან არსად არ მოგვარდება, მაშინ ჩვენ განწირული ვართ ვიცხოვროთ არადემოკრატიულ საზოგადოებაში.

***— პრაიმერის იდეას როგორ აფასებთ?***

— მე ყოველთვის უარყოფითად ვაფასებდი. პრაიმერი შეიძლება იყოს მხოლოდ ერთ პარტიაში, სადაც ერთი პარტიის წევრები მონაწილეობენ, რათა თავიანთ პარტიაში გამოარჩიონ ლიდერი. ამის ყველაზე კარგი მაგალითი იყო ამერიკაში, როდესაც დემოკრატიულ პარტიაში იყვნენ ობამა და კლინტონი, ჩატარდა პრაიმერი და ყრილობამ მისცა უპირატესობა ობამას. ეს ამ შემთხვევაში, წარმოუდგენელია მოხდეს, ეს აბსურდული რაღაცაა. როგორ შეიძლება მაგალითად, ლეიბორისტების ამომრჩეველმა მოიწონოს რესპუბლიკური პარტიის კანდიდატი, ანდა პირიქით, ეს ხომ აბსურდულია.

***— თქვენი ცხინვალში ვიზიტის შესახებ მინდა გკითხოთ, ამ ფაქტს პოლიტიკურ წრეებში არაერთგვაროვანი შეფასება მოყვა, თქვენ როგორ ფიქრობთ, რამდენად გამართლებული იყო შედეგიდან გამომდინარე ეს ნაბიჯი?***

— ამ შეხვედრამ მოიტანა ძალიან მნიშვნელოვანი შედეგი, ორი ბავშვი განთავისუფლდა. ჩემი ამოცანა იყო ადამიანის უფლებების დაცვა და ამ ბავშვებზე ზრუნვა. მე კმაყოფილი ვარ ამ ყველაფრით და მიმაჩნია, რომ ძალიან სწორად მოვიქეცი.

***— ის უარყოფითი შეფასებები რომელიც მიიღეთ?***

— ეს არის იმ ადამიანების ბოღმა, რომლებიც ვერ იტანენ წარმატებულ ადამიანებს და ეს მათი პრობლემაა.

***— ანუ ეს თქვენი პიროვნებისკენ იყო მიმართული და არა იმისკენ, რომ შეხვდით სეპარატისტულ ხელისუფლებას?***

— მე რაც არ უნდა გამეკეთებინა და წარმატებული ყოფილიყო, სულაც რომ არ შევხვედროდი კოკოითს და ეს ბავშვები ისე გამოსულიყვნენ, მაინც იპოვიდნენ რაღაც ცუდს. ძალიან ძნელია ავადმყოფი და ბოღმა ადამიანების კომენტირება.

# სააკაშვილი რომ პრეზიდენტია, ეს პუტინის დამსახურებაა

## თემურ შაშიაშვილი „კავკასიური არხის“ შექმნის წინააღმდეგია

თეა მარხვაძე

**იმერეთის ყოფილი გუბერნატორი აღარ ხუმრობს. ბოლო პერიოდში თემურ შაშიაშვილმა მთელი დსთ „ფეხქვეშ“ გაიგო. და ყოფილი პრემიერ-მინისტრისა არ იყოს, ძალიან მოუხშირა მოსკოვში სიარულს. მისგან განსხვავებით ჯერ პუტინთან შეხვედრის პატივი არ ჰქონდა. ასეთი შანსი რომც მისცემოდა, შეიძლება რუსეთის პრემიერი „გადაეგდო“. მისი აზრით, სააკაშვილი რომ დღეს ხელისუფლების სათავეშია, ეს თავიდან ბოლომდე პუტინის ბრალი ყოფილა.**

სამშობლოდან შაშიაშვილი წინა კვირას გაემგზავრა. წასვლისას დაგვიბარა, ვლადიკავკაზში მივალ და კვირის ბოლოს დავბრუნდებიო. ვლადიკავკაზში მიმავალი შაშიაშვილი რატომღაც კიევში, მინსკში და მოსკოვში აღმოჩნდა. ამ ვოიაჟს დიდი მითქმა-მოთქმა რომ არ მოჰყოლოდა, ყოფილმა გუბერნატორმა ჩრდილოეთ ოსეთის რესპუბლიკა — ალანიის დედაქალაქიც „დასმოტრა“.

მისი განცხადებით, კიევში, მოსკოვში, ვლადიკავკაზსა და მინსკში საინტერესო შეხვედრები გაიმართა. ექსგუბერნატორის მტკიცებით ამ შეხვედრებზე მხარეებმა პოლიტიკური პროცესები გააანალიზეს. ყველაზე ბევრი კი კავკასიურ დიალოგზე უსაუბრიათ.

შაშიაშვილი გულნატკენია იმის გამო, რომ ქართველ პოლიტიკოსებს კავკასიური პრობლემის მოგვარება დიდად არ აინტერესებთ.

— ჩვენ ყველამ უნდა გავიგოთ, თუ რას ნიშნავს კავკასიური დიალოგი, რომელსაც პოლიტიკური პარტიები ნაკლებად ეხმიანებიან, ხოლო ქართული მედია საერთოდ ყურადღებასაც კი არ აქცევს. უნდა ვიცოდეთ, რას ნიშნავს ქართულ-ოსური დიალოგი და ქართულ-აფხაზური ურთიერთობა. ქართულ პოლიტიკაში ახლა ასეთი მდგომარეობაა: პოლიტიკური კლასი ან ამერიკის, ან რუსეთის პოზიციას იზიარებს, მაგრამ არავინ ფიქრობს, სად დგას ქართული ძალა, რომელიც ქართულ ინტერესს დაიცავდა. სწორედ ამ რეალობების გათვალისწინებით ქართული წარმომადგენლობის შეხვედრა კავკასიურ დიალოგში ძალიან დადებითად, პოზიტიურად და მნიშვნელოვნად მიმაჩნია, — განაცხადა შაშიაშვილმა.

იმ კავკასიურ დიალოგში, რომელშიც შაშიაშვილი მონაწილეობდა, 22 ეთნოსის წარმომადგენელი დაესწრო. ეს დიალოგი მოსკოვის კულტურის უნივერსიტეტში შედგა. ამ შეხვედრაზე კავკასიის სამეზობლო პოლიტიკაზე უსაუბრიათ.

— მოსკოვის კულტურის უნივერსიტეტში გამართული შეხვედრა იყო უმნიშვნელოვანესი. 2010 წლის თებერვალში უკვე მსგავსი ტიპის შეხვედრა მეოთხედ ჩატარდება, — ამბობს ყოფილი გუბერნატორი.

მისივე ინფორმაციით მალე ვლადიკავკაზში ქართულ-ოსური დიალოგი გაიმართება. ყოფილი გუბერნატორის აზრით ასეთი შეხვედრები ოსებს და ქართველებს ერთმანეთთან ისევ დააახლოვებს.

კავკასიელი ხალხების დაახლოების სურვილით ანთებულ შაშიაშვილს კავკასიური არხის შექმნა დიდად არ მოსწონს. ექს-გუბერნატორი მიიჩნევს, რომ ამ არხმა შეიძლება რეგიონში დესტაბილიზაცია გამოიწვიოს.

ამ საკითხთან დაკავშირებით საუბარი შაშიაშვილს მოსკოვში ყოფნის დროსაც ჰქონია. იქაც უთქვამთ, რომ ამ არხმა შეიძლება უარყოფითი მოვლენები გამოიწვიოს. შაშიაშვილს განსაკუთრებით ის ფაქტი არ მოსწონს, რომ ამ არხს რუსი ოლიგარქი ბორის ბერეზოვსკი აფინანსებს. რომლისთვის პუტინის წინააღმდეგ ბრძოლა ლამის ცხოვრების უმთავრეს მიზნად იქცა.



— არხის დაფუძნება ბორის ბერეზოვსკისა და მიხეილ სააკაშვილის ერთობლივი პროექტია, სადაც რუსეთის დაშლის იდეა იგულისხმება. ეს არის რეალური ფაქტი. უახლოესი ათი წლის პერსპექტივით ეს ყველაზე ანტიქართული საქციელი იქნება, — მიიჩნევს შაშიაშვილი.

მან ჩეჩნეთის პრეზიდენტის განცხადებაც ახალი არხის შექმნას დაუკავშირა. რამდენიმე დღის წინ ჩეჩნეთის პრეზიდენტი რამზან კადიროვი გამოვიდა და კინაღამ საქართველოს განადგურება მოითხოვა.

— ბერეზოვსკის მიერ დაფუძნებული არხის გენერალურ დირექტორად შესაძლოა ჩეჩნეთის პირველი პრეზიდენტის ჯოჰარ დუდაევის მეუღლე დაინიშნოს. ამაზე დღეს ძალიან ბევრს საუბრობენ. ჩვენ ამ ფაქტზე კავკასიური დიალოგის დროსაც ვისაუბრეთ. დუდაევის მეუღლის ახალი არხის გენდირექტორად დანიშვნა ჩეჩნებმა ძალიან სერიოზულად გააპროტესტეს. აქედან გამომდინარე, მგონი, ლოგიკურია ჩეჩნეთის პრეზიდენტის, კადიროვის განცხადება, რომელიც ამბობს, რომ საქართველო კავკასიის სტაბილურობას საფრთხეს უქმნის, — მიიჩნევს ყოფილი გუბერნატორი.

კავკასიის გაერთიანების იდეის მატარებელ შაშიაშვილს უყურადღებოდ არც საქართველოს პრეზიდენტი დაუტოვებია. სამშობლოდან შორს ყოფნის მიუხედავად მას ყურადღებით მოუსმენია პრეზიდენტის გამოსვლებისთვის. ამ გამოსვლების მოსმენის შემდეგ კი დაასკვნა, რომ სააკაშვილი რუსეთის პრემიერს ძალიან დაემსგავსა.

— დღეს სააკაშვილი და პუტინი მოწინააღმდეგეები კი არ არიან, არამედ ერთ პოლიტიკურ თამაშს თამაშობენ. პუტინი საქართველოს მოსახლეობას უკვე მერამდენედ კრავს სააკაშვილის ირგვლივ და მძიმე შიდა პოლიტიკურ ვითარებაში დახმარების ხელს უწვდის. მაქვს უტყუარი ინფორმაცია, რომ კრემლის აპარატიდან იმ ადამიანების მიმართ, ვინც სააკაშვილის კრიტიკით ძალიან გამორჩეულია, დაურეკეს და მკაფიოდ გააფრთხილეს, რომ 2013 წლამდე მიხეილ სააკაშვილი რუსეთს პრეზიდენტად ხელს აძლევს და თავი დაენებებინათ. რუსეთმა სააკაშვილის ხელით საქართველოს მიმართ დიდი საქმე გააკეთა, როცა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის დამოუკიდებლობა აღიარა. თუკი ასე გაგრძელდა, ჩვენ კვლავ ახალი ტერიტორიების დაკარგვის წინაშე აღმოვჩნდებით.ქართულმა საზოგადოებამ სწორი დასკვნები უნდა გამოიტანოს, — მიაჩნია ექს-გუბერნატორს.

არსებული პრობლემების მოსაგვარებლად შაშიაშვილი ისევ აპირებს საქართველოდან გამგზავრებას. თებერვლის თვეში კი სამშობლოშიც გამართავს ღონისძიებებს. სადაც იმ საფრთხეებზე აგვიხელს თვალებს, რომელიც, მისი თქმით, საქართველოს ელოდება.

# ნატომ რუსეთს საქართველოში შეჭრა მოუწონა

გერა მამულაშვილი

**„ახალი თაობა" მცირედი შემოკლებით გთავაზობთ რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის, სერგეი ლავროვის ინტერვიუს „როსიისკაია გაზეტასთან". ლავროვმა 2009 წლის დიპლომატიური შედეგები შეაფასა და ამ კონტექსტში გაზეპირებულ მანტრასავით საქართველოსაც გადაჰკრა.**

*— ფინანსისტებისთვის და ეკონომისტებისთვის 2009 წელი გადაჭარბების გარეშე ძალიან რთული იყო. როგორი იყო ის დიპლომატებისთვის?*

— 2009 წელი დიპლომატებისთვის, რა თქმა უნდა, ასევე რთული იყო. იმ მოვლენებიდან, რომლებიც გასულ წელს საერთაშორისო ცხოვრებაზე გავლენას ახდენდნენ, მე პირველ ადგილზე გლობალურ ფინანსურ კრიზისს დავაყენებდი. თავისთავად ეს არა მარტო კრიზისი, არამედ ნამდვილი თავის ტკივილია ეკონომისტებისთვის. მსოფლიო „ოცეულის" ჩამოყალიბება, ჩემი აზრით, საეტაპო ზღუდეა მრავალმხრივ არქიტექტურაში, კოლექტიური ლიდერების ფორმირებაში, რომელზეც ჩვენ უკვე არაერთი წელიწადია ვსაუბრობთ. აქამდე ჩვენ გვისმენდნენ, მაგრამ ცოტა რამ თუ იცვლებოდა.

აი, გამოჩნდა „ოცეულიც". ეს არის მსოფლიოს მრავალპოლარულობის კიდევ ერთი გამოვლინება და იმის გაგება, რომ გლობალიზაციის პირობებში ნებისმიერი რყევა ყველა ჩვენთაგანს შეეხება. რომ ჩვენ ყველანი ერთ ნავში ვიმყოფებით და საჭიროა ერთმანეთის ინფორმირებით ვიმოქმედოთ.

ევროპასა და ვაშინგტონში იმის გაგებაა, რომ არ შეიძლება იმ ავანტიურის განმეორების დაშვება, რომელიც სააკაშვილმა 2008 წლის აგვისტოში მოაწყო. ჩვენს ყურადღებას იპყრობდა, რა თქმა უნდა, სამხედრო-პოლიტიკური უსაფრთხოების პრობლემებიც. აქ ძირითადი ყურადღება ეთმობოდა პრეზიდენტ მედვედევის ინიციატივის წინწაწევას ევროპული უსაფრთხოების ხელშეკრულების შემუშავების შესახებ.

ამ მუშაობის კონკრეტული შედეგია შეთანხმების პროექტი, რომელიც პრეზიდენტმა მედვედევმა სახელმწიფოთა მეთაურებს და ევროატლანტიკურ სივრცეში საერთაშორისო ორგანიზაციების ხელმძღვანელებს გადაუგზავნა. პრინციპში, კმაყოფილნი ვართ იმით, თუ როგორ ვითარდება დისკუსია ამ თემაზე.

ჩვენი პარტნიორების რეაქციები აჩვენებს, რომ ევროატლანიკურ სივრცეში უსაფრთხოების არქიტექტურის პრობლემებს ყველანი აღიარებენ, მაგრამ ნატოს წევრების უმეტესობა ჯერ კიდევ მოითხოვს იმის სრულყოფას, რაც უკვე არსებობს, ანუ ჩვენ გვეუბნებიან: ნატო იცვლება და მოდით, რაღაც გავაკეთოთ თვით ალიანსის გარშემო, ხოლო დანარჩენები, ვინც ნატოში შესვლას არ აპირებთ, რისი გეშინიათ. ნატო უკვე სხვა არის, აღარ არის „ცივი ომი", ჩვენ მოწინააღმდეგეები არ ვართ და ა.შ. მაგრამ ეს არ არის პასუხი.

რადგან ნებისმიერი გარემოებისას არსად არ ქრება მოთხოვნილება თანაბარი უსაფრთხოების უზრუნველყოფისა ევროატლანტიკურ საზღვრებში, ხელშეკრულების ჩვენი პროექტი სწორედ ამ მიზნის მიღწევისთვის არის მოწოდებული.

კიდევ ერთი მომენტი, რომელიც განლევად წელიწადში საეტაპოდ გამოვარჩიე — ეს არის კავკასიური კრიზისის შედეგების გააზრება. ამაზე პირველი რეაქცია იყო რეფლექტორული, ინსტიქტური, „ცივი ომის" ლოგიკის სულისკვეთებაში: სახეზეა სააკაშვილი, რომელიც მთლიანად, სულით და გულით გახსნილია დასავლეთისთვის და არიან ისინი, ვინც მას აწყენინა. ამ რეაქციამ დროის გამოცდას ვერ გაუძლო.

დავიწყებ იმით, რომ ნატოს წევრი რიგი სახელმწიფოები სარწმუნო კონტაქტებისას გვეუბნებოდნენ: ჩვენ მშვენივრად გვესმის, რაც გააკეთეთ და რომ სხვა გამოსავალი არ გქონდათ, მაგრამ ვხელმძღვანელობთ ნატოს და ევროკავშირის სოლიდარობის ლოგიკით და იძულებულნი ვართ, სახალხოდ სხვაგვარი პოზიცია დავაფიქსიროთ, რომ საქართველო დაჩაგრეს, დაარღვიეს მისი ტერიტორიული მთლიანობა.

დღეს ეს ყველაფერი უკვე გავლილია. ხოლო ინერციით განგრძობადი განცხადებები ნატოს და ევროკავშირის წევრებში უხერხულობის გრძნობასაც კი იწვევს. ჩვენ ეს ვიცით. ახლა უკვე ყველას ესმის, რომ მომხდარი მთლიანად სააკაშვილის სინდისზეა. თუ ვინმეს მტკიცებულება სჭირდება ამის თაობაზე, ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხი ტალიავინის კომისიის დასკვნამ გასცა.

ერთდროულად მოდის იმის გაგება, რომ ამ ძალიან მნიშვნელოვან და სტრატეგიულ რეგიონში უნდა იყოს სტაბილურობა. სააკაშვილის ძალისმიერი რეფლექსების რეციდივს რეგიონში განთავსებული ევროკავშირის დამკვირვებლები აკავებენ. მონიტორები, ისევე, როგორც რუსული მხარე, ქართული ძალოვანი სტრუქტურების ქმედებებს აკონტროლებენ და საკმაოდ საგანგაშო ფაქტების შესახებ იუწყებიან.

ვიმეორებ, რომ ევროპასა და ვაშინგტონში ესმით, რომ 2008 წლის აგვისტოში სააკაშვილის მიერ მოწყობილი ავანტიურის გამეორება დაუშვებელია. ჩვენს პარტნიორებს ამის ხმამაღლა თქმა არ შეუძლიათ. როგორც ჩანს, მათ ჯერ კიდევ რცხვენიათ ამის გაკეთების, რადგან ეს მათი შეცდომის აღიარება იქნება, ვისაც სააკაშვილზე ჰქონდა გათვლა, მაგრამ ჩვენ დაზუსტებით ვიცით, რომ ისინი ამ აზრს თბილისს ზუსტად აწვდიან.

კიდევ ერთი ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტის გაგებაც ნელ-ნელა მოდის. სწორედ იმის, რომ მსოფლიოს გეოპოლიტიკური სურათი იცვლება.

*— სულ უფრო ხშირად, როდესაც რთული სიტუაცია იქმნება, პოლიტიკოსები არ ცდილობენ მის ოპერატიულად გადაწყვეტას, ხოლო მოლაპარაკებები უკეთესი დროებისთვის გადააქვთ. ეს ეხება როგორც კლიმატურ სამიტს კოპენჰაგენში, მოლაპარაკებებს „ოცეულის" ჩარჩოებში, ირანული ბირთვული პროგრამის განხილვას, სიტუაციას ახლო აღმოსავლეთში. ერთი მხრივ, პოლიტიკოსთა ამგვარი ქცევა ახალი კონფლიქტების თავიდან აცილების ხერხია, მეორე მხრივ, თუკი ჭრილობას დიდხანს არ ვუმკურნალებთ, შედეგად ფეხის ამპუტირება მოგვიწევს.*

— არ ვფიქრობ, რომ თქვენ მიერ ჩამოთვლილ თემებზე საერთო სურვილია, რომ პრობლემათა გადაწყვეტილებები გადადებული იყოს. ავილოთ მაგალითად, კოპენჰაგენში ჩატარებული კონფერენცია. დიახ, მან მოლოდინი არ გაამართლა, მაგრამ პირველ რიგში, იმათი მოლოდინი არ გაამართლა, ვინც უკვე კოპენჰაგენში მოელოდა გარღვევას ერთგვარი გლობალური კონსენსუსის მიღწევაზე.

კოპენჰაგენის შედეგებს, პირველ რიგში, იმ თვალსაზრისით განვიხილავ, რომ ამჟამად კლიმატის ცვლილების თემამ შეუქცევადად პრიორიტეტული ადგილი დაიკავა საერთაშორისო დიალოგში. მათ შორის, მოლაპარაკებათა უმაღლეს დონეზე, რასაც წინ გაუსწრებს ძალიან სერიოზული საექსპერტო მუშაობა.

პოლიტიკოსები და ექსპერტები გააგრძელებენ დავას იმაზე, თუ რამდენად მეცნიერულად დასაბუთებულია პროგნოზები, რომლითაც ყველას აშინებენ, მაგრამ ჩვენ რომ ერთმნიშვნელოვნად ყველა ვარიანტში სარგებელს ველით, ამის შესახებ პრეზიდენტი მედვედევი უკვე საუბრობდა და ეს უკვე ფორმირებული პოზიციაა.

ჩვენ მაინც ავამაღლებთ საკუთარი ეკონომიკის ენერგოეფექტურობას, ავითვისებთ თანამედროვე ენერგოშემნახველ ტექნოლოგიებს, ენერგიის ალტერნატიულ წყაროებს. გვსურს, რომ რუსეთში უფრო მეტი სისუფთავე იყოს. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენი ტყეები უფრო კომფორტულ სიტუციაში ყოფნის საშუალებას გვაძლევს, ვიდრე ბევრ სხვა ქვეყანას.

მეორე თქვენი მაგალითი — ახლოაღმოსავლური დარეგულირებაა. ჩემი აზრით, ამ პრობლემის გადაწყვეტას ხვალისთვის არავინ დებს. ამერიკელები მთელი წელიწადი ცდილობდნენ და ჩვენ მხარს ვუჭერდით, როგორც ყველა დანარჩენები, რომ პალესტინელებთან და ებრაელებთან შეთანხმებულიყვნენ პირდაპირი მოლაპარაკებების აღდგენის პირობებზე. ის რაც ჩვენს ებრაელ პარტნიორებთან მიაღწიეს, ეს სწორი ნაბიჯია, მაგრამ აშკარად არასაკმარისი. ამაზე ყველანი თანხმდებიან. ასევეა სხვა საკითხებშიც.

*— 2010 წლისგან სიურპრიზებს ელით?*

— დარწმუნებული ვარ, რომ სიურპრიზები იქნება. რადგან ცხოვრებას სიურპრიზები ყოველ წელს მოაქვს და მას ვერსად ვერ გავექცევით. მსოფლიო თანამეგობრობა მრავალწახნაგოვანია და რა მოხდება ერთ, ან მეორე რეგიონში, არავის ამის წინასწარ თქმა არ შეუძლია. სამწუხაროდ, კონფლიქტოგენურობა არსად გაქრება. ის არ იკლებს, არამედ მატულობს. ამიტომ ერთმანეთზე ურთიერთდამოკიდებულების პირობებში, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში, ნებისმიერი მეტ-ნაკლებად სერიოზული პრობლემა ყურადღებას მოითხოვს.

# „ბილაინი" ჟურნალისტებს სპეციალურ საახალწლო ტარიფს სთავაზობს

## დღეიდან, მედიის წარმომადგენლებს შესა ლებლობა აქვთ, მხოლოდ 2 თეთრად ესაუბრონ კომპანიის ნახევარ მილიონზე მეტ აბონენტს

**თითეულ ჟურნალისტს პროფესიულ წინსვლასა და წარმატებას ვუსურვებთ, რადგან ვიცით, რომ მათი თანამონაწილეობით „ბილაინის" ბიზნესი კიდევ უფრო წარმატებული გახდება — სწორედ ამ სიტყვებით ულოცავს საქართველოს ერთ-ერთი სატელეკომუნიკაციო კომპანიის გენერალური დირექტორი, ანდრეი პიატახინი ქართული მედიის წარმომადგენლებს დამდეგ 2010 წელს და საჩუქრად საგანგებოდ შექმნილ სატარიფო გეგმას სთავაზობს... დღეიდან თითეულ ქართველ ჟურნალისტს შესაძლებლობა ექნება უპრეცედენტოდ დაბალ ფასად, სულ რაღაც 2 თეთრად ესაუბროს „ბილაინის" ნახევარ მილიონზე მეტ აბონენტს და ამით, რაღა თქმა უნდა, მნიშვნელოვნად დაზოგოს საკუთარი ხარჯები.**



საახალწლო ტარიფის შეთავაზების გარდა, ანდრეი პიატახინმა წინასაახალწლო პრესკომფერენციაზე შეკრებილ მედიის წარმომადგენლებს მობილური ტელეფონებიც უსახსოვრა, რასაც კომპანიის ცენტრალურ ოფისში განსაკუთრებული ოვაციითა და სიხარულით შეხვდნენ... პიატახინმა ამავდროულად იმის იმედიც გამოთქვა, რომ მოკრძალებული საჩუქრით ყველა კმაყოფილი დარჩა.

„დიდ მადლობას ვუხდი ჟურნალისტებს ჩვენთან აქტიური თანამშრომლებისთვის და მინდა პატარა, მოკრძალებული საჩუქარი გავუკეთო მათ. ეს გახლავთ ახალი, სპეციალური 2 თეთრიანი ტარიფი „ბილაინის" ნახევარ მილიონზე მეტ აბობებტთან სალაპარაკოდ და ამასთან ერთად მობილური ტელეფონებიც, მართალია არც ისე ძვირფასი, მაგრამ მინდა აღვნიშნო, რომ მე თვითონაც ზუსტად ასეთს ვიყენებ. იმედია ყველას ძალიან მოეწონება," — აცხადებს პიატახინი.

28 დეკემბერს კომპანიის ოფისში წინასაახალწლო მილოცვებისა და წამახალისებელი ვიქტორინის გამარჯვებულები დააჯილდოვეს... „ბილაინის" ექვსმა ყველაზე აქტიურმა, ნიჭიერმა და კრეატიულმა აბონენტმა ტელევიზორთან, IPOD-თან, მობილურ ტელეფონებთან, და ოქროს ნომერთან ერთად საახალწლო სასაჩუქრე კალათებიც მიიღეს. მილოცვების კონკურსის პირველადგილოსანი ლაშა ხარებავა კი, დამატებით პრიზსაც მიიღებს — სწორედ მის მიერ მოფიქრებული სლოგანით მიულოცავს „ბილაინი" სრულიად საქართველოს დამდეგ ახალ წელს.

„დიდად მადლიერი ვარ იმ ადამიანების, რომლებმაც ჩვენს ვიქტორინებში აქტიურად მიიღეს მონაწილეობა და გაიმარჯვეს კიდეც... ალბათ ყველა დამეთანხმება, რომ საახალწლოდ საჩუქრების გაკეთება ძალიან სასიამოვნო პროცესია... მომეწონა აბონენტების მოფიქრებული სლოგანებიც, მართალია ჯერჯერობით ქართული კარგად არ მესმის, თუმცა, რაც მითარგმნეს, ყველაფერი ძალიან ლამაზი და რაც მთავარია, სითბოს მატარებელია," — ამბობს ანდრეი პიატახინი.



„ბილაინის" საახალწლო აქციები ერთ თვეზე მეტ ხანს გრძელდებოდა და მასში მონაწილეობას კომპანიის აბონენტები იღებდნენ. როგორც საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი, თეონა ბაღდავაძე აცხადებს, „ბილაინის" წარმომადგენლებს ყველაზე მეტად 2 ათასი სმს-დან საახალწლო მილოცვების 3 ყველაზე ორიგინალური ვარიანტის შერჩევა გაუძნელდათ.

**თეონა ბაღდავაძე, „ბილაინის" საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი:**

— დღეს „ბილაინს" აბონენტებისათვის რამდენიმე სასიამოვნო სიახლე აქვს... პირველ რიგში ის, რომ გამოვლინდა ჩვენი ორი საახალწლო ვიქტორინის გამარჯვებულთა ვინაობა. მოხარულები ვართ, რომ კომპანიას ასეთი საზრიანი და კრეატიული მომხმარებლები ჰყავს და თითეულ გამარჯვებულს ვულოცავთ ახალ წელს.

მილოცვების კონკურსში გამარჯვებული ლაშა ხარებავას სლოგანის მიხედვით დამზადებული კლიპი — მრავალ წამს, მრავალ წუთს, მრავალ წელს, „ბილაინი" გილოცავთ ახალ წელს, უკვე ტრიალებს სხვადასხვა ტელეარხებზე და მისმა ავტორმაც პრიზის სახით ტელევიზორთან ერთად საახალწლოდ სასაჩუქრე კალათაც მიიღო. მეორე ადგილის მფლობელს ტელეფონი მესამეადგილოსანს კი, IPOD გადაეცა. რაც შეეხება სმს ვიქტორინას, ამ შემთხვევაშიც 3 გამარჯვებული გვყავს, რომლებმაც კომპანიისაგან სხვადასხვა ფასიანი საჩუქრები მიიღეს.

დაჯილდოვების ცერემონიალზე გამარჯვებულთა შორის ყველაზე გახარებული, რაღა თაქმა უნდა, ლაშა ხარებავა გახლდათ.

**ლაშა ხარებავა:**

— როგორც იცით „ბილაინმა" წინასაახალწლოდ კონკურსი გამოაცხადა — ყველა აბონენტებს თითო მილოცვა უნდა მოეფიქრებინა, რომელთა შორის საუკეთესოს გამოყენებით კომპანია მომხმარებლებს ახალ წელს მიულოცავდა. ჩემი მოფიქრებული სლოგანი — მრავალ წამს, მრავალ წუთს, მრავალ წელს, „ბილაინი" გილოცავთ ახალ წელს, გავაგზავნე და მოვიგე კიდეც...

უკვე დიდი ხანია „ბილაინის" აბონენტი ვარ და სიმბოლურია ისიც, რომ პირველი ნომერი სწორედ ამ ოფისში ავილე, სადაც დღეს საჩუქრები გადმომცეს. თუმცა, ჩემთვის ყველაზე მნიშვნელოვანი მაინც ის გახლავთ, რომ დამდეგ 2010 წელს „ბილაინი" მთელს საქართველოს ჩემი სლოგანის მიხედვით დამზადებული კლიპით მიულოცავს.

**ნათია კვირიკაშვილი, სმს ვიქტორინის გამარჯვებული:**

— სმს ვიქტორინაში ძალიან აქტიურად ვიღებდი მონაწილეობას და საბედნიეროდ გავიმარჯვე კიდეც... ყველაზე სასიხარულო ისაა, რომ საახალწლოდ „ბილაინისაგან" 5 ათასი ლარის ღირებულების ოქროს ნომერი მივიღე. ამ კომპანიის აბონენტი ვარ იმ დღიდან, რაც ის ქართულ ბაზარზე გამოჩნდა და ძალიან კმაყოფილი ვარ — ტარიფებითაც, მომსახურებითაც და რაღა თქმა უნდა, საახალწლო ვიქტორინებითა და სიურპრიზებით.

**ანა ვაჩნა ე**

# პრაიმერი ოპოზიციისთვის მთავარი არ უნდა იყოს

## ნოღაიდელმა ახალი სალაპარაკო თემა გააჩინა

ნონა ცაბაძე

### ინტერვიუ ექსპერტ სოსო ცისკარიშვილთან

***— ბატონო სოსო, როგორ შეაფასებდით განვლილ 2009 წელს, თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეებით?***

— 2009 წლის მთავარი მიღწევა, ჩემი აზრით, გახლავთ ის, რომ განსხვავებით წინა წლებისგან, არ მომხდარა რაიმე სერიოზული სისხლისღვრა და წელს ჰქვია მშვიდობიანი. მშვიდობიანობა 2009 წლის პირობითი მცნებაა, რადგან უამრავი დაზარალებული ადამიანია, როგორც ფიზიკურად, ისე კანონდარღვეული სამართალით, არის პირდაპირი მსხვერპლიც უგუნური ქმედებებისა ხელისუფლების და ამდენად, ამ წელს სამაგალითოდ ვერ ჩავთვლით. თუ გავაყოლებთ თვალს და ვაიძულებთ ყველას, გაიხსენონ წარმატებები ხელისუფლებისა, მადლობა უნდა ვუთხრათ მას, რომ არ დაუშინეს ტყვია სამი თვის განმავლობაში ქუჩაში მდგომ მოსახლეობას. მართალია ეს მათი ძირითადი პრანჭვის საფუძველი იყო დასავლეთის წინაშე და მტკიცება იმისა, რომ საქართველო დემოკრატიული ოაზისია, მაგრამ სჯობს სიცრუე გავრცელდეს მიამიტ, მიმტევებელ დასავლეთში, ვიდრე კიდევ დაიღვაროს სისხლი ხელისუფლებისა და საზოგადოების დაპირისპირების პროცესში. რაც შეეხება პოლიტიკურ დივიდენდებს, რასაკვირველია, ასეთის მოპოვებას ვერ ვადასტურებ რომელიმე სფეროში, მით უმეტეს, საერთაშორისო ურთიერთობებში, სადაც მთელი წელიწადია მიდის უსაგნო, უშედეგო მისვლა-მოსვლა ჟენევაში და არ გადავდგით რაიმე კონკრეტული ნაბიჯი იმისათვის, რომ დაწყებულიყო საქმიანი და თანაბარუფლებიანი მოლაპარაკება თბილისსა და სოხუმს შორის, თბილისსა და ცხინვალს შორის. პრაქტიკულად ენა გვაქვს ჩაგდებული ამ მიმართულებით, ჩვენს ნაცვლად ლაპარაკობს ბევრი სხვა ქვეყანა და საერთაშორისო ორგანიზაცია, რომელთა ნაწილს სულაც არა აქვს მიზნად ამ კონფლიქტების მშვიდობიანი დარეგულირება და კმაყოფილნი არიან იმით, რაც ხდება, ვგულისხმობ, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს ჩრდილოელ მეზობელს და მისი გავლენის ქვეშ მყოფ ზოგიერთ საერთაშორისო ორგანიზაციას. სამეურნეო საქმიანობაში რაიმე ტიპის წარმატება შეიძლება წარმოჩენილ იქნეს ქვეყნის წარმატებად. სამწუხაროა, რომ პრეზიდენტს დაგებული გზის გარდა საამაყო არაფერი აქვს, ხოლო ის რომ შვიდვარსკვლავიანი სასტუმროთი ტრაბახობს, მერწმუნეთ, უაღრესად ნეგატიურ განწყობას იწვევს იმ მოსახლეობაში, რომელიც 2009 წელს კიდევ ერთხელ დარწმუნდა, რომ მმართველი პოლიტიკური ძალის ინტერესებში არ შედის საქართველო სიღარიბის გარეშე. სწორედ ღარიბი საქართველოა ის ადვილად სამართავი საზოგადოება, რომელიც მას მუდმივად სჭირდება სხვადასხვა არჩევნების დროს; სწორედ ღარიბი საქართველოა ის საზოგადოება, რომელიც ითმენს მედიასივრცის სრულ ოკუპაციას ჩვენი ხელისუფლების მიერ. ასეა თუ ისე, რაიმე ტიპის დაახლოება ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის 2009 წელს არ მომხდარა და როგორც ჩანს, ვერ მოხდებოდა, რადგან ასეთი ამოცანა ხელისუფლებას არ უდგას. დღეს ქვეყანა სამწუხაროდ, ჩამოყალიბდა გულარხეინ საქართველოდ და გულგახეთქილ საქართველოდ. ამ ნაპრალის ამოვსებას და ქვეყნის მენტალურ და ფსიქოლოგიურ გაერთიანებას ნამდვილად არ ცდილობს ხელისუფლება და უფრო ქურდული მენტალიტეტის გამოვლენაა, როდესაც მათი მცდელობა ცალსახად ჩანს, როგორც მოწოდება, გაწყდეს იქ, სადაც ვიწრო ადგილია. ვიწრო ადგილი ქართულ რეალობაში გახლავთ სწორედ ურთიერთობა ხელისუფლებასა და საზოგადოებას შორის. ქვეყნის მართვა პრინციპით — მე ვარ და ჩემი ნაბადი — ვერასოდეს ვერ მიგვიყვანს ვერც დემოკრატიასთან და ვერც საერთო ერთობასთან, საერთო ხედვასთან ქვეყნის მოსახლეობისა. ამის მცდელობის სურვილის დეფიციტი გამოიხატება იმაში, რომ ნაცვლად დემოკრატიის აუცილებელი ატრიბუტის თვითკრიტიკისა, ხელისუფლებიდან ისმის მუდმივი ტრაბახი და საკუთარი თავის ლოცვა, საკუთარი ნაბიჯების წარმოჩენა რალაც ღვთის მადლულად. ვფიქრობ, რომ რალაცა ტიპის სერიოზული გადაწყვეტილებები თუ არ იქნა გამოტანილი ხელისუფლების მიერ და მათ თუ არ მოიძიეს საკუთარ თავში უნარი კრიტიკის რეალურად აღქმისა და თვითკრიტიკის ფორმის დამკვიდრებისა, არ მგონია, რომ გრძელი დღე ეწეროს საერთოდ ხელისუფლებას ცივილიზებულ სამყაროში, რადგან ისინი სულ უფრო მეტი წუხილის საგანს წარმოადგენენ არა მხოლოდ ქართველი ხალხისთვის, არამედ საერთაშორისო თანამეგობრობის დიდი ნაწილისთვის, რომელმაც დაიწყო ბევრად უფრო მკაფიოდ გარკვევა მტყუან-მართლისა საქართველოში და ღრმად არიან ჩამჯდარნი არსებულ პრობლემებში.

***— ალბათ, დამეთანხმებით, რომ აღარც იმხელა მხარდაჭერა აქვს ჩვენს ხელისუფლებას დასავლეთის მხრიდან...***

— რა თქმა უნდა და არის ზოგიერთი ისეთი კრიტიკული განწყობა, საზღვარგარეთელ ექსპერტებში თუ პოლიტიკოსებსა და დიპლომატებში, რომ პირიქით მიწევს ხოლმე ზოგ შემთხვევაში ამ ხელისუფლების ადვოკატობა, რადგან არასწორი ინფორმაციის საფუძველზე უფრო მეტი სიმწვავეა ხოლმე გამოხატული, ვიდრე ეს რეალობაა. ამავე დროს რეალობა საკმარისია იმისათვის, რომ იყოს სერიოზული კრიტიკა დღევანდელი ხელისუფლებისა, არა მარტო თბილისსა და ქუთაისში და სხვათა შორის, ბათუმში, რომელიც ვიღაცას ჰგონია სააკაშვილის სამკვიდრო, ეს ნამდვილად ასე არ არის, გულგახეთქილი საქართველოს მოსახლეობა ბათუმშიც საკმაოდ ბევრი ცხოვრობს. არის მუდმივი მცდელობა იმისა, რომ წარმოჩენილი იყოს ბათუმი, როგორც ერთ ხმაზე მომღერალი, უბრალოდ პერსონა არის შეცვლილი და აბაშიძის მაგივრად სააკაშვილი იგულისხმება. ასე არ არის, ბათუმში საკმაოდ სოლიდური ინტელექტუალური პოტენციალი არსებობს, ბათუმს აქვს ძალიან დიდი მზაობა იმისათვის, რომ იცხოვროს უკეთეს ქვეყანაში, უფრო მაღალი დემოკრატიის პირობებში.

***— ჩვენს ხელისუფლებას როგორც სჩვევია, ყველაფერს ლამაზ ფერებში ხატავს...***

— ეს ქვეყნის პოლიტიკაა, არ არის ხელისუფლება, რომელიც საჯაროდ თავზე ნაცრის დაყრის პოლიტიკას მიმართავდეს, ეს არ არის ხელისუფლებისთვის დამახასიათებელი პრაქტიკულობა, მაგრამ შელამაზებასა და სიმართლეს შორის უნდა იყოს გარკვეული პროპორცია, რომელიც არ არღვევს მთავარს, ანუ ჭეშმარიტებას, სამართლიანობას და ამ ქვეყანაში ცხოვრების შესაძლებლობას. სიყალბე — ეს ძირითადი სენი ჩვენი ხელისუფლებისა არ აძლევს საშუალებას ბევრს, ვისაც აქვს უნარი, ტყუილი და მართალი გაარჩიოს ერთმანეთისგან, რაიმე ტიპის დითირამბებით გამოვიდეს ხელისუფლების მიმართ და შეაგონოს ხალხს, რომ თურმე ჩვენ საუკეთესო ხელისუფლების პირობებში ვცხოვრობთ.

***— ოპოზიციას რაც შეეხება, თქვენ გაზაფხულის საპროტესტო აქციები გაიხსენეთ, რა მოგვიტანა ამ სამთვიანმა აქციებმა, ასწავლა რამე ჩვენს ოპოზიციას?***

— ჩემი აზრით, ოპოზიცია დარწმუნდა, რომ არარეალური მოლოდინების დამკვიდრება არის ის ბუმერანგი, რომელიც უკან ბრუნდება საკმაოდ უსიამოვნო შედეგებით. თუ იგეგმება რაიმე ტიპის აქცია, მას არ უნდა ჰქონდეს მაინცდამაინც დამთხვევა რომელიმე ცნობილ თარიღთან ჩვენს ცნობიერებაში, ეს არ არის კალენდარზე მიბმული პროტესტი და როდესაც საუბარია იმაზე, რომ ახალი ბრძოლა დაიწყება გაზაფხულზე, მიკვირს გულრწფელად, რომ არსებობენ პოლიტიკური ძალები, რომლებიც მურა დათვის პრინციპით ცდილობენ პროტესტის გამოხატვას, რომ მათ ზამთარში სცივათ, ზაფხულში სცხელათ და მხოლოდ კარგ ამინდში უჩნდებათ პროტესტის გრძნობა. უკაცრავად, მაგრამ პოლიტიკური ძალებისთვის საკუთარ ოფისებში ჩაკეტვა და მხოლოდ იმ სიების ჩამოწერაზე ძალისხმევის მიმართვა, ვინ რომელ ნომრად იქნება ამა თუ იმ საარჩევნო პროცესში, ვინ ვის დაუკავშირდება, ვინ ვისთან გაერთიანდება, მხოლოდ ამაზე ძირითადი აქცენტის გაკეთება, ყველაზე დიდი საჩუქარია, რასაც ხელისუფლება უნდა ელოდებოდეს ოპოზიციისგან. ამ დროს ხალხი წარმოჩენილია, როგორც პირადი რესურსი, რომელიც ემსახურება ამა თუ იმ ჯგუფის პოლიტიკურ ინტერესებს. ეს არ არის რეალური, ეს ასე არ არის საქართველოში, საზოგადოებას არანაკლები შესაძლებლობები აქვს, რომ გამოთქვას საკუთარი პროტესტი განსხვავებული ფორმებით და პოლიტიკური ძალები წარმატების მცდელობის საფუძველს, უპირველეს ყოვლისა, უნდა ხედავდეს საზოგადოებასთან აქტიური და მუდმივი ურთიერთობით და არა სეზონურით, იმის და მიხედვით, თუ რამდენ გრადუსს აჩვენებს თერმომეტრი ქუჩაში.

***— რაც შეხება ოპოზიციის იმ ნაწილს, რომელიც ასე აქტიურად ემზადება არჩევნებისთვის, პრაიმერის ჩატარება სურს, ექნება რაიმე შედეგი მათ მცდელობას?***

— იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პრაიმერის თემა არ გახდება ყველაზე მაღალი სტრატეგიული მიზანი ოპოზიციური პარტიების ჯგუფისა და მათ არ დაავიწყდებათ, საერთოდ რისთვის უნდათ არჩევნებში მონაწილეობა, პარტიულ ინტერესებზე მაღლა სახელმწიფო ინტერესების შენარჩუნების აუცილებლობა თუ არ იქნა დანახული საზოგადოების მიერ, ასეთ პოლიტიკურ პარტიებს პერსპექტივა ნაკლები აქვს, ამიტომ პრაიმერი — ეს არის ტექნიკური საკითხი და მისი გადაქცევა რაღაც პრინციპულ საკითხად არასწორია, უმჯობესი იქნებოდა, ჩატარებულიყო სულაც რამდენიმე ტური პრაიმერისა; სამი პარტიაა ამისთვის მზად. კი ბატონო, ჩაატაროს სამმა პარტიამ, იქნებ სხვა კიდევ სამი პარტია ცალკე ატარებს, მერე რაღაც ფინალია საჭირო იმისთვის, რომ გავიგოთ, ვინ არის უძლიერესი პრეტენდენტი. თუ ახლა ვინმე არ არის მზად პრაიმერისთვის, მასზე ძალადობა, რომ მონაწილეობა მიიღოს პრაიმერში, რასაკვირველია, არღვევს სამომავლოდ კონფიგურაციის სურათის შექმნას საერთო კანდიდატთან მიმართებაში.



***— პრაიმერის თემამ ზურაბ ნოღაიდელი და კობა დავითაშვილიც კი გააერთიანა, ბევრისთვის ეს მიუღებელიც კი აღმოჩნდა...***

— მიუღებლობას თუ მიმღებლობას ამა თუ იმ საკითხისას ყოველი ადამიანი ავლენს არჩევნების დროს. ჩემთვის ვერ იქნება მიუღებელი, რასაც კონსერვატიული პარტია და ხალხის პარტია ბრძანებს. უბრალოდ, მე შემიძლია გამოვთქვა გაკვირვება იმის გამო, რომ ამ ორმა პოლიტიკურმა ძალამ, რომელიც ცდილობდა, რომ მესამე მათ გვერდით ყოფილიყო ალასანია, ალასანიას ნაცვლად შეარჩიეს ნოღაიდელი. მე შემიძლია მხოლოდ გაკვირვება გამოვთქვა, მხოლოდ კომენტარები მას შემდეგ, რაც ეს პროცესი დასრულდება.

***— ნოღაიდელის ხშირ ვიზიტებს მოსკოვში ბევრი ეჭვის თვალით უყურებს...***

— ნოღაიდელის ვიზიტი აჩვენებს, რომ ის არის საინტერესო, მიმდინარე პოლიტიკური პროცესების ფონზე. გაჩნდა ახალი თემა ამ ვიზიტით. მიუხედავად იმისა, რომ კრიტიკული ვარ ნოღაიდელის პოლიტიკაში დაბრუნების ფაქტის მიმართ, მისი მოსკოვის ვიზიტი ჩემთვის საინტერესოა იმდენად, რამდენადაც ინფორმაციის ახალი კვალი გამოჩნდა შემდგომი ანალიზისთვის.

***— ალბათ, მძიმე და თანაც საინტერესო 2010 წელი გველის, ვნახოთ, თუ როგორ წარიმართება პოლიტიკური პროცესები...***

— 2010 წელი, რასაკვირველია, მძიმე წელია და ეს სიმძიმე მოდის უპირველეს ყოვლისა მისი წინამორბედი წლებისგან. 2009 წლის დასასრულს, ჩვენ მოწმე გავხდით კიდევ ერთხელ საკუთარი სახის გამოჩენისა ხელისუფლების მიერ, რაც აისახა ბათუმში იმ სასამართლო განაჩენით ეკა ბესელიას ოჯახის წევრების მიმართ. კიდევ ერთი უსამართლობა და კიდევ ერთი მაღალი სულიერება ქართველი ახალგაზრდების, რომლებმაც უარი თქვეს არარსებული დანაშაულის აღიარებაზე და მიიღეს ის სასჯელი, რომელიც გამოიტანეს ადეიშვილის და მერაბიშვილის კაბინეტებში და შეთანხმებული იყო აუცილებლად ავლაბრის რეზიდენციასთან, რადგან ასეთი საკითხები მის გარეშე არ წყდება და მიიღეს სრულიად სამარცხვინო გადაწყვეტილება, მე ვიტყოდი, არაკაცური იმ მანდილოსნის მიმართ მაინც, რომელიც მათ პოლიტიკურ ოპონენტად ეგულებათ. ეს იყო ზოგადად პრინციპულობის მიმართ მიღებული სასჯელი, სამართლიანობის შემარცხვენელი კიდევ ერთხელ. გეტყვით, რომ ხელისუფლებისთვის ეს იქნება შეცდომების გამოსწორების უკანასკნელი წელი, ეს გახლავთ ოპოზიციის დაღვინების უკანასკნელი წელი. ამდენად, იქნება იგი დაძაბული, საინტერესო და მჯერა, რომ ქართველი საზოგადოება დადგება უფრო მაღლა, ვიდრე რაიმე ტიპის ვიწრო პოლიტიკური კინკლაობა და მთლიანად ერის ინტერესებიდან გამომდინარე დაუჭერს მხარს ამა თუ იმ პოლიტიკურ ძალას, რათა დამკვიდრდეს ის, რაც ჩვენთვის დღემდე მიუღწეველია და ამას ჰქვია დემოკრატია. დემოკრატიის გარეშე ჩვენ კვლავ ვიქნებით რუსეთის კლანჭებში, რადგან არადემოკრატიული გარემო რუსეთისთვისაც მშობლიურია. თუ დავემსგავსებით რუსეთს, ვეცადოთ, ვიყოთ თავისუფალი, ლაღი ქვეყანა.





**მიმდინარეობს ხობის მონასტრის უძველესი ტაძრის რესტავრაცია.**
**შეიტანეთ თქვენი წვლილი საღვთო საქმეში.**

**დარეკეთ!**

**მაგთი, ჯეოსელი, ბილაინი 700 607**
**ახალი ქსელები 700 608**
**გაერთიანებული ტელეკომი 608 608**



ანგარიშზე თანხის ჩასარიცხად
შეგიძლიათ გამოიყენოთ
**სწრაფი გადახდის აპარატები**
(იხ. მენიუში: სხვადასხვა – საქველმოქმედო – ხობის მონასტერი).

**ერთად ვიზრუნოთ ტაძარზე.**


### პოლიტიკური პარტიების და არასამთავრობო ორგანიზაციების ლიდერთა მუდმივმოქმედი სათათბირო

ასახელებს ქ.თბილისის მერის კანდიდატად პოლიტიკური ორგანიზაცია „მამულის“ თავმჯდომარეს, ბატონ თეიმურაზ ბობოხიძეს, დაბ. 1968 წელს ქ.თბილისში, განათლებით ეკონომისტი. დამთავრებული აქვს თბილისის ივ.ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

ახალგაზრდობიდანვე ჩართულია ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში. მონაწილეობას იღებდა საპარლამენტო და ადგილობრივ არჩევნებში. ჰყავს მეუღლე და ორი შვილი.

**სათათბიროს სახელით:**

**1. მეგობრობის კავშირი „დამოუკიდებლობა და აღმავლობის“ თავმჯდომარე შოთა მებუკე;**

**2. ხალხთა მეგობრობის პარტიის თავმჯდომარე მორისონ ქობულია;**

**3. პარტია „სამშობლოს“ თავმჯდომარე ომარ ცხვარაძე;**

**4. პოლიტიკური ორგანიზაცია „მამულის“ პასუხისმგებელი მდივანი ზაურ პეტრიაშვილი.**


## SMS-განცხადებები - 3090

**იყიდება**

◆ სასწრაფოდ იყიდება 3 ოთახიანი, თუხარელის პროექტის ბინა 5-ე სართულზე, მიშენების პერსპექტივით, ყველა პირობით, ნუცუბიძის პლატოს მეოთხე მიკრორაიონის დასაწყისში. ფასი 55 ათასი დოლარის ეკვივალენტი ლარებში. დარეკეთ ტელეფონზე 21-75-09.

# კოტე მარჯანიშვილის სასიყვარულო წერილები საჯაროა

ეკა ირემაშვილი



**კინოს, მუსიკის, თეატრისა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმს ცნობილი ქართველი რეჟისორის კოტე მარჯანიშვილის პირადი არქივი გადაეცა.**

კოტე მარჯანიშვილის არქივთან ერთად კინოსა და თეატრის მუზეუმს ცნობილი ქართველი კინორეჟისორის ვახტანგ ტაბლიაშვილის არქივიც შეემატა. კინორეჟისორის არქივი მუზეუმს მისმა ვაჟმა გადაცა.

ორი რეჟისორის არქივი, მუზეუმის თანამშრომელთა განცხადებით, მათთვის უნიკალური და განსაკუთრებულია.

კოტე მარჯანიშვილის ცხოვრების ბოლო პერიოდში დაწერილი, საზოგადოებისთვის უცნობი 40 წერილისა და ვახტანგ ტაბლიაშვილის უნიკალური ექსპონატებისაგან შემდგარი არქივის პრეზენტაცია თეატრის, მუსიკის, კინოსა და ქორეოგრაფიის სახელმწიფო მუზეუმში გაიმართა. კოტე მარჯანიშვილის წერილები ძირითადად პირადი და საქმიანი ხასიათისაა. პირადი ხასიათის წერილებში მეუღლის, ელენე დონაურისადმი მიძღვნილი ლექსებიც არის შეტანილი. წერილებში მნიშვნელოვანი ნაწილი 1931-1933 წლების რეპრესიებსა და მოსკოვის დიდ თეატრში შემოქმედებით პროტესტს ეთმობა. აღნიშნული წერილები წლების განმავლობაში დაკარგულად ითვლებოდა, რაც მარჯანიშვილის ბიოგრაფიის აღწერის დროს დიდ დანაკლისად იყო მიჩნეული. კოტე მარჯანიშვილის 40-მდე უცნობი წერილი მუზეუმს მსახიობმა თეთნულდი გოტიაშვილმა გადასცა.

წერილებთან ერთად, მუზეუმს 1970-1980 წლებში, აფხაზეთის დაკარგვამდე გადაღებული აფხაზური დასის ფოტოებიც გადაეცა. ეს არის ვახტანგ ტაბლიაშვილის არქივი, რომელიც მუზეუმს მისმა ვაჟმა, ირაკლი ტაბლიაშვილმა უსახსოვრა. საგანძური უნიკალურ ექსპონატებს შეიცავს. მათ შორის არის ესკიზები და სხვა დოკუმენტები ცნობილი ფილმებიდან „დიდოსტატის მარჯვენა“ და „ქეთო და კოტე.“

მუზეუმის ხელმძღვანელობის გადაწყვეტილებით, დაგეგმილია არქივის კატალოგიზაცია და მისი საერთო საძიებო სისტემაში ჩართვა. სასახლის რეაბილიტაციის შემდეგ კი ვახტანგ ტაბლიაშვილის მოღვაწეობის ამსახველი გამოფენის მოწყობაა დაგეგმილი.

# კულტურის სამინისტროში რესტავრატორები დააჯილდოვეს

ეკა ირემაშვილი

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა კულტურული მემკვიდრეობის სფეროში მოღვაწე ძველი და ახალი თაობის პრაქტიკოს რესტავრატორები საზეიმო ვითარებაში დააჯილდოვა.

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულმა სააგენტომ წლების განმავლობაში სხვადასხვა სარესტავრაციო პროექტების წარმატებულად განხორციელებისთვის დარგის სპეციალისტებს სააგენტოს სახელით ფულადი პრემიებიც გადასცა.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა ძველი თაობის ოთხი რესტავრატორი და ერთი ახალგაზრდა ექსპერტი ათასი ლარის ოდენობის პრემიებითა და სიგელებით დააჯილდოვა. როგორც ღონისძიების ორგანიზატორებმა განაცხადეს, რესტავრატორთა დაჯილდოება სფეროს ერთ-ერთი უახლესი ღონისძიებაა, რომელიც პირველად ჩატარდა, მაგრამ იგი ამიერიდან ტრადიციად დამკვიდრდება და ყოველწლიურად გაიმართება.

ნიკოლოზ ვაჩეიშვილი, კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი:

— ჩვენ გვინდოდა ამ ცერემონიალით გამოგვეხატა მათ მიმართ მცირედი მადლიერება და ჩვენი პატივისცემა. უკვე გადავწყვიტეთ, რომ ეს დღე იქნება ყოველწლიური, ისინი ნამდვილად იმსახურებენ პატივისცემასა და დაფასებას. მიხარია, რომ ახალგაზრდა თაობაც აქტიურად დაინტერესდა ქართული კულტურული ძეგლების რესტავრაციით, ახალგაზრდები მრავლად არიან ჩვენს სარესტავრაციო სივრცეში. ქართული უნიკალური საგანძურის აღდგენა-რესტავრაციაზე ათასობით ადამიანი მუშაობს. ყველას დიდი დამსახურება მიუძღვის ჩვენი ძეგლების გადარჩენაში. უფროსების და ახალგაზრდების ერთობლივი ძალისხმევით და საკუთარი გამოცდილების გაზიარების წყალობით კი, მჯერა, რომ მომავალში ქართული კულტურული ძეგლების გადარჩენის საკითხში კიდევ უფრო დიდი შედეგები გვექნება.

**განცხადებები**

● გთავაზობთ ეპილაციას უმაღლესი ხარისხით. ჭარბთმიანობას აქრობს სწორად გაკეთებული ეპილაცია, რომელსაც გთავაზობთ უწვრილესი ვოლფრამის ნემსით. მისამართი: მოსკოვის პროსპექტის ბოლოში, ტელ: 70-68-73; 855-492-934 კოსმეტოლოგი მერი.

● სილამაზის სალონ „შარმში“ უკრაინიდან ჩამოსული გოგონა, მაღალი კლასის სტილისტი, შეგასწავლით სტილისტ-ვიზაჟისტის პროფესიას, გაიცემა სერთიფიკატი, სწავლა მაღალ დონეზე. მომსახურება: თმის შეჭრა, დავარცხნა, დახვევა, საბანკეტო, საქორწილო ვარცხნილობები. მის: მ.მარჯანიშვილი, ალმაშენებლის 93. ტელ: 96-38-27; 893-39-04-87.

● შევიძენ ყველა სახის წიგნებს, გამოცემულს 1917 წლამდე, ტელ: 855 29-40-39 ლაშა.

● ქირავდება ქალაქის ცენტრში, მეტრო ნაძალადევის ეზოში, 113-ე საშუალო სკოლის სამხრეთ კედელთან ევროპული სტილის პრესტიჟული ოფისი, 2 ოთახით. ტელ: 66-41-38. პლატონ ქავთარაძე.

# ვარძიის რეაბილიტაციაში მთამსვლელები მონაწილეობენ

**ვარძიის სამონასტრო კომპლექსის რეაბილიტაციაში მთამსვლელები მონაწილეობენ. სამონასტრო კომპლექსის სარეაბილიტაციო სამუშაოები უკვე დაათვალიერა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს გენერალურმა დირექტორმა ნიკოლოზ ვაჩეიშვილმა.**

ეკა ირემაშვილი

კლდეში ნაკვეთი სამონასტრო ანსამბლი ვარძია XII-XIII საუკუნეების ქართული მხატვრული კულტურის ძეგლია. იგი ისტორიულ ჯავახეთში, ასპინძის რაიონში მდებარეობს. ხალხური თქმულებით, რომელიც სავარაუდოდ მხოლოდ ლექსიკურ მსგავსებას ემყარება, სახელწოდება „ვარძია“ ლეგენდას ემყარება, რომელიც თამარ მეფესთან არის დაკავშირებული. ერთხელ, როცა თამარი ჯერ კიდევ ბავშვი იყო, ბიძასთან ერთად დაუმთავრებელი სამონასტრო კომპლექსის გამოქვაბულში თამაშობდა. გარკვეულ მომენტში ბიძამ ბავშვი თვალთახედვიდან დაკარგა ქვაბულის ლაბირინთებში და მას ძებნა დაუწყო. მცირეწლოვანი თამარი ბიძას გამოეხმაურა, „აქა ვარ ძია!“. მეფე გიორგი III ბრძანებით კომპლექსს სახელი ამ გამოხმაურების საფუძველზე დაერქვა.

სამონასტრო კომპლექსი ძირითადად 1156-1203 წლებში იქმნებოდა. დასახლება 1185 წლის 15 აგვისტოს თამარის მეფობის ხანაში აკურთხეს. სამეფო მონასტერი დიდ როლს თამაშობდა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. ვარძია იმთავითვე კულტურულ-საგანმანათლებლო კერა იყო. ერთხანს იქ მოღვაწეობდა იოანე შავთელი, რომელმაც იქ შექმნა „გალობანი ვარძიისა ღვთისმშობლისანი“. ვარძიის წიგნთსაცავიდან შემორჩენილია ვარძიის ოთხთავის დასურათებული ხელნაწერი (XII ს.). ვარძიის მონასტრის წინამძღვრის სახელი ტრადიციულად საწოლის მწიგნობარი იყო, იგი ეკლესია-მონასტრების საქმიანობას ხელმძღვანელობდა და ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში თვალსაჩინო როლს ასრულებდა.

მონღოლთა ბატონობის ხანაში ვარძიელი ბერ-მონაზვნები აქტიურად იბრძოდნენ სარწმუნოებისა და ეროვნული კულტურის გადასარჩენად. 1551 წელს მონასტერი სპარსთა ჯარმა დაარბია და დაანგრია. ვარძიის ცნობილი ღვთისმშობლის ხატი, ოქროსა და ფოლადის კარები და კულტურის სხვა მრავალი განძი მტერმა გაიტაცა. როდესაც ეს მხარე ოსმალეთმა დაიპყრო, მონასტერი საბოლოოდ გაუკაცრიელდა. რუსეთ-ოსმალეთის ომის შემდეგ ვარძია კვლავ საქართველოს შემადგენლობაშია.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო ამ სამონასტრო კომპლექსის მეცნიერული შესწავლა. 1938 წელს იგი მუზეუმ-ნაკრძალად გამოცხადდა. ვარძიაში ჩატარდა არქეოლოგიური გათხრები, მიკვლეულ იქნა 3 კულტურის ფენა — ადრინდელი შუა საუკუნეებისა, XII საუკუნისა და XIII-XIV საუკუნეებისა. აღმოჩნდა მოჭიქული კერამიკის მრავალფეროვანი ნიმუშები, ქაშანურის ფრაგმენტები, ლითონის სადნობი, სხვადასხვა საყოფაცხოვრებო ნივთი და იარაღი.

ვარძიის სამონასტრო კომპლექსი გამოკვეთილია ერუშეთის მთის კალთაზე ტუფბრექჩიების შერეულ კლდეში და განლაგებულია 13 სართულად. შედგება ისტორიულად ჩამოყალიბებული ორი ნაწილისაგან — ვარძიის მონასტრისა და უფრო ადრინდელი ხანის კლდის სოფლის ანანურისაგან. მშენებლობა რამდენიმე ეტაპად მიმდინარეობდა.

პირველ ეტაპზე, გიორგი III-ის მეფობის წლებში, შემუშავდა გეგმა და გამოიკვეთა პირველი სენაკები ეკლესიითურთ. მეორე ეტაპზე არსებული გეგმა ნაწილობრივ შეიცვალა. თამარ მეფის მითითებით ჩატარდა მონასტრის ცენტრის რეკონსტრუქცია, კლდეში გამოკვეთეს ღვთისმშობლის მიძინების დიდი დარბაზული ტაძარი სტოა-პორტიკით. ტაძარი მოხატა მხატვარმა გიორგიმ, მხატვართა ჯგუფმა ქართლის ერისთავის რატი სურამელის თაოსნობითა და სახსრებით. მესამე ეტაპზე დამთავრდა სათავსებისა და მონაზონთა სენაკების, აგრეთვე თავდაცვით და საირიგაციო ნაგებობათა გამოკვეთა. მეოთხე ეტაპი დაკავშირებულია 1283 წლის მიწისძვრასთან. აქ ბექა ჯაყელი-ციხისჯვრელის ათაბაგობის ხანაში ააგეს ორთაღიანი ნაგებობა სტოა-პორტიკის გასამაგრებლად და ორსართულიანი მოჩუქურთმებული სამრეკლო. მშენებლობის მეხუთე ეტაპზე, ივანე ათაბაგის დროს, შეიქმნა დიდი სატრაპეზო.

ვარძიის ხუროთმოძღვრება დაფუძნებულია წინასწარ შემუშავებულ კომპოზიციურ იდეაზე. მრავალსართულად გამოკვეთილი ანსამბლი განლაგებულია კლდის უბის სიღრმეში ჩასმული ცენტრის — ტაძრის გარშემო. მთელი მონასტერი სამხრეთ მხარესაა მიმართული და საცხოვრებლები კლდის სიღრმეში სამხრეთიდან ჩრდილოეთითაა გამოკვეთილი. მონაზონთა საცხოვრებელი და საზოგადოებრივი პალატები 2, 3 და 4 ოთახისაგან შედგება და ერთმანეთთან დაკავშირებულია კარიბჭეებთან შექმნილი საგანგებო გასასვლელებით. მონასტერში 120 საცხოვრებელი კომპლექსის 420 სათავსოა, მათ შორის 25 მარანი 185 ქვევრით. საცხოვრებელი კომპლექსები შედგება ერთ ღერძზე განლაგებული კარიბჭის, საცხოვრებლისა და სამზარეულოსაგან. კარიბჭე მთავარი არქიტექტურული ელემენტია, რომელიც ვარძიას მის წინამორბედ უდაბნო-მონასტრებისაგან განასხვავებს. კარიბჭის ფართო თაღი ერთადერთი და მთავარი არქიტექტურულ-ტექნიკური ელემენტია მონასტრის ფასადის გაფორმებაში. საცხოვრებელი თუ საზოგადო დანიშნულების სათავსები ტექნიკურად მაღალ დონეზეა შესრულებული.

ოთახების კედლებში გამოკვეთილია ფართო ნიშები — საწოლად, ლოგინის დასალაგებლად, მცირე ნიშები — ჭურჭლისათვის, წიგნებისა და ჭრაქისათვის, მერხები, კერა. ნიშები მეტწილად თაღოვანია და შემკულია მარტივი ჩაჭრილი საპირეებით. კლდის სიბრტყეები მთავარ სათავსებში დამუშავებულია ხორკლიანი ფაქტურით. ზოგ სამყოფელს აკრავს მცირე სამლოცველო (სულ თორმეტი). ვარძია არ გამოირჩევა მდიდრული მორთულობით, ერთადერთი სამკაულია სამლოცველოთა კედლის მხატვრობა. ამ მხრივ მნიშვნელოვანია ღვთისმშობლის მიძინების ტაძრისა და კარიბჭის მოხატულობა, სადაც ქრისტეს ცხოვრების ამსახველ სცენებთან ერთად გამოსახულია გიორგი III-ისა და თამარ მეფის პორტრეტები, აგრეთვე ქართლის ერისთავი რატი სურამელი.

ვარძიის ტაძრის მოხატულობა ქართული მონუმენტური ფერწერის მნიშვნელოვანი ძეგლია. ქართული კედლის მხატვრობის კვლევისათვის იგი დიდმნიშვნელოვანია ზუსტი თარიღის გამო. ანანურის ეკლესიაში შემონახული მოხატულობა XVI საუკუნეს განეკუთვნება. ვარძიის მთელ კომპლექსში უკეთაა დაცული აღმოსავლეთის ნაწილი. აქ მთლიანად ან ნაწილობრივ გადარჩენილია 242 გამოქვაბული ოთახი. ამავე ნაწილშია „სადარბაზო“ საკრებულო მცირე ეკლესიით, თამარის ოთახი, სალხინო (მარნით). ვარძიის მონასტრის დასავლეთ ნაწილშია სატრაპეზო, ხოლო ცენტრალურ ნაწილში საგანგებო თავშესაფარი — სამალავი ოთახები. გვირაბები მომარაგებული იყო წყლით. მთავარი ეკლესიის მახლობლად სიღრმეში ბუნებრივი წყაროა. კლდეში გამოკვეთილ გვირაბში 3,5 კმ სიგრძის წყალსადენი ტრასაა. ვარძია კლიმატურ-ბალნეოლოგიური საკურორტო ადგილია, მისი სამკურნალო ფაქტორებია თბილი მინერალური წყაროები და მთის ჰავა.

1989 წლიდან სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ს ლოცვა-კურთხევით ვარძიის კედლებში კვლავ გაისმის „გალობანი ვარძიისა ღმრთისმშობლისანი“.

კლდეში ნაკვეთი უნიკალური კომპლექსი ყოველწლიურად გადაუდებელი, პრევენციული სამუშაოების განხორციელებას საჭიროებს. ძეგლის ძირითად დაზიანებებს კლდეზე წარმოქმნილი კონგლომერატები იწვევენ. ჩამოვარდნილი კონგლომერატი კლდეზე ბზარებს წარმოქმნის და კომპლექსის ეტაპობრივი ნგრევის საშიშროებას ქმნის. საფრთხის ასარიდებლად კონგლომერატების ხელოვნური მოცილება და კლდის გაწმენდა ძეგლის გაჯანსაღების მთავარი გარანტია.

ქვეყნის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და გამორჩეული სამონასტრო კომპლექსის გადარჩენის მიზნით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოსა და ისტორიულ ძეგლთა დაცვისა და გადარჩენის ფონდის დაფინანსებით, ვარძიაში გადაუდებელი სამუშაოები ხუთი წელია ხორციელდება.

ამჟამად მთამსვლელები ბიძინა გუჯაბიძის ხელმძღვანელობით სამონასტრო კომპლექსს მიუწვდომელი კონგლომერატებისგან ათავისუფლებენ და კლდის გაწმენდით სამუშაოებს ახორციელებენ. პარალელურად სპეციალისტების მიერ მიმდინარეობს ვარძიის წყალამრიდი სისტემების გაწმენდითი სამუშაოები.

ვარძიის 2009 წლის სარეაბილიტაციო სამუშაოები რამდენიმე დღეში დასრულდება და 2010 წლის გაზაფხულზე განახლდება.

# 2009 წლის მოვლენებმა ხელისუფლება უფრო კორექტული გახადა

ექსპერტ რამაზ საყვარელიძის განცხადებით, 2009 წელს საქართველოში შიდა პოლიტიკურმა დაძაბულობამ ქვეყნისთვის გარკვეული სასიკეთო შედეგები გამოიღო.

როგორც „მედიანიუსთან“ საუბრისას საყვარელიძემ აღნიშნა, ყველაფერ ცუდს კარგიც მოსდევს, საქართველოს შემთხვევაში კი ცუდმა, ანუ სამთვიანმა საპროტესტო გამოსვლებმა და შიდა დაძაბულობამ ხელისუფლება უფრო კორექტული და დაფიქრებული გახადა.

— მასობრივი საპროტესტო გამოსვლების შედეგად საერთაშორისო საზოგ?დოება დემოკარტიის განვითარების თვალსაზრისით საქართველოს ხელისუფლების მიმართ უფრო მომთხოვნი გახდა, ამან კი შედეგად გამოიღო ის, რომ ხელისუფლება მისთვის არასასურველი მოვლენების დროს იქცევა უფრო კორექტულად. ნაკლებია ძალისმიერი მეთოდები, რომლითაც ადრე ებრძოდა ოპონენტებს. რაც შეეხება უარყოფით შედეგს, ხელისუფლება ირწმუნება, რომ შიდა პოლიტიკურმა დაძაბულობამ ინვესტიციების შემოდინებაზე უარყოფითად იმოქმედა. მაგრამ მე დამაჯერებლად არ მეჩვენება. დასავლეთიდან ინვესტიციების შემოდინება, არც მანამდე იყო თვალში საცემი. თუ რამე ინვესტიცია შემოდიოდა აღმოსავლეთის ქვეყნებიდან ახლაც, სწორედ ამ ქვეყნების ინვესტიციები შემოდის. მათ კი საქართველოს დემოკრატია ნაკლებად აინტერესებთ, — აღნიშნა საყვარელიძემ

ექსპერტის მოსაზრებით, ხელისუფლება ეცდება 2010 წლის ადგილობრივი არჩევნები თვალშისაცემი დოზით არ გააყალბოს, რადგან მას ეს აღარ სჭირდება.

— მათ მოახერხეს მერის არჩევნებში ბარიერად ის ზღვარი დაეწესებინათ, რაც მათ ხელს აძლევს. შესაბამისად ეცდებიან არჩევნები მეტნაკლებად დემოკრატიული იყოს. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ ეს არჩევნები ყველაზე უფრო დემოკრატიულად ჩატარდება“, — განუცხადა „მედიანიუსს“ რამაზ საყვარელიძე.

მედიანიუსი

# ლევან გოგიჩაიშვილისა და გიორგი ალხაზიშვილის საქმეს 4 იანვარს განიხილავენ

თბილისის სააპელაციო სასამართლოში ოპოზიციის ახალგაზრდული ფრთის წარმომადგენლების, ლევან გოგიჩაიშვილისა და გიორგი ალხაზიშვილის სასამართლო პროცესი 2010 წლის 4 იანვარს განახლდება. სასამართლომ ასეთი გადაწყვეტილება დღეს გამართულ პროცესზე მიიღო.

გუშინდელ პროცესზე სააპელაციო საჩივრების მოსმენა გაიმართა. საქმეში დაცვის მხარის ახალი ადვოკატები უკვე ჩაერთნენ.

შეგახსენებთ, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს 22 სექტემბრის გადაწყვეტილებით, ლევან გოგიჩაიშვილს 7 წლით, ხოლო გიორგი ალხაზიშვილს 4 წლით თავისუფლების აღკვეთა მიესაჯა. მათ ბრალი 2009 წლის 9 ივნისს, წყნეთში, რუსთაველის ქუჩაზე, ღამით მომხდარ ჩხუბში ედებათ, რა დროსაც ცივი იარაღით ახალგაზრდა დავით ლეჟავას სხეულის მძიმე დაზიანება მიადგა. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 117-ე მუხლის I და V ნაწილით აღიძრა, რაც ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას ხულიგნური ქვენაგრძნობით ითვალისწინებს. საქმეს ამჟამად თბილისის სააპელაციო სასამართლო განიხილავს.

მედიანიუსი

# ხაბი ალონსო: „რეალს ყველაფრის მოგება შეუძლია“

2009 წელი დასასრულს უახლოვდება და მადრიდის „რეალის“ ფეხბურთელი ხაბი ალონსო თავისი გუნდის შედეგებზე საუბრობს. ბასკი ნახევარმცველი თვლის, რომ კლუბის საქმეები კარგად მიდის, „რეალი“ სწორ გზაზე დგას და იმედი აქვს, რომ სეზონის ბოლოს კლუბი რომელიმე პრესტიჟული ტიტულის მფლობელი გახდება.

***— როგორ შეაფასებდით სეზონის პირველ ნაწილს, მადრიდის „რეალი“ არის იმ ადგილზე, რომელზეც უნდა იყოს?***

— ვფიქრობ, კი. სეზონის დასაწყისში სწორედ ასე ვვარაუდობდით. ერთია, სამეფო თასზე მომხდარმა გაუგებრობამ ჩვენი გეგმები ცოტა არია, მაგრამ ჩემპიონატში პირველ ადგილთან ახლოს ვართ და ჩემპიონობისთვის ვიბრძვით, ჩემპიონთა ლიაგაზე ჯგუფური ეტაპი პირველი ადგილით დავასრულეთ. ჩავთვალოთ, რომ შედეგების მიხედვით პირველ ნახევარში ამოცანა შესრულებულია. რაც შეეხება თამაშის ხარისხს, გუნდი იზრდება. ყველამ კარგად ვიცით, რომ პერესის ახალი პროექტი ახლახან დაიბადა, გუნდში ახალი სახეები მივიდნენ. გუნდი თანდათანობით უმატებს თამაშს და რაც ყველაზე მთავარია, „რეალს“ კიდევ უფრო მეტი პროგრესირება შეუძლია.

***— გინდათ თქვათ, რომ ყველაფერი ცუდი ჩავლილია?***

— ხელების დაბანა ყველაფრისგან შეიძლება. მართალია, რომ გუნდს ჰქონდა ცუდი მატჩები, მაგრამ სწორედ ამ ჩაგდებულ თამაშებზე ვისწავლეთ ძალიან ბევრი. საერთოდ, ამბიციური უნდა იყოთ — ჯერ შედეგი უნდა მივიღოთ და შემდეგ უნდა ვისწავლოთ ლამაზად თამაში. თასიდან გამოვარდნა ძლიერი დარტყმა იყო ჩვენთვის, რასაც არ უარვყოფთ, მაგრამ ახლა მომავალში უნდა გავიხედოთ და წარსულში ქექვას თავი დავანებოთ.

***— კლუბში არსებული სიტუაცია გასაგებია, რას იტყვით პერსონალურად ხაბი ალონსოზე?***

— მისი სიტუაციაც კლუბის საქმეების პარალელურად მიდის. როდესაც გუნდი იზრდება, როდესაც იწყებს კოლექტიური ფეხბურთის თამაშს, თავს გაცილებით კომფორტულად ვგრძნობ. რაც უფრო კარგად უტევს გუნდი, მით უფრო კარგად იცავს თავს და პირიქით. მიუხედავად ინდივიდუალური შემსრულებლების მაღალი ხარისხისა, უნდა ვფუნქციონირებდეთ, როგორც გუნდი. რამდენადაც მაღალი იქნება ცალკეული ფეხბურთელის მარგი ქმედების კოეფიციენტი, უფრო მეტად ძლიერი იქნება გუნდიც.

***— ბოლო მატჩებში „რეალმა“ თამაშის ხარისხით მართლაც დიდი ნახტომი განიცადა. რის ხარჯზე მოხდა ეს?***

— ყველასთვის გასაგებია, რომ გუნდური სულისკვეთებისთვის საჭიროა ურთიერთგაგება. მიმაჩნია, რომ „ვისენტე კალდერონზე“ კარგი მატჩი ჩავატარეთ, ყოველ შემთხვევაში მოედნიდან გაგდებამდე ასე იყო. მილანში, „სან სიროზეც“ კარგი პირველი ტაიმი ჩავატარეთ, ასევე ვითამაშეთ „ალმერიასთან“ და „მარსელთან“. თუმცა, მთლიანობაში ხარისხიანი მატჩის ჩატარება ჯერ ვერ მოვახერხეთ. ამასთან, ყველაზე მიახლოებული, ალბათ, „მარსელთან“ ჩატარებული მატჩი იყო. მოკლედ, გუნდი მომავალი წარმატებებისთვის ჯერ კიდევ ფუნდამენტის ჩაყრაშია. თანდათან უფრო ვახერხებთ ბურთის დიდხანს ფლობას და აქტიურად ვრეაგირებთ მოედანზე მომხდარ სიტუაციებზე.

***— თავად ახალ საფეხბურთო ფილოსოფიასთან მოგიწიათ ადაპტირება, ახალი ფეხბურთელები, განსხვავებული სათამაშო სქემა. მარტივად რომ ვთქვათ, მობილური ტელეფონიდან ძველი სიმბარათის ამოღება და ახლის ჩადგმა მოგიწიათ, რამდენად რთული იყო ეს პროცესი?***

— საუბარი არ არის სიმბარათის შეცვლაზე, უბრალოდ, საჭირო იყო, გამეგო, როგორ თამაშობდნენ ჩემი ახალი პარტნიორები და რა უნდოდა გუნდს მთლიანობაში. „ლივერპულში“ იმდენად მიჩვეული ვიყავით ერთმანეთს, რომ შეგვეძლო დახუჭული თვალებით გვეთამაშა, რაც „რეალში“ გვაკლია, მაგრამ ეს ასეც უნდა ყოფილიყო, რადგან გუნდი ახლა ფორმირდება. ეს ყველაფერი კი ვარჯიშებზე და თამაშებზე იხვეწება და თანდათანობით ყველაფერი უკეთ გამოგვდის. აქედან გამომდინარე, ჩემი თამაშიც უფრო ხარისხიანი ხდება.

***— სიმართლესთან ახლოს არის, გუნდი ისე აღარ წვალობს მოედნის ცენტრში, როგორც ადრე.***

— რაც უფრო ორგანიზებულები გავხდებით და ძალებს სწორად გავანაწილებთ, მით უფრო კომფორტულად ვიგრძნობთ თავს შეტევაშიც და დაცვაშიც. ბოლო მატჩებში თვალსაჩინოდ ჩანდა დაბალანსება დაცვასა და თავდასხმას შორის და გაცილებით უკეთესად გამოვიყურებოდით. რაც მთავარია, მე პირველი ვიყავი, ვისზედაც ეს დადებითად აისახა.

***— შესაძლოა, ეს იმის ბრალიც არის, რომ მანუელ პელეგრინიმ ტაქტიკური მონახაზი შეცვალა.***

— მოედანზე მარტო სახელები არ არის და არც ტაქტიკური სქემაა მთლიანად წარმატების მომტანი. საჭიროა, ვიცოდეთ მედანზე სწორად დგომა და განაწილება. თუ ფეხბურთელები ამას ვერ ახერხებენ, ჩნდება თავისუფალი ადგილები, მოწინააღმდეგე გუნდის ფეხბურთელები მუდმივად ლიად რჩებიან და ყოველთვის შეგვიქმნიან პრობლემებს, რადგან ისინიც ფეხბურთელები არიან და ფეხბურთის თამაში ეხერხებათ. თუ ამას მოვახერხებთ, ჩვენი თამაში უფრო ეფექტური გახდება.

***— რომელი უფრო მნიშვნელოვანია თქვენთვის — ესპანეთის ჩემპიონატი, ჩემპიონთა ლიგა, თუ ორივე?***

— ჩვენ პრეტენზიას ორივე ტურნირზე ვაცხადებთ და დარწმუნებულები ვართ, რომ ორივეს მოგება შეგვიძლია. ლა ლიგაში მთავარი კონკურენტი „ბარსელონაა“, მაგრამ არც „სევილია“ და „ვალენსიაა“ ჩამოსაწერი. ჩემპიონთა ლიგაში კი საშიში ყველა მეტოქეა, რადგან ნებისმიერმა წარუმატებელმა დღემ შესაძლოა, მის მიღმა დაგვტოვოს. ამიტომ, საუკეთესო ვარიანტი იქნება თუ წარმატებას ყოველ ეტაპზე თანდათანობით მივაღწევთ. ორივე ტიტულის მოსაგებად შემადგენლობა გვყავს და შეგვიძლია.




***— პელეგრინის მუშაობასთან დაკავშირებით პირველ ნახევარში გარკვეული პრეტენზიები იყო. შიდა სამზარეულოში თუ იყო კითხვები მწვრთნელთან?***

— პირადად მე მასთან არანაირი პრეტენზია არ მქონია. პირიქით, პელეგრინი ყოველთვის კრიტიკული იყო ჩვენ მიმართ და ცდილობდა თავისი იდეები მოეწოდებინა.

***— „კამპ ნოუზე“ წაგების მიუხედავად თქვენი ძალები ირწმუნეთ?***

— მატჩის წინ ძალიან ბევრს საუბრობდნენ ამ მატჩის მნიშვნელობაზე, მაგრამ დარწმუნებული ვიყავით, რომ დადებით შედეგს მივაღწევდით. მართალია, წაგებამ არავინ დაგვაკმაყოფილა, მაგრამ „კამპ ნოუზე“ ჩატარებულმა მატჩმა დაგვანახა ჩვენი პოზიტიური მხარეები. „ბარსელონასთან“ მატჩის შემდეგ გუნდმა ზრდა ისევ განაგრძო. წაგების მიხედვად „კამპ ნოუზე“ მატჩმა ჩემზე კარგი შთაბეჭდილება დატოვა.

***— იმ მატჩმა დაამტკიცა, რომ ამ ორ გუნდს შორის დიდი სხვაობა აღარ არის?***

— ყოველთვის ცდილობენ ეს ორი გუნდი ერთმანეთს შეადარონ, მაგრამ მე ამას არ ვემხრობი, რადგან ვთვლი, რომ ეს ორი გუნდი სრულიად განსხვავდება ერთმანეთისგან. ორივე გუნდს განსხვავებული სათამაშო სტილი და იდეები აქვს.

***— რაოდენ კურიოზულიც არ უნდა იყოს, „რეალი“ კაკას ტრავმის შემდეგ და შემადგენლობაში რაფაელ ვან დერ ვაარტის მოხვედრის შედეგად ათამაშდა. ეს ხომ არ ნიშნავს, რომ გუნდი მარტო სახელებზე არ დგას?***

— კარგი გუნდის ჩამოყალიბებაში გუნდში საჭიროა კარგი ფეხბურთელები, მაგრამ მთავარია გუნდური სულისკვეთება ჰქონდეთ და არ იყვნენ ეგოისტები. ეჭვიც არ მეპარება, რომ კაკა გუნდს მოერგება და გუნდს უკეთესად აათამაშებს. დარწმუნებული ვარ, თავდამსხმელების უკან კაკა მოახერხებს ნახევარდაცვისა და თავდასხმის შეკავშირებას. ვფიქრობ, აქამდე კაკა ტრავმის გამო თავს მთლად კომფორტულად ვერ გრძნობდა.

***— შესაძლოა, ამის ბრალიც არის, რომ ჯერ ვერ ათამაშდა „რეალში“?***

— მე ერთი ვიცი, რომ არაკომფორტულად გამოიყურებოდა. ვუსურვებ, რაც შეიძლება მალე გამოჯანმრთელდეს და გახდეს ის კაკა, რაც არის.

***— „რეალი“ დიდად იცვლება კრიშტიანუ რონალდუს გარეშე? საუბარი გუნდის სათამაშო სტილზე გვაქვს.***

— კრიშტიანო ძალიან ამწვავებს გუნდის შეტევებს და ამას თავისი სისწრაფის, დრიბლინგის და გოლის გატანის ალღოს ხარჯზე აკეთებს. თუმცა, გუნდი მარტო კრიშტიანოზე დამოკიდებული არ არის და არც ნებისმიერ სხვა ფეხბურთელზე. თუ ასეთი რამ გუნდში შესამჩნევი გახდა, ეს იქნება საგანგაშო სიგნალი.

***— როგორ ფიქრობთ, ქარიმ ბენზემამ ბოლო-ბოლო გაისროლა?***

— ის ძალიან ეხმარება გუნდს, ხოლო „ვალენსიასთან“ გრანდიოზული მატჩი ჩაატარა — ბურთსაც კარგად იჭერდა, ეძებდა სუსტ წერტილებს, ჯიქურ მიდიოდა მცველებზე, კარგად იხსნებოდა. მიუხედავად იმისა, რომ გოლი ვერ გაიტანა, დიდებულად ითამაშა.

***— რთული იქნება გუნდის ფორმირება, როდესაც ყველა ფეხბურთელი მწყობრში იქნება?***

— კარგია, როდესაც გუნდში დიდი კონკურენციაა. ყველა მწვრთნელისთვის სასიამოვნოა, რომ არჩევნის წინაშე უხდება დადგომა. თუმცა, ჩვენ ვეძებთ თამაშის სტილს და როდესაც ამას მოვირგებთ, მნიშვნელობა არ აქვს, ვინ იქნება მოედანზე.

***— პეპეს შეცვლაც შესაძლებელია?***

— რა თქმა უნდა, პეპეს არყოფნა დაგვეტყობა. პორტუგალიელი ძალიან ძლიერი მცველია. საწყენია, რომ ასეთი მძიმე ტრავმა მიიღო, მაგრამ ახლა წინ უნდა გავიხედოთ. მეტცელდერი, გარაი სერხიო რამოსი, არბელოა... ნებისმიერ მათგანს შეუძლია მის პოზიციაზე თამაში და ალტერნარივის ძებნა ახლავე უნდა დაიწყოს.

***— თქვენი ყოფილი გუნდის, „ლივერპულის“ მატჩებს თუ ადევნებთ თვალს? მათთვის მთლად წარმატებული სეზონი არ არის.***

— რა თქმა უნდა, ვადევნებ. „ლივერპული“ და მისი თითოეული წევრი ძალიან მიყვარს. მისი სახელი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. იმედი მაქვს, „ლივერპული“ მალე ჩვეულად ათამაშდება და ამ არასახარბიელო მდგომარეობიდან გამოძვრება.

***— როდესაც ბოლოს „ლივერპულის“ შედეგები შეაჯამეს, სტივენ ჯერარდმა განაცხადა, რომ „ენფილდი“ ახლა გაიგებს, რამდენად მნიშვნელოვანი იყო ხაბი ალონსოო. რას იტყვით ამის შესახებ?***

— სტივენი ჩემი ახლო მეგობარია და 5 წლის მანძილზე ძალიან ბევრი გადავიტანეთ ერთად. ძალიან მენატრება მისი ნახვა და სხვა დანარჩენი ფეხბურთელებისიც. რაღა თქმა უნდა, სასიხარულოა, როდესაც არ ხარ და გაფასებენ.

***— რაფა ბენიტესს შეუძლია გუნდი ამ სიტუაციიდან გამოიყვანოს?***

— ბენიტესს ყველა მხარს უჭერს და მასში ეჭვი არავის ეპარება. „ლივერპული“ განსაკუთრებული კლუბია და მის მთავარ მწვრთნელს საფრთხე არ ემუქრება.

***— 2010 წლის ჩემპიონთა ლიგის ფინალი „სანტიაგო ბერნაბეუზე“ გაიმართება. ეს მოტივაციას ორმაგად ზრდის?***

— ეს უფრო დაწოლას გვმატებს. ჩემპიონთა ლიგა ყოველთვის რთული მოსაგებია, მაგრამ ჩვენ შეგვწევს ამის ძალები, თუმცა, წინ მძიმე ბრძოლები გველის.

***— ახლანდელ „რეალს“ შეუძლია ისეთი გუნდების დამარცხება, როგორიც „მანჩესტერი“, „ჩელში“ და „ბარსელონაა“?***

— „რელაში“ ბევრი კარგი ფეხბურთელია თავმოყრილი, რომლებსაც მგავსი ტურნირების ფინალები არაერთხელ უთამაშიათ, მაგრამ ვისაც არ უთამაშია, მათ ამის დიდი სურვილი აქვთ. მოტივაციის პრობლემა არ გვაქვს, უბრალოდ კარგად უნდა მოვემზადოთ.

***— ფავორიტი „ბარსელონა“ იქნება?***

— ლა ლიგაში კი, ჩემპიონთა ლიგაში კი ბევრი კარგი გუნდია.

***— „ბარსელონა“ წელს ისე ველარ თამაშობს, როგორც გასულ სეზონში.***

— არ ვიცი, საიდან ასეთი აზრი. „ბარსელონა“ წელსაც დიდებულად თამაშობს და ტიტულების მოგროვებას აგრძელებს. ახლახან მსოლფიოს საკლუბო ჩემპიონატი მოიგეს და სეზონი ისევ გამარჯვებით დაასრულეს. ვფიქრობ, ამით ყველაფერი ნათქვამია.

***— მოახლოებული მსოფლიოს ჩემპიონატი ფეხბურთელებს კლუბში ძალების დაზოგვის უფლებას აძლევს?***

— არანაირად. ფეხბურთელებს ამის გაფიქრების უფლებაც არ აქვთ. დელ ბოსკემ გვითხრა, რომ მსოფლიოს ჩემპიონატის დროს ფეხბურთელები საუკეთესო ფორმაში უნდა ვიყოთ. ამას კი ძალების დაზოგვით ვერ მივაღწევთ.

***— დელ ბოსკეს გაუჭირდება შემადგენლობის არჩევა?***

— ძალიან, საბოლოო განაცხადის გაკეთებამდე გუნდი მხოლოდ ერთ ამხანაგურ მატჩს გამართავს და წარმომიდგენია, როგორ ტკივა თავი ახლა მწვრთნელს. დელ ბოსკეს ძალიან ბევრი ვარიანტი აქვს.

## რეალი არარეალურ ფასად

არაბი შეიხები ევროპულ ფეხბურთში გაფართოებისკენ ისწრაფიან. როგორც ესპანური გაზეთი „ას“ ავრცელებს, აბუდაბის სამეფო ოჯახის წევრი, შეიხი მანსურ ბინ ზაიედ ალ-ნაჰიანი, რომელიც „მანჩესტერ სიტის“ მფლობელია, დიდად არის მოწადინებული „სამეფო კლუბი“, მადრიდის „რეალი“ შეიძინოს. შეიხი მზად არის ამისთვის ასტრონომიული თანხა, 1.000.000.000 ევრო გადაიხადოს.

გაზეთი არ აკონკრეტებს ინფორმაციის წყაროს, მაგრამ ირწმუნება, რომ მანსურმა უკვე შესთავაზა მილიარდი ევრო კლუბის მთლიანად შესაძენად. რა პასუხი მიიღეს კლუბის ხელმძღვანელებისგან ჯერჯერობით უცნობია, მაგრამ როგორც ირკვევა, მანსური და „რეალის“ პრეზიდენტი ფლორენტინო პერესი ერთმანეთს იანვარში შეხვდებიან.

— როგორც ჩანს, შეიხი ძალიან დაინტერესებულია ისეთი კლუბი მართოს, როგორიც „რეალია“. მანსურს სურვილი აქვს, კლუბი თავის ვალებიანად შეისყიდოს, რომელიც სადღეისოდ, ექსპერტთა აზრით ,327.000.000 ევროს აღწევს. ამ თანხის დიდი ნაწილი კრედიტით არის აღებული ბანკებიდან, რომელიც პერესმა ვარსკვლავთკრებულის შეძენას მოახმარა. ამ ზაფხულს 200 მილიონ ევროზე მეტი თანხა კრიშტიანუ რონალდუს, კაკას, ქარიმ ბენზემას, ხაბი ალონსოს, ალვარო არბელოასა და რაულ ალბიოლის ტრანსფერებში განახორციელა, — წერს გაზეთი.

თუმცა, ჩვენის მხრივ, გვინდა აღვნიშნოთ, რომ მანსურს ამ თავბრუდამხვევი საქმის გაკეთების მცირე შანსი აქვს, საქმე ის არის, რომ „რეალს“ გულშემატკივრები მართავენ, რომლებიც აქციების გარკვეულ პროცენტს ფლობენ. კლუბი რომ გაიყიდოს, აქციონერებმა (გულშემატკივრებმა) უნდა შეცვალონ კლუბის მმართველობის ფორმა. სწორედ ეს ვარიანტია ყველაზე ნაკლებად მისაღები, რადგან მადრიდელები თავიანთი კლუბით ძალიან ამაყობენ.

## ფედერაცია ვალებს ისტუმრებს

დასაწყისი მე-12 გვერდზე

სამხრეთ ოსეთის ფეხბურთის ფედერაციის გენერალურმა მდივანმა სერგო გაბელაიამ ალმასკომს თხოვნით მიმართა, პარალელურად მწვრთნელადაც ემუშავა — მისი თხოვნა დაკმაყოფილებულ არ იქნა.

ალმასკომმა ასევე განიხილა დისკვალიფიცირებული ფეხბურთელების საკითხი, რომელთაც სასჯელის ვადა მომავალ წელშიც მიჰყვებოდათ — მათ ამნისტია გამოუვიდათ და ახალ წელს „სვობოდაზე“ ხვდებიან.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ზვიად სიჭინავამ კი რამდენიმე საგულისხმო დეტალი გვითხრა. ფედერაციამ უკვე გაისტუმრა 3.563.789 ლარი და ახლა მხოლოდ 6.798.167 ლარი დარჩა გასასტუმრებელი, რომლისგან კიდევ 150.000 ლარის გასტუმრებას გუშინვე აპირებდა. გაირკვა ისიც, რომ სფფ-ს შენობას ყადაღა მოეხსნა. შეძენილია 1.000.000 ინვენტარი, რომელიც უკვე დაურიგდათ კლუბებსა და სხვადასხვა ასაკობრივ ნაკრებებს.

რაც შეეხება პრეზიდენტის მიერ გავრცელებულ ინფორმაციას პრემიერლიგის ჩამოყალიბებასთან დაკავშირებით, ამასთანაც, საინტერესო ინფორმაცია მივიღეთ. ნებისმიერ პიროვნებას შეუძლია მსგავსი შპს ჩამოაყალიბოს და მათ შორის ჩატარდება ტენდერი — კლუბები თავად აირჩევენ, სად ითამაშონ. ჯერჯერობით, მხოლოდ საქართველოს ჩემპიონატის ჩასატარებლად პროფესიული ფეხბურთის ლიგა და პრემიერლიგა იბრძოლებენ.

## ნიუკანენი მკვლელობის მცდელობისთვის დააკავეს

ცნობილი ფინელი სპორტსმენი, 4-გზის ოლიმპიური ჩემპიონი ტრამპლინიდან თხილამურებით ხტომაში მატი ნიუკანენი საკუთარი ცოლის მკვლელობის მცდელობის გამო იქნა დაკავებული. 46 წლის სპორტსმენი ინციდენტის კვალზე დააკავეს, რის შედეგად ნიუკანენის მეუღლე მერია ტაპოლამ თავისა და ხელის მძიმე დაზიანებები მიიღო.

„მფრინავმა ფინელმა“ 1988 წელს კალგარის ოლიმპიადაზე 3 ოქროს მედალი მოიპოვა, ხოლო 4 წლით ადრე სარაევოში, ოქროსა და ვერცხლის, თუმცა, მაშინ მხოლოდ 21 წლის იყო. არის 5-გზის მსოფლიოს და ფინეთის 13-გზის ჩემპიონი.

როგორც ირკვევა, დიდი სპორტიდან წასვლის შემდეგ ეს პირველი შემთხვევა არ არის, როდესაც ნიუკანენს პრობლემები აქვს სამართალდამცავ ორგანოებთან. ნიუკანენს ადრეც ჰქონია სასამართლო ალკოჰოლის ბოროტად გამოყენებაში და მშვიდობიან მოქალაქეზე თავდასხმაში. ამას გარდა, ნიუკანენი სცენაზე მუსიკალური ნომრებითაც ჩნდებოდა და მამაკაცთა სტრიპტიზ-ბარში ცეკვავდა.

## შედეგები

### ფეხბურთი

**ინგლისი. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| არსენალი-ასტონ ვილა | 3:0 |
| ჰალი-მანჩესტერი | 1:3 |

**ბელგია. პროლიგა**

| | |
|---|---|
| გენტი-ანდერლეხტი | 2:2 |
| ვარეგემი-ვესტერლო | 1:0 |

**შოტლანდია. პრემიერლიგა**

| | |
|---|---|
| ჰიბერნიანი-რეინჯერსი | 1:4 |

### კალათბურთი

**ნბა. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| ტორონტო-დეტროიტი | 102:95 |
| კლივლენდი-ჰიუსტონი | 108:83 |
| მაიამი-ინდიანა | 114:80 |
| ნიუ იორკი-სან ანტონიო | 88:95 |
| დენვერი-დალასი | 96:104 |
| კლიპერსი-ბოსტონი | 92:90 |

### ჰოკეი

**ნჰლ. რეგულარული ჩემპიონატი**

| | |
|---|---|
| აილენდერსი-ფილადელფია | 1:2 |
| ფლორიდა-ბოსტონი | 1:2 |
| სენტ ლუისი-ბუფალო | 3:5 |
| პიტსბურგი-ტორონტო | 3:4 |
| ჩიკაგო-ნეშვილი | 5:4 |
| კალგარი-ვანკუვერი | 1:5 |

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

## დღის კალენდარი

**29 დეკემბრისთვის**



წლის 363-ე დღე, ახალ წლამდე დარჩა 2 დღე.

### საეკლესიო კალენდარი

სულთმოფენობიდან 30-ე შვიდეული. სამშაბათი

წმიდა წინასწარმეტყველი ანგეასი (500 ქრისტეშობამდე); მოწამე მარინისა (III); ნეტ. დედოფლისა თეოფანიასი (893-894).

### დაიბადნენ:

1904 — ანდრო ჟორდანია, სპორტსმენი. გარდაიცვალა 1974 წელს.

1911 — გივი ჟორდანია, ისტორიკოსი, მედიევისტი. გარდაიცვალა 2001 წელს.

მედიანიუსი

# ირანში დემონსტრანტებისა და პოლიციელების შეტაკებამ 8 ადამიანი იმსხვერპლა

პოლიციასთან შეტაკებით დასრულებული საპროტესტო აქციის შემდეგ, რომლის დროსაც არანაკლებ რვა ადამიანი დაიღუპა, ირანის ხელისუფლებმა ოპოზიციის რამდენიმე ლიდერი დააკავეს.

სხვა ცნობების თანახმად, მსხვერპლი 15 ადამიანს შეადგენს.

დაკავებულთა შორის ირანის პრეზიდენტობის ყოფილი კანდიდატის, მირ ჰოსეინ მუსავის უახლესი თანაშემწეები არიან.

მისი ძმისწული ალი მუსავი თეირანში კვირას, ინჰილაბის მოედანზე გამართული მიტინგის დროს გულის არეში ცეცხლსასროლი იარაღით მიყენებული ჭრილობის შედეგად საავადმყოფოში მიყვანის შემდეგ გარდაიცვალა.

მირ ჰოსეინ მუსავის საიტზე ნათქვამია, რომ ალი ზურგში გასროლის შედეგად პოლიციის მიერ დემონსტრანტებისათვის ცეცხლის დაშენის დროს დაიჭრა. დაღუპულის ნათესავების თქმით, მისი დაკრძალვა ვერ ხერხდება, რადგან მისი გვამი საავადმყოფოდან გაასვენეს.

ოპოზიცია ამტკიცებს, რომ შესაძლოა ამ საქმეში სახელმწიფო სპეცსამსახურები იყვნენ ჩარეული, რადგან ისინი შიშობენ, რომ ალის დაკრძალვა კიდევ უფრო მეტი არეულობის საბაბად შეიძლება იქცეს.

ორშაბათს დილით ირანის ტელევიზიამ გამოაცხადა, რომ პოლიციასთან შეტაკებების შედეგად 15 ადამიანი დაიღუპა, თუმცა, ოფიციალური ცნობების თანახმად, დაღუპულია 8 ადამიანი.

თვითმხილველების თქმით, პოლიციამ ირანის დედაქალაქის სხვადასხვა რაიონში გამართული მანიფესტაციების მონაწილეთა დასაფანტავად ცრემლსადენი გაზი გამოიყენა.

კვირას მომხდარ შეტაკებას ძალადობის და სისასტიკის მხრივ მიმდინარე წლის ივლისში პრეზიდენტის არჩევნების შემდგომ მომხდარ არეულობებს ადარებენ.

პოლიციის წარმომადგენლები ადამიანების დაღუპვასთან კავშირს კატეგორიულად უარყოფენ. მათი თქმით, სამი ადამიანი უბედური შემთხვევის შედეგად დაიღუპა, ერთი კი ოპოზიციის შეიარაღებულმა წარმომადგენლებმა მოკლეს. დანარჩენი დაღუპულების შესახებ პოლიციას არაფერი უთქვამს.

ხელისუფლების განცხადებით, სროლის გარემოებების გამოძიება გრძელდება.

ოპოზიციის განცხადებით, მღელვარება თეირანიდან ირანის სხვა ქალაქებსაც გადაედო.

დაუდასტურებელი ცნობების თანახმად, ქვეყნის ჩრდილო-დასავლეთით მდებარე ქალაქ თავრიზში

გაგრძელება მე-11 გვერდზე

# პოლანსკიმ მხარდაჭერისათვის მადლობა გადაიხადა

ცნობილმა რეჟისორმა რომან პოლანსკიმ, რომელსაც შვეიცარიიდან აშშ-ში ექსტრადიცია ელის, მხარდაჭერისათვის მადლობა გადაუხადა მათ, ვინც მას ციხეში წერილი გაუგზავნა.

დაკავების შემდეგ რომან პოლანსკის კულტურისა და ხელოვნების მრავალმა მოღვაწემ დაუჭირა მხარი. საფრანგეთის კულტურის მინისტრმა ფრედერიკ მიტერანმა განაცხადა, რომ იგი პოლანსკის დაპატიმრებით შოკირებული დარჩა.



რომან პოლანსკიმ ფართო საზოგადოებას კვირას მიმართა. წერილი მან თავის მეგობარს ფრანგ ფილოსოფოსსა და პუბლიცისტს, ბერნარ-ანრი ლევის გაუგზავნა და მისი გამოქვეყნება სთხოვა.

ლევიმ წერილი თავისი ჟურნალის „თამაშის წესები“ ინტერნეტ საიტზე გამოაქვეყნა და საფრანგეთის მედიას გადაუგზავნა იგი.

— გაკვირვებული დავრჩი იმით, თუ სიმპათიისა და მხარდაჭერის რამდენი გამოხატულება მივიღე ვინტერტურის ციხეში და კვლავაც ვლებულობ მათ გშტაადში, ჩემს სახლში, სადაც ცოლთან და შვილებთან ერთად ვატარებ დღესასწაულის დღეებს, — განაცხადა მან.

რომან პოლანსკის თქმით, წერილებს იგი შვეიცარიიდან და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან იღებს და „სოლიდარობისა და ადამიანურობის“ ხმა ციხეში ყოფნის დროს „ათბობდა და იმედს უსახავდა“ მას.

შეგახსენებთ, რომ რომან პოლანსკი მიმდინარე წლის 26 სექტემბერს დააპატიმრეს ციურიხში, კინოფესტივალზე ჩასვლის შემდეგ. მიმდინარე წლის დეკემბერში 4.5 მილიონი დოლარის გადახდის შემდეგ იგი თავდებით გაათავისუფლეს.

მას შემდეგ იგი გშტაადში, საკუთარ სახლში შინაპატიმრობაში იმყოფება და აშშ-ში ექსტრადიციის საკითხთან დაკავშირებით შვეიცარიის ხელისუფლების გადაწყვეტილებას ელის.

მოსალოდნელია, რომ შვეიცარიის ხელისუფლები რომან პოლანსკის აშშ-ში ექსტრადიციის საკითხთან დაკავშირებით თავიანთ გადაწყვეტილებას მომავალი წლის დეკემბრის დასაწყისში გამოაქვეყნებენ.

რომან პოლანსკის 1977 წელს 13 წლის ამერიკელ სამანტა გეიმერთან ინტიმური კავშირის ბრალდებები აქვს წაყენებული. პოლანსკიმ აშშ 1978 წელს დატოვა და დაპატიმრებას ასე აარიდა თავი.

გასულ კვირას კალიფორნიის სააპელაციო სასამართლომ პოლანსკის ადვოკატების მიერ წარდგენილი საქმის შეწყვეტის შუამდგომლობა უარყო. ადვოკატები მათი კლიენტის საქმის განხილვისას იურიდიული პროცედურების დარღვევის ფაქტებზე მიუთითებდნენ.

მოსამართლემ მათი შუამდგომლობის განხილვაზე უარი თქვა და თავისი გადაწყვეტილება იმით დაასაბუთა, რომ პოლანსკი მართლმსაჯულებას ემალება.

დაპატიმრებამდე ცოტა ხნით ადრე პოლანსკიმ ამ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებით აპელაცია წარადგინა. მისი ადვოკატები ამტკიცებენ, რომ პროცესუალურ დარღვევებთან დაკავშირებით პოლანსკი ვალდებული არ იყო, პირადად დასწრებოდა სასამართლო განხილვებს.

თავად სამანტა გეიმერმა თავის მხრივ, საქმის დახურვის არაერთი შუამდგომლობა წარადგინა. მისი თქმით, საგამოძიებო და სასამართლო ხელისუფლებმა საქმის დეტალების გამოქვეყნებით ზიანი მიაყენეს მას, მის ოჯახს, ქმარს, სამ შვილსა და დედას. ამასთან, ჯერ კიდევ 1997 წელს პოლანსკიმ დაზარალებულის ოჯახთან შეთანხმებას მიაღწია და კომპენსაცია გადაიხადა.

# „ავატარი“ საშობაო უიკენდის ყველაზე შემოსავლიანი ფილმია



ჩრდილოეთ ამერიკის კინოგაქირავებამ რეჟისორ ჯეიმს კამერონისაგან საშობაო საჩუქარი მიიღო — სადღესასწაულო უიკენდმა სალაროს შემოსავლების რეკორდი მოხსნა.

რამდენიმე გახმოვანებული კინოსიახლის, მათ შორის გაი რიჩის „შერლოკ ჰოლმსისა“ და „ელვინისა და ბურუნდუკები 2“-ის ეკრანებზე გამოსვლის შემდეგ აშშ-სა და კანადაში ფილმების საერთო შემოსავალმა 278 მილიონ დოლარს მიაღწია.

აღსანიშნავია, რომ წინა რეკორდი 2008 წელს ეკუთვნის, ბეტმენის შესახებ გადაღებული ფილმის, „ბნელი რაინდის“ პრემიერის პერიოდს. მაშინ კინოგაქირავების შემოსავალმა უიკენდის განმავლობაში 253 მილიონი დოლარი შეადგინა.

წლევანდელ წარმატებაში თავისი წვლილი შეიტანა რეჟისორ ჯეიმს კამერონის სამგანზომილებიანმა ფილმმა „ავატარი“. სტუდია „20 საუკუნე ფოქსის“ თანახმად, ფილმის შემოსავალმა 75 მილიონი დოლარი შეადგინა, რაც სადებიუტო უიკენდზე 2%-ით ნაკლებია.

ამასთან დაკავშირებით აღსანიშნავია, რომ ჩვეულებრივ, მეორე უიკენდისათვის შემოსავლების 30-50%-ით ეცემა ხოლმე. იმავდროულად, ჩრდილოეთ ამერიკაში „ავატარის“ საერთო შემოსავალმა 212 მილიონ დოლარს მიაღწია, მსოფლიო გაქირავების შედეგები კი მილიარდს უახლოვდება.

მეორე ადგილზე კონან დოილის გაი რიჩისეული ეკრანიზაცია გავიდა. ფილმში „შერლოკ ჰოლმსი“ მთავარ როლებს რობერტ დაუნი უმცროსი და ჯუდ ლოუ ასრულებენ. ფილმის შემოსავალმა 65.4 მილიონი დოლარი შეადგინა, აქედან 24.9 მილიონი შობის დღესასწაულზე მოდის, რაც სადღესასწაულო პრემიერისათვის სარეკორდო მაჩვენებელია.

სტუდია „უორნერ ბრაზერსი“ „ჰოლმსის“ პრემიერას სენსაციად აცხადებს და მისი გაგრძელების გადაღებისათვის ემზადება.

ლიდერთა სამეულში მოხვდა აგრეთვე ფილმი „ელვინი და ბურუნდუკი 2“. სამი მღრღნელის ისტორიის გაგრძელების შემოსავალმა 59.2 მილიონი დოლარი შეადგინა. აუდიტორიის უმეტესობას ბავშვები შეადგენდნენ. მათმა დედებმა კი „მარტივ პრობლემებს“ მიანიჭეს უპირატესობა, სადაც მთავარ როლებს მერილ სტრიპი, ალეკ ბოლდუინი და სტივ მარტინი ასრულებენ.

ოჯახის დედის ისტორიამ, რომელსაც ყოფილ ქმარსა და ახალ საყვარელს შორის ვერ აურჩევია, გაქირავებას 22.1 მილიონი დოლარი მოუტანა.

# 86 წლის გუბერნატორი სამ ქალთან ინტიმური ვიდეოს გამო გადადგა



ინდოეთის ანდჰრა პრადეშის შტატის გუბერნატორი, 86 წლის ნარაინ დუტ ტივარი მას შემდეგ რაც ტელევიზიით ახალი ამბების გამოშვებაში საწოლში სამ ქალთან ერთად აჩვენეს, იძულებული გახდა თანამდებობიდან გადამდგარიყო.

ქალები გუბერნატორს მიუყვანა მოქალაქემ, ასევე ქალმა, რომელსაც გუბერნატორი სექსუალური მომსახურების სანაცვლოდ სამთო დამამუშავებელი სამუშაოებისათვის ლიცენზიას დაჰპირდა, მაგრამ მოატყა იგი.

სანაცვლოდ ქალმა შურისძიება გადაწყვიტა, ტელეარხ „ეიბიენ ანდჰრა ჯიოტი ნიუსს“ ვიდეოჩანაწერი გადასცა.

თავდაპირველად გუბერნატორის კანცელარია ამტკიცებდა, რომ ჩანაწერი ყალბი იყო. მაგრამ შემდეგ ოპოზიციის წარმომადგენლები და ქალთა უფლებებისათვის ბრძოლის აქტივისტები ქუჩებში გამოვიდნენ და გუბერნატორის გადადგომა მოითხოვეს.

შედეგად ტივარიმ, ინდოეთის მმართველი ნაციონალური კონგრესის პარტიის ვეტერანმა პრეზიდენტს გადადგომის თხოვნით წერილი გაუგზავნა და ჯანმრთელობის პრობლემები მოიმიზეზა.

სასამართლო გადაწყვეტილებით ტელეარხს ვიდეორგოლის ეთერში გაშვება აეკრძალა, რადგან პრეზიდენტის ტანაშემწე არიენდრა შარმამ პეტიცია წარადგინა, რომელშიც ნათქვამია, რომ მისი ჩვენება გუბერნატორის ძალაუფლების დასუსტების მიზეზი შეიძება გახდეს.

მიუხედავად ამისა, სამწუთიანი ვიდეორგოლი „იუთიუბის“ ინდური სექტორის ყველაზე პოპულარულ ჩანაწერად იქცა, ხოლო სკანდალი ინდოეთის წამყვანი გაზეთების პირველ გვერდზე მოხვდა.

ინდოეთის ეროვნული კონგრესის პარტიამ გუბერნატორის გადადგომა მოიწონა.

# ჩარლი შინმა შობა საკანში გაატარა

დასაწყისი მე-12 გვერდზე

გარდა ამისა, მისი სახელი „ჰოლივუდის მადამის“, ჰეიდი ფლეისის საქმეშიც ფიგურირებდა. ჩარლი შინმა სასამართლოში აღიარა, რომ ესკორტ მომსახურებისათვის 50 ათასი დოლარი გადაიხადა.

1998 წელს ჩარლი შინი ნარკოტიკების ჭარბი დოზის მიღების შედეგად საავადმყოფოში მოხვდა. საავადმყოფოდან გამოსვლის შემდეგ სარეაბილიტაციო კლინიკას მიაკითხა, მაგრამ როგორც ჩანს, ამან არ უშველა.

ცოტა ხნის შემდეგ ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისაგან გაბრუებული მსახიობი მანქანის საჭესთან დააკავეს და კვლავ კლინიკისკენ გაისტუმრეს.

## კროსვორდი ბ



**შვეულად:** 1. საწამლავის, შხამის ძველებური სახელწოდება; 2. ჰაერში გასაშვები ბავშვის სათამაშო; 3. მინერალი, ტყვიის შემცველი მადანი; 4. მე-17 საუკუნის ქართველი მხედართმთავარი; 5. მევენახეობა-მეღვინეობის რაიონი საფრანგეთში; 9. ფრანგული კოსმოსური ხომალდების სერია; 12. რამდენიმე სართულად გამართული თაროები; 14. ქართველი ფსიქოლოგი, აკადემიკოსი; 15. იაპონური ჭიდაობა; 17. საბჭოთა წყობილების წინააღმდეგ მებრძოლი უკრაინული ატამანი; 18. ცხოველი, აშშ-ს დემოკრატიული პარტიის სიმბოლო.

**თარაზულად:** 6. მფრინავი ცხოველი; 7. ნეპალის დედაქალაქი; 8. ტერიტორიულ-ადმინისტრაციული ერთეული ირანში; 10. ფრანგი მწერალი, ნობელის პრემიის ლაურეატი; 11. ხის ორი ფირფიტისაგან შემდგარი მუსიკალური ტკაცუნა, ესპანური ცეკვების აკომპანირებისთვის; 13. მატრიცების ამოსატვიფრი ფოლადის შტამპი; 16. მონების ან დამნაშავეს ტანზე დასმული დამღა ძველ საბერძნეთში; 19. სპარსეთის დედაქალაქი მე-16-18 საუკუნეებში; 20. შავკანიანი რასის წარმომადგენელი.

შეადგინა თ. გოგინაშვილმა

## წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის და სკანვორდის პასუხები:

**კროსვორდის პასუხები:**

**თარაზულად:** 4. კაკადუ; 5. ზურმუხტი; 6. პიურე; 7. აბსენთი; 8. ეთნოსი; 10. აკიდო; 13. სავანა; 15. იშემია; 16. ნარი; 17. მინა; 20. იამატო; 21. მირაჟი; 22. მერკური; 23. გორილა.

**შვეულად:** 1. პარნასი; 2. ამეთვისტო; 3. ლინკოლნი; 4. კობალტი; 5. ზაზუნა; 9. სამუმი; 11. დეკრეტი; 12. პარადი; 14. ვოლიერი; 18. ასტრა; 19. ტაიგა.

**სკანვორდის პასუხები:**

1. პო; 2. როკფორი; 3. მარანი; 4. ედა; 5. არეტა; 6. კაფეტერია; 7. არკა; 8. აკრი; 9. ცე; 10. რაცია; 11. ტიტრი; 12. ჰანდიკაპი; 13. ჰააგა; 14. აპრიორი; 15. იბნ; 16. სარე; 17. ჟერარ; 18. ანარქია; 19. ქალაქი; 20. სალაკა; 21. ალჟირი; 22. ანკარა; 23. ბარაკი; 24. ლარი; 25. სირ; 26. ფრაუ; 27. ალ; 28. კურარე; 29. მარაკანა; 30. მარადია; 31. არესი; 32. პადუა;

**სურათებზე:** ბრიჯიტ ბარდო; ალენ დელონი.

# აშშ თვითმფრინავის აფეთქების მცდელობაში „ალ კაიდას“ კვალს ხედავს

აშშ-ის პრეზიდენტის ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა დაადასტურეს, რომ კომპანია „ნორთვესთ ეარლაინზის“ თვითმფრინავის აფეთქების მცდელობის გამოძიებაში ძირითად ვერსიას ინციდენტთან „ალ კაიდას“ კავშირი წარმოადგენს.

აშშ-ის ეროვნული უშიშროების მინისტრმა ჯანეთ ნაპოლიტანომ ამ ვერსიის შესახებ სიენენის ინტერვიუში ილაპარაკა.



აშშ-ის პრეზიდენტმა ბარაქ ობამამ ამ ინციდენტთან დაკავშირებით ავიატრანსპორტზე უსაფრთხოების უზრუნველყოფის ზომების გადასინჯვის განკარგულება გასცა.

პრეზიდენტის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ აშშ-ს პრეზიდენტს სურს იცოდეს, თუ როგორ მოახერხა ბოროტმოქმედმა თვითმფრინავში ასაფეთქებელი ნივთიერების შეტანა.

ნიგერიელ მოქალაქე ფარუკ აბდულმუთალაბს „ნორთვესთ ეარლაინზის“ თვითმფრინავის აფეთქების მცდელობის ბრალდებები წაუყენეს. იგი საავადმყოფოდან ფედერალურ ციხეში გადაიყვანეს.

ორშაბათს გამართულ სხდომაზე, რომლის დროსაც პროკურორები მისთვის დნმ ნიმუშების აღების უფლების მიღებას აპირებდნენ, იგი სავარაუდოდ არ უნდა მიეყვანათ.

აშშ-ის უშიშროების სამსახურის ანონიმი წყაროს ინფორმაციაზე დაყრდნობით რეიტერის სააგენტომ განაცხადა, რომ ბრალდებულის თქმით, ასაფეთქებელი მოწყობილობა მან იემენში „ალ კაიდას“ წევრებისაგან მიიღო.

ნაპოლიტანომ მანამდე განაცხადა, რომ გამოძიების ვარაუდით, აბდულმუთალაბი მარტო მოქმედებდა და თანამზრახველები არ ჰყოლია.

თვითმფრინავის აფეთქების მცდელობას აშშ-ის პრეზიდენტ ობამას ადმინისტრაციის მისამართით რესპუბლიკელების კრიტიკა მოჰყვა.

სენატში რესპუბლიკელების ლიდერმა მიტჩ მაკონელმა განაცხადა, რომ საოცარია, თუ როგორ მოახერხა აბდულმუთალაბმა, რომელსაც წარსულში არცთუ „სუფთა“ წინაისტორია ჰქონდა, აშშ-საკენ მიმავალ თვითმფრინავში მოხვედრა.

აშშ-ს პრეზიდენტმა კვირას ეჭვმიტანილ და სახიფათო პირებზე დაკვირვების სისტემის ფუნქციონირების შემოწმება მოითხოვა. ეს შეკითხვა პრეზიდენტს მას შემდეგ დაებადა, რაც ცნობილი გახდა, რომ 22 წლის აბდულმუთალაბის სახელი სპეცსამსახურებისათვის ცნობილი იყო.

უსაფრთხოების ზომების განმტკიცებასთან ერთად აეროპორტებში გრძელი რიგები დადგა.

ტრანსპორტზე უსაფრთხოების განმტკიცების სამსახურის წარმომადგენლების თქმით, კონტროლის, პირადი და ბარგის შემოწმებასთან დაკავშირებით მგზავრები შეფერხებებისათვის მზად უნდა იყვნენ.

სამსახურის წარმომადგენლების თქმით, პოტენციური დამნაშავეების გამოვლენის მიზნით თვალსაჩინო და არცთუ კარგად შესამჩნევ ზომებს გამოიყენებენ.

ჩიკაგოს აეროპორტში საფრანგეთისაკენ მიმავალმა ამერიკელებმა ფრანს პრესის ჟურნალისტებს გამოუცხადეს, რომ ასეთი რიგები მათ აეროპორტებში არასდროს უნახავთ.

მათი ვარაუდით, როგორც ჩანს, აეროპორტების პერსონალი მგზავრების ფიზიკური შემოწმების მოთხოვნისათვის მოუმზადებელი აღმოჩნდა.

პრეზიდენტ ობამას მიერ უსაფრთხოების ზომების განმტკიცების მოთხოვნასთან ერთად ბევრს გაუჩნდა შეკითხვა იმის შესახებ, თუ როგორ მოახერხა სპეცსამსახურებისათვის კარგად ცნობილმა აბდულმუთალაბმა თვითმფრინავში მოხვედრა.

აშშ-ში პოტენციურად სახიფათო პირთა სამი სია არსებობს. პირველ, ე.წ. დაკვირვების სიაში ნახევარ მილიონზე მეტი ადამიანი ირიცხება. მათ საეჭვო პირებად მიიჩნევენ, თუმცა რისკი მათგან მინიმალურია.

მეორე, უფრო მეტი რისკის ჯგუფში 18 ათასი ადამიანი ირიცხება.

მესამე, 4 ათასი ადამიანისგან შემდგარი სიის წევრებს თვითმფრინავში ასვლა აკრძალული აქვთ.

აბდულმუთალაბი პირველ სიაში 2009 წლის ნოემბერში მოხვდა, მას შემდეგ, რაც მამამისმა, გავლენიანმა ნიგერიელმა ბანკირმა შვილის რადიკალური შეხედულებების შესახებ ისაუბრა.

აბდულმუთალაბი ნიგერიიდან ამსტერდამში ჩაფრინდა, საიდანაც იგი „ნორთვესთ ეარლაინზის“ თვითმფრინავით დეტროიტისაკენ გაფრინდა.

თვითმფრინავის დაშვებამდე ცოტა ხნით ადრე ბოროტმოქმედმა ე.წ. პენტრიტის საფუძველზე დამზადებული ასაფეთქებელი მოწყობილობის ამოქმედება სცადა. იგი მგზავრებმა და ეკიპაჟის წევრებმა გააუვნებელყვეს.

გამოძიების წინასწარი მონაცემების თანახმა, ტერორისტმა შპრიცში ცეცხლწამკიდი ნარევი მოამზადა, რისთვისაც თხევადი კომპონენტი და ფხვნილი გამოიყენა.

ცნობილია, რომ მან თავზე პლედი გადაიფარა, რის შემდეგაც საახალწლო ტკაცუნების მსგავსი ხმა გაისმა. თითქმის მაშინვე ტერორისტს ერთ-ერთი მგზავრი, 32 წლის ჰოლანდიელი კინორეჟისორი იასერ შურინგა ეცა. ნიგერიელს შარვალზე ცეცხლი მოეკიდა, შარვლის საკინძი გახსნილი ჰქონდა, ფეხებზე რაღაც ფუთა ჰქონდა მიმაგრებული.

ჰოლანდიელი ცეცხლს არ შეუშინდა და ნიგერიელს ფეხებზე მიმაგრებული ნივთი მოაგლიჯა. ამასობაში ცეცხლმაქრობებით და წყლით სავსე ჭურჭლით სტიუარდებიც წამოეშველნენ.

მგზავრების თქმით, სტიუარდები, ხუთი ტანსრული მამაკაცი და ორი ქალი შეთანხმებულად მოქმედებდნენ, ხანძარი რამდენიმე წუთში ჩააქრეს. შურინგა ეკიპაჟის წევრებს ბოლომდე ეხმარებოდა, ნიგერიელს ყელში ხელი წაუჭირა და არ გაუშვია.

გამოძიების თანახმად, აბდულმუთალაბმა თვითმფრინავში 80 გრამი პენტრიტი აიტანა. ნიტროგლიცერინის მონათესავე ნივთიერებას სამხედრო საქმეში იყენებენ.

ინციდენტის შედეგად ნიგერიელმა ფეხებისა და საზარდულის დამწვრობა მიიღო, კინორეჟისორ შურინგას ხელები დაეწვა. თვითმფრინავის დეტროიტში დაშვებასთან ერთად 25 წლის ტერორისტი გფბ-ს წარმომადგენლებმა დააკავეს.

იგი მიჩიგანის შტატის ქალაქ მილანის საავადმყოფოში მიიყვანეს, შემდეგ კი ფედერალურ ციხეში გადაიყვანეს.

ჯერჯერობით ცნობილი არ არის, თუ რას ისახავდა მიზნად ტერორისტი, თვითმფრინავის აფეთქებას თუ მისთვის ცეცხლის წაკიდებას.

როგორც გაზეთებმა გამოარკვიეს, სამი წლის განმავლობაში აბდულუთალაბი ლონდონში სწავლობდა. თუმცა, მამამისის, ალჰაჯი უმარ მუთალაბის თქმით, რომელიც აფრიკის ერთ-ერთ უმდიდრეს ადამიანად არის მიჩნეული. მისმა შვილმა ცოტა ხნის წინ სწავლისადმი ინტერესი დაკარგა და რელიგიაზე გადაერთო. მამას სურდა, რომ შვილს აშშ-ში ქიმიური მრეწველობის ინჟინრის პროფესია მიეღო, მაგრამ შვილი წინააღმდეგი იყო და ახლო აღმოსავლეთში გამგზავრება სურდა.

**მოამზადა გენადი თვაურმა**

# ირანში დემონსტრანტების და პოლიციელების შეტაკებამ 8 ადამიანი იმსხვერპლა

დასაწყისი მე-10 გვერდზე

ოთხი ადამიანი დაიღუპა. შეტაკებებით აღინიშნა აგრეთვე ისპაჰანსა და ნაჯაფაბადში, ასევე სამხრეთით მდებარე შირაზში გამართული აქციები. ანტისამთავრობო დემონსტრაციების მონაწილეებისა და უშიშროების სამსახურის თანამშრომლების შეტაკებების მეორე დღეს ოპოზიციური პოლიტიკოსი იბრაჰიმ იაზდი დააკავეს.

ირანში დაძაბულობამ გავლენიანი სასულიერო ლიდერის, დისიდენტი აიათოლას, ჰოსეინ ალი მონთაზერის გარდაცვალების შემდეგ იმატა. გასულ კვირას იგი 87 წლის ასაკში გარდაიცვალა.



კვირას თეირანში უშიშროების სამსახურისა და პოლიციის ასობით თანამშრომელს მოუყარეს თავი. პოლიციის მონაცემებით, კვირას არეულობის დროს დაახლოებით 300 ადამიანი დააკავეს.

ადგილობრივი მედიის თანახმად, რომლებიც დაზვერვის სამსახურის წყაროს ინფორმაციაზე მიუთითებენ, დაკავებულთა შორის არის ირანში აკრძალული ოპოზიციური დაჯგუფების „მოჯაჰედინ ე-ჰ ალკის“ წევრები.

ოპოზიციის ლიდერის, მირ ჰოსეინ მუსავის მომხრეებმა საპროტესტო აქციებისათვის რელიგიური თარიღი, აშურის დღე გამოიყენეს. მიმომხილველების თქმით, ეს იმით იყო განპირობებული, რომ ამჟამად ირანში მასობრივი გამოსვლები აკრძალულია, აშურის დღეს კი ქუჩებში ტრადიციულად მილიონობით ადამიანი გამოდის ხოლმე.

აშურის დღეს შიიტი მუსლიმანები წინასწარმეტყველ მოჰამედის შვილიშვილს, იმამ ჰუსეინს მოიხსენიებენ ხოლმე, რომელიც 680 წელს ქაერბალასთან გამართული ბრძოლის დროს დაიღუპა.

ირანიდან გავრცელებული ცნობების შემოწმება დამოუკიდებელი წყაროების საშუალებით შეუძლებელია, რადგან ირანში უცხოელი ჟურნალისტების საქმიანობა შეზღუდულია. თუმცა, თვითმხილველების თქმით, თეირანში დემონსტრანტების ნაწილი პირველი დაესხა თავს პოლიციას.

პასუხად, როგორც ოპოზიცია აცხადებს, პოლიციამ ხალხს ცეცხლი გაუხსნა. ირანის ოფიციალური წარმომადგენლები ამ ბრალდებებს უარყოფენ. შეტაკებები კვირას მთელი დღის განმავლობაში გრძელდებოდა. ორშაბათს, ადრე დილით, ოპოზიციის ცნობით, ხალხმრავლობა შეინიშნებოდა სახელმწიფო რადიოსა და ტელევიზიის შენობასთან.

გავრცელებული ცნობების თანახმად, დემონსტრანტების დასაფანტად პოლიციამ ცრემლსადენი გაზი გამოიყენა.

გავლენიანმა რელიგიურმა მოღვაწემ, ზომიერმა პოლიტიკოსმა, მეჰდი ქარუბიმ, რომელიც პრეზიდენტის არჩევნებშიც მონაწილეობდა, დემონსტრანტების მიმართ ირანის ხელისუფლების მოქმედება დაგმო. ოპოზიციამ ეს განცხადება თავის ვებ საიტზე განათავსა. „რა დაემართა ჩვენს რელიგიურ სისტემას, თუკი მმართველები აშურის წმინდა დღეს უდანაშაულო ადამიანების დახოცვის ბრძანებას იძლევიან?“ — იკითხა ქარუბიმ თავის გამოსვლაში.

აშშ-მა და საფრანგეთმა ირანში მიმდინარე მოვლენები დაგმეს და განაცხადეს, რომ თავისუფლებისათვის მებრძოლი ადამიანების მიმართ რეპრესიების გამოყენება დაუშვებელია.

თეთრი სახლის ეროვნული უშიშროების საბჭოს წარმომადგენელმა მაიკ ჰამერმა განაცხადა, რომ ისტორია და იმედი იმათ მხარეზეა, ვინც საყოველთაო უფლებებისათვის მშვიდობიანი გზით იბრძვის.

მისი თქმით, ირანში ქუჩებში გამოსულ ადამიანებს მეტი დემოკრატია და თავისუფლება სურთ და პოლიციური რეპრესიები, უბრალოდ, დაუშვებელია.

## TV პროგრამა

### სამშაბათი 29 დეკემბერი

07.00 ჩვენი დილა 10.00, 12.00, 16.00, 20.00 მოამბე 11.00 სამოთხის ვაშლები 12.30 სერ. **"ანელიას სახე"** 13.30 დოკ. ფილმი "ცივილიზაციის საუნჯენი" 14.00 მეხსიერება 15.00 სერ. **"პირისპირ"** 17.00 პლანეტა ბასტი-ბუბუ 18.00 დოკ. ფილმი "სამყარო" 19.05 "მეხსიერება" 20.45 "ნანინა" 21.00 სერ. **"ანელიას სახე"** 22.00 დიალოგი 23.00 სერ. **"სულებთან მოჩურჩულე"** (12) 00.00 ღამის ჩვენება მაყურებელთა შერჩევით:
ა) მხ. ფილმი **"მევერიკი"** (U) (მ. გიბსონი)
ბ) მხ. ფილმი **"დამანგრეველი"** (U) (ს. სტალონე)

19.00 ან. ფილმი "პიტი და კენტროფი" 19.25 ნანინა 19.40 პლანეტა ბასტი-ბუბუ 20.10 მეხსიერება 21.05 სერ. **"პირისპირ"** 22.00 სერ. **"ანელიას სახე"** 23.00 სერ.**"სულებთან მოჩურჩულე"** 23.50 მ.ფ.**"ზეციდან სამუდამოდ"** (U)

07.30 დილა მშვიდობისა 10.00 სერ. **"შურისძიების ცეცხლში"** 11.00 კომედი შოუ 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 02.00 კურიერი 12.20 სერ. **"გზა დიდებისკენ"** 13.30 ბიზნეს-კურიერი 14.00 სერ. **"უფრთხილდი ანგელოზს"** 15.25 სერ. **"ჩვენი ოფისი"** 15.50 სერ. **"გულის ძახილი"** 16.50 სერ. **"დონ ხუანი და ლამაზმანი"** 18.30 სერ. **"ჩვენი ოფისი"** 19.00 სერ. **"ჟამი ყვავილობისა"** 19.50 სერ.**"ანჯელის საიდუმლო"** 20.55 ეროვნული ლატარეა 22.00 ვა-ბანკი 23.00 სერ. **"ექიმი ჰაუსი"** 00.00 პატრული 00.20 მხ. ფილმი **"დრაკონის კოცნა"** (18)

09.00 სერ. **"შტრაუსების დინასტია"** 10.00 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 11.00 სერ. **"ტყუპები"** 12.00 სერ. **"სი-ეს-აი"** 12.45 მხ. ფილმი 15.00 სერ. **"ენი მწვანე სახურავების მამულიდან"** 16.20 მხ. ფილმი 18.00 სერ. **"ტყუპები"** 19.00 სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 20.00 ზღაპარიყო 20.15 ეტალონი 21.25 ვიქტორინა "ქეშ შოუ" 22.30 სერ. **"ჩემი შეყვარებული"** 23.30 სერ. **"სი-ეს-აი"** 00.30 მხ. ფილმი

07.30 იმედის დილა 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00 ქრონიკა 10.00 სერ. **"ორმაგი თამაში"** 11.25 დოკ. ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 12.00 კონცერტი 13.00 სერ. **"მარადიული გრძნობა"** 14.40 იუმორინა 16.00 სერ. **"ფარული ვნება"** 17.30 დოკ. ფილმი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" 18.00 სერ. **"ლაბირინთი"** 19.05 სერ. **"მარადიული გრძნობა"** 20.55 "ლოტო" 22.00 სიმართლის დრო 23.00 სერ. **"კლინიკა"** 00.00 სერ. "24-5" 01.00 მხ. ფილმი **"სრულყოფილების განსახიერება"** (U) (ჯ. ანისტონი) 02.40 ქრონიკა 02.55 სერ. **"კლონი"**

08.00, 11.30, 14.30, 17.30, 20.30, 22.30 "დრო" 08.15 მულტფილმი 09.35 მხ. ფილმი **"სანტა კლაუსის არდადეგები"** 11.45, 21.00 სერ. **"ცხოვრების ქარცეცხლში"** 12.45 მხ. ფილმი **"კორსიკელი"** 14.50 პერსონა 15.20 მხ. ფ.**"კაბირიას ღამეები"** 18.00 მხ. ფილმი **"9 თვე"** 19.00 ნოვოსტი 19.35 დოკ. ფილმი 23.00 მხ. ფილმი **"ვანილი და შოკოლადი"** 00.40 მხ. ფ. **"ეშმაკი ქურდი"**

ერთსულოვნება

08.30 დილის პროგრამა "განთიადი" 10.00 ძალი ალთქმის განმარტებანი 10.30 სატ. არქივიდან 11.00 მართლმადიდებლური ფილმების ფესტივალი "წმინდა ანდრიას ჯვარი" 11.30 ერთსულოვანი ოჯახი 11.55, 14.55, 17.55, 20.55, 23.55 შვიდგზის ლოცვა 12.00, 15.00, 18.00, 21.00, 00.05 საგალობელი 12.05, 15.05 საეკლესიო კალენდარი 12.10 მხ. ფილმი **"იცოცხლე გენაცვალე"** 13.30 კონცერტი 15.10 დოკ. სერ. "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" 15.35 მხ. ფილმი **"ლომა, დავიწყებული მეგობარი"** 17.25 დოკ. ფილმი "ველური ბუნება" 17.30 დედა ეკლესია 18.05 სატ. არქივიდან 18.40 მიწათმოქმედი 19.15 მხ. ფ. **"ვილაცას ავტობუსზე აგვიანდება"** 21.10 პატრიარქის ქადაგება 21.30 დროის ჩანაწერები 22.00, 00.00 სიახლენი 22.15 მგზავრები წუთისოფლისა 23.00 საღამოს ლოცვა 23.15 მართლმადიდებლური ფილმების ფესტივალი "წმინდა ანდრიას ჯვარი"

**პროგრამები იბეჭდება სააგენტო „ინფოზავრის“ ნებართვით**

## სამგლოვიარო განცხადებები

გელა, ავთანდილ და დავით ყიფიანები ოჯახებით თანაუგრძნობენ მეგობრებს — რეზო და თამაზ გარდაფხაძეებს საყვარელი მამის

**გიორგი გარდაფხაძის**

გარდაცვალების გამო.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საინჟინრო მექანიკის დეპარტამენტის თეორიული მექანიკის მიმართულების თანამშრომლები თანაუგრძნობენ ბატონ თამაზ გარდაფხაძეს ძვირფასი მამის

**გიორგი გარდაფხაძის**

გარდაცვალების გამო.



ნიკოლოზ (ბუჭა) და ვენერა ჭუმბურიძეები სამძიმარს უცხადებენ დათო წილოსანს მამიდის

**თამარ წილოსანის**

გარდაცვალების გამო.

სანდრო ახმეტელის სახელობის თეატრი თანაუგრძნობს მსახიობ ნელი ბადალაშვილს **დედის** გარდაცვალების გამო.

ცისანა, ნუნუკა, ლია შარტავები ოჯახებით თანაგრძნობას უცხადებენ ბატონ რეზო ჯანჯღავას ოჯახს

**ლევან ჯანჯღავას**

გარდაცვალების გამო.
ღმერთმა ნათელში დაამკვიდროს მისი სული.

## გახსენება

ორმოცი დღეა, რაც ჩვენთან აღარ არის ჭეშმარიტად გამორჩეული მოქალაქე, მოღვაწე, მშრომელი, საქმიანი, უაღრესად კეთილი, უწყინარი, მიმტევებელი და მოსიყვარულე ქალბატონი, შესანიშნავი მეუღლე, ღირსეული დედა, ბებია და საინჟინრო საქმის დიდი პროფესიონალი

**მერი იასონის ასული ცოტაძე**

1947 წელს თბილისის რკინიგზის ტრანსპორტის ინჟინერთა ინსტიტუტის დამთავრების შემდეგ მოღვაწეობდა ხრამჰესში, ქ.თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის სამეცნიერო-ტექნიკურ საბჭოში, ხოლო 1952 წლიდან გარდაცვალებამდე „თბილქალაქპროექტში“ უფროსი ინჟინრის თანამდებობაზე.

მისი უშუალო ხელმძღვანელობით დაპროექტდა შემდეგი ობიექტები:

1. ჟინვალის უწნეო წყალდენის ბოლო მონაკვეთი;
2. VI წყალდენის დუბლი ზაჰესიდან დიდ დიღომამდე;
3. წყალდენის მაგისტრალი 3!,??მმ აეროპორტის გადასახვევიდან ლილოს რეზერვუარამდე;
4. წყალდენი 3-№—??მმ სამგორის წყალსადენის სადგურიდან ჰიდრომშენის დასახლებამდე;
5. განივი წყალდენი 3!№—??მმ მუხრანის ქუჩიდან მარცხენა სანაპირომდე;
6. 3!№—??მმ წყალდენი დიღმის სატუმბო სადგურიდან 528 ნიშნ. რეზერვუარამდე;
7. მთავარი გამყვანი კანალიზაციის კოლექტორი 31-ე ქარხნის ტერიტორიიდან და სხვა ობიექტები...

ორმოცი დღეა, რაც უზენაესმა სასუფეველი დაუმკვიდრა ზეცაში ქ-ნი მერის სულს, თუმცა, 40 დღე არ არის საკმარისი მისი წასვლით გამოწვეული მწუხარების დასაფარავად.

შპს „ტერიტორიათა განვითარების სააგენტო „თბილქალაქპროექტის“ თანამშრომლები

**სამგლოვიარო განცხადებები მიიღება ყოველდღე, კვირის გარდა, 12-დან 17 საათამდე.**

# ახალი თაობა

გაზეთის ელექტრონული ვერსია ინტერნეტში:
http://www.opentext.ge/akhalitaoba


**საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 2009 წლის 29 დეკემბრის ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსი დააფიქსირა:**

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1,6825 |
| ევრო | 2,4035 |
| ინგლისური გირვანქა სტერლინგი | 2,7536 |
| რუსული რუბლი | 0,0533 |

**ამინდის პროგნოზი 29 დეკემბრისთვის**

<u>აღმოსავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, ტემპერატურა დღისით — 13-14, ღამით — 2-§,
<u>დასავლეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, წვიმა, ტემპერატურა დღისით — 11-16, ღამით — 2-8
<u>სამხრეთ საქართველო:</u> ცვალებადი მოღრუბლულობა, თოვლი, ტემპერატურა დღისით — 2-12, ღამით — -7-5







ქართული ფლორის საოცრება

## „სალხინო"

უებარი წამალია

„სალხინო" ეკოლოგიურად სუფთა მცენარეული ნედლეულისაგან მიღებული წამალია.

პრეპარატ „სალხინოს" ახასიათებს ანტიბაქტერიული, ანტისეპტიკური, სპაზმოლიზური, ტკივილგამაყუჩებელი, შარდმდენი მოქმედება. ხსნის შეშუპებებს, არეგულირებს სხეულის ტემპერატურას.

წამალი გამოიყენება მასტიტების, მასტოპათიების, ჭრილობების, კანისა და ლორწოვანის ჩირქოვანი და ანთებითი პროცესების დროს. პირის ღრუს სასუნთქი და საშარდე სისტემის ჩირქოვანი ანთებითი დაავადებების, ბრონქიტის, რინიტის, გინგივიტის, პაროდონტიტის, პიელონეფრიტის, კოლპიტის, ენდომეტრიოზის, პროსტატიტის, ცისტიტის, შარდის შეუკავებლობის, ქოლეცისტიტის, კოლიტის, ბუასილის მკურნალობისა და პროფილაქტიკისათვის, კუჭ-ნაწლავის ტრაქტის მოქმედების მოსაწესრიგებლად, რბილი ქსოვილების ჩირქოვანი ანთებითი პროცესების სამკურნალოდ.

გამოყენების წინ გაეცანით ინსტრუქციას.

"სალხინოს" შესახებ ვრცლად ინფორმაცია მოთავსებულია ვებ-გვერდზე www.salkhino.ge წამალი იკითხეთ აფთიაქებში.


## ფედერაცია ვალებს ისტუმრებს

**გუშინ გაიმართა საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის აღმასკომის სხდომა, რომელსაც 19 წევრიდან 3 არ ესწრებოდა — გიორგი გეგეჭკორი, გიორგი ასანიძე და ტარიელ ხეჩიძე.**



აღმასკომმა დააკმაყოფილა გეგეჭკორის წერილობითი სხდომა, რომელიც აღმასკომის საკუთარი სურვილით დატოვებას ეხებოდა. საპატრულო პოლიციის უფროსმა მიზეზად მოუცლელობა დაასახელა. გეხსომებათ, გეგეჭკორმა აღმასკომში არჩევისთანავე იმ ფეხბურთელების და ფუნქციონერების გვარ-სახელები დაასახელა, რომელიც ნარკოტიკების მოხმარებაში იყვნენ მხილებულნი.

აღმასკომის სხდომაზე განხილული იყო აგრეთვე საფეხბურთო კლუბ „ზესტაფონის" წერილი. საქმე ის არის, რომ „ზესტაფონს" 29.000 ლარს ედავება კლუბის ყოფილი ფეხბურთელი გრიგოლ ჭანტურია, რომელიც ივნისში 7.000 ლარით დააკმაყოფილეს. იმერული კლუბის ხელმძღვანელებს აინტერესებდათ, სად შეიძლებოდა ფეხბურთელის მოთხოვნის გასაჩივრება. როგორც გაირკვა, იქმნება კერძო სპორტული არბიტრაჟი, რომელიც დღე-დღეზე დარეგისტრირდება.

გაგრძელება მე-9 გვერდზე



## ლალი მოროშკინა კოსტიუმირებულ მეჯლისს მოაწყობს

**ლალი მოროშკინა ახალ წელს იახტკლუბში შეხვდება. 31 დეკემბერს თბილისის ზღვაზე მდებარე იახტ-კლუბში გრანდიოზულ კოსტიუმირებულ მეჯლისს მოაწყობს. საახალწლო მეჯლისზე სტუმართა სადღესასწაულო განწყობის შექმნაზე ეკა კვალიაშვილი, ანრი ჯოხაძე, მაია ბარათაშვილი, თემო რცხილაძე, ანსამბლი „იბერია", ორკესტრი „რეტრო", ჯაბა ქარსელაძე, აჩიკო ნიჟარაძე და კლაბ შოუს მსახიობები იზრუნებენ.**

კოსტიუმირებულ მეჯლისზე შესრულდება როგორც ქართული, ასევე რუსული შლიაგერები. მეჯლისის დროს მოეწყობა სხვადასხვა სახის გათამაშება, სადაც გამარჯვებულები საკმაოდ ძვირფასი საჩუქრებით დასაჩუქრდებიან. კერძოდ, სხვადასხვა წამყვანი ბრენდების სამოსით, სილამაზის სალონების კუპონებით, დასასვენებელი საგზურებით.

ლალი მოროშკინას მიერ ორგანიზებული კოსტიუმირებული მეჯლისი იახტ-კლუბში 31 დეკემბერს ახალი წლის ღამეს გაიმართება და მასზე დასწრება ნებისმიერ მსურველს 150 ლარად შეეძლება.

**ეკა ირემაშვილი**

## ჩარლი შინმა შობა საკანში გაატარა



ამერიკელმა მსახიობმა ჩარლი შინმა შობის დღესასწაულის მეტი ნაწილი ოჯახური ძალადობის ბრალდებებით საკანში გაატარა.

პოლიციელებმა 44 წლის ტელე და კინომსახიობი პარასკევს დააკავეს, კოლორადოს შტატის სათხილამურო კურორტ ასპენში, სადაც იგი სასწრაფოდ გამოიძახეს.

იმავე სახლს სასწრაფო დახმარების მანქანამაც მიაკითხა, თუმცა საავადმყოფოში არავინ მიუყვანიათ.

პოლიციელების განცხადებით, ჩარლი შინი დაშინებაში, თავდასხმასა და დაზიანების მიყენებაში არის ეჭვმიტანილი. მსახიობი 8500 დოლარის გადახდის შემდეგ თავდებით გაათავისუფლეს.

ჩარლი შინი მსახიობთა ცნობილი ოჯახის წარმომადგენელია. მისი ნამდვილი სახელია კარლოს ირვინ ესტევესი. ფსევდონიმი შინი მამისაგან, მსახიობ მარტინ შინისაგან მიიღო. მისი ძმა ემილიო და ბიძა ჯო ესტევესების გვარით არიან ცნობილი.

ჩარლი შინის მონაწილეობით ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი პროექტი იყო სატელევიზიო კომედიური სერიალი „ორნახევარი ადამიანი". ამ სერიალის წყალობით ჩარლი შინი 2008 წლის ყველაზე მაღალი ანაზღაურების ტელევარსკვლავად იქცა.

2008 წლის მაისში მან ცოლად ბრუკ მიულერ შინი შეირთო. მანამდე, მარტში, მას ტყუპი ვაჟები შეეძინა.

ჩარლი შინს კანონთან პრობლემები წარსულშიც ჰქონია. ასე, მაგალითად, 1996 წელს ქალზე თავდასხმისათვის იგი ერთხელ უკვე დააკავეს. ქალის თქმით, ჩარლი შინის დარტყმის შედეგად მან გონება დაკარგა.

გაგრძელება მე-10 გვერდზე

## კროსვორდი ა



**შვეულად:** 1. ორნამენტებიანი ან სურათებიანი ხელით ნაქსოვი კედლის ხალიჩა; 2. ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 3. რძეში მოხარშული ცომის ნაჭრები; 4. უკრაინული ფარმაცევტული ფირმა; 5. იტალიელი მხატვარი ფერწერული ტილო „მძინარე ვენერას" ავტორი; 10. გულის კუნთოვანი კედელი; 11. რაიონული ცენტრი სამცხე-ჯავახეთში; 12. ტურისტთა კაპიშონიანი ქურთუკი; 15. წითელი ფერის ნახევრად-ტკბილი, ქართული სამარკო ღვინო; 16. ნაკურთხი წყალი; 17. პორტუგალიის ნაკრებისა და „რეალის" ფეხბურთელი; 20. იაპონიის ძველი დედაქალაქი.

**თარაზულად:** 6. საზღვაო გადაზიდვების პირობების შემცველი დოკუმენტი; 7. მუნჯი კინოს აკომპანიატორი პიანისტი; 8. მძლავრი, ინტენსიური გამოსხივების მქონე კოსმოსური სხეული; 9. ებრაელთა დიდი რელიგიური დღესასწაული; 13. ზღვის დონიდან ყველაზე მაღლა მდებარე ტბა საქართველოში; 14. ხორვატიის კალათბურთელთა გუნდი; 18. მთავარი პარტიების შემსრულებელი მომღერალი ქალი ოპერაში; 19. კუნძულოვანი სახელმწიფო წყნარ ოკეანეში; 21. იტალიური საავტომობილო კომპანია; 22. საერთაშორისო მოლაპარაკების ერთ-ერთი ეტაპი; 23. ნავთობითა და გაზით ყველაზე მდიდარი რაიონი ირანში; 24. გულის მოქმედების ერთ-ერთი ფაზა, მოშვება.

**შეადგინა თ. კოპალეიშვილმა**

## იუმორი



* * *

— ქალურ ლოგიკაზე რომ იწყებენ ლაპარაკს, ყველაფერი მესმის, მაგრამ ვერ გამიგია, რა საჭირო იყო ჩემთან ერთად მთელი ბაზრის შემოვლა მხოლოდ იმისათვის, რომ ეჩვენებინა ჩემთვის კაბა, რომელიც არ მოსწონს...

* * *

ცოლი ტელევიზორთან ზის და გატაცებით უყურებს კულინარიულ გადაცემას. ქმარი ეუბნება:

— რას უყურებ, საჭმლის კეთება მაინც არ იცი.

— საინტერესოა, შენ რაღად უყურებ პორნოგრაფიას?

* * *

— ეჰ, კარგი იქნებოდა, რომ გოგონებს დაბადებისას ჭიპის გარდა ენასაც უნასკვავდნენ...

* * *

— ტვინს დროზე თუ არ გაავარჯიშებ, მთელი დატვირთვის გადატანა კუნთებს მოუწევთ...

* * *

— ყოველ ორგანიზაციაში არის ადამიანი, რომელმაც ზუსტად იცის, თუ რა ხდება ორგანიზაციაში... პირველ რიგში, ის უნდა დაითხოვოთ...

* * *

— ტამპაქსებს დიდხანს თუ იყიდით, მალე პამპერსების ყიდვა მოგიწევთ...

* * *

— ქალს მუხლებზე თუ დაისვამ, კისერზე თავად აცოცდება...

* * *

— კაციჭამიებმა პროტესტის ნიშნად შიმშილობა გამოაცხადეს — მათი ერთი კოლეგა სილიკონით მოიწამლა...

## ასტროპროგნოზი 29 დეკემბრისთვის

ყველამ გაითვალისწინეთ!

<u>ახალი საქმის წამოწყება ღირს.</u>

**ვერძი** — პოზიტიური დღეა, იაქტიურეთ. **კურო** — სიყვარულში გიმართლებთ, გელით საჩუქარი. **ტყუპები** — წარმატებული დღეა, ყველაფერი გამოგივათ. **კირჩხიბი** — რისკი არ არის გამართლებული, ეს დღე მშვიდად გაატარეთ. **ლომი** — ახალი საქმე გაამართლებს, თამამად იმოქმედეთ. **ქალწული** — დაისვენეთ და გაერთეთ, დღეს ნუ გადაიღლებით. **სასწორი** — ჰარმონიული დღეა, შინაგან თავისუფლებას იგრძნობთ. **ღრიანკალი** — ფულს შოულობთ, პრობლემები არ გაქვთ. **მშვილდოსანი** — წარსულიდან ვიღაც ბრუნდება, მას თქვენთვის რაღაც აქვს სათქმელი. **თხის რქა** — არ აყვეთ სხვებს, ეს დღე მშვიდ სიტუაციაში გაატარეთ. **მერწყული** — თქვენი საქმე წინ მიდის, თუმცა, ოპონენტები ხელს გიშლიან. **თევზები** — სახლში სიახლეა, ძვირფას ნივთს შეიძენთ.

გისურვებთ ბედნიერ დღეს!

## ტესტი

### გაინტერესებთ თუ არა კარიერა



***1. ხვალ უკვე შვებულებაში გადიხართ, ბევრი საქმე გაქვთ, შეფმა კი საჩქარო საქმე დაგავალათ, როგორ მოიქცევით?***
ა. მოითხოვთ, საქმე სხვას დაავალონ. ბ. გამგზავრებას რამდენიმე დღით გადადებთ. გ. მთელი ღამე იმუშავებთ და საქმეს მაინც გააკეთებთ.

***2. მაღალი ანაზღაურების ვაკანსიაზე რამდენიმე ადამიანი აცხადებს პრეტენზიას, როგორ მოიქცევით?***
ა. მშვიდად. ბ. თქვენ რეკლამა არ გჭირდებათ. გ. ყველას დაუმტკიცებთ, რომ სხვაზე უკეთესი ხართ.

***3. თქვენს მეუღლეს კლასიკური მუსიკა მოსწონს, თქვენ მსუბუქი, როგორ მორიგდებით?***
ა. მეუღლეს არ შეაწუხებთ. ბ. შეეცდებით შეიყვაროთ კლასიკური მუსიკა. გ. შეეცდებით მეუღლეს მსუბუქი მუსიკა შეაყვაროთ.

***4. პოლიცია იმ დანაშაულის მოწმეს ეძებს, რომელსაც თქვენ შეესწარით, გამოცხადდებით თუ არა პოლიციაში?***
ა. არა. ბ. არა, რადგან არ იცით, ზუსტად რა მოხდა. გ. აუცილებლად.

***5. სასწრაფოდ უნდა დარეკოთ, ერთადერთ ავტომატთან კი რიგია, როგორ მოიქცევით?***
ა. ინერვიულებთ, მაგრამ რიგში ჩადგებით. ბ. სთხოვთ რიგში მდგომთ, წინ გაგატარონ. გ. ყურადღებას არავის მიაქცევთ და ყურმილს ხელს სტაცებთ.

***6. ქუჩაში ვიღაცას შეეჯახეთ. თქვენი რეაქცია:***
ა. არცთუ სახარბიელო კომპლიმენტით შეამკობთ. ბ. ცივად მოუხდით ბოდიშს. გ. „ხდება ხოლმე".

***7. კამპანიაში შეხვდით ადამიანს, რომელმაც დაგაინტერესათ, როგორ მოიქცევით?***
ა. თვითდინებით მიუშვებთ სიტუაციას. ბ. შეეცდებით დაუახლოვდეთ. გ. მაშინვე საუბარს გაუბამთ.

**პასუხები**

პასუხები შეაფასეთ ა — 1 ქულა. ბ. 2 — ქულა. გ. 3 — ქულა.

**7-10 ქულა:** კარიერაზე საერთოდ არ ფიქრობთ, ცდილობთ ყურადღება არ მიიქციოთ. სხვისი წარმატება და სახელი არ გშურთ.

**11-14 ქულა:** დროდადრო ოცნებობთ სამსახურში წარმატების მიღწევის, დაწინაურების შესახებ, მაგრამ მხოლოდ ოცნებობთ.

**15-18 ქულა:** სამსახურებრივი მოვალეობები მძიმე ტვირთად არ მიგაჩნიათ. მუშაობა სიამოვნებას განიჭებთ, წარმატების მიღწევა მნიშვნელოვან მიზნად დაგისახავთ.

**19-21 ქულა:** პატივმოყვარე ოპტიმისტების რიცხვს განეკუთვნებით, ხართ კარგი ორგანიზატორი, ვინც კარგად იცის, რა სურს და რას უნდა მიაღწიოს.

**მოამზადა გენადი თვაურმა**